



ესტუარი ბერძნება

K 251.047  
3



კიბრიშვილი ნიკოლოზ

ახ.

გუგული ცარის გუგულისა  
გუგულისა გუგულისა



მარკლი მოდენი



ლომის მუზეუმი

საქართველო

ავტო.

3336306 616020

2. V. 945.

ანა

რითი სჯობს რასთველი

გვევიჩეა და გვეთხე

ମିଶ୍ରକ୍ଷେତ୍ରପାଦ ଓ କୁରମାର୍ଗିକ୍ ହୃଦୟକ୍ଷେତ୍ରାଳୋଗ୍ରାଫ୍ ମାନ୍ସିକ୍ ଏତେ  
ଖଣ୍ଡପ ନୀରେନ୍ଦ୍ର, ଲେ ପ୍ରକ୍ରିୟାତଥୀ, ଯେଉଁଛିଲୁକୁରମାନକାଳ୍ ଲ୍ୟାଙ୍କୁରିଂପ୍ରଦେଶ ଦେଇଲା  
ପରିବର୍ତ୍ତନରେମା କ୍ଷେତ୍ରସିଦ୍ଧାନ୍ତ କ୍ଷେତ୍ରରେଣୁକାରୀ

ମଧ୍ୟାଳୀ ତଥାରେ ନିର୍ବିଳ୍ପିକାର୍ଯ୍ୟ ଶିଳ୍ପଗରାଜ୍ୟ, ହୃଦୟକ୍ଷେତ୍ରପାଦ ଅପଦାନିକ୍ଷେତ୍ରରେ  
ମେହିନେରେଲ୍ଲା ପ୍ରକ୍ରିୟାକ୍ଷେତ୍ରରେ ନେବାନ୍ତରୀ, ଏକବେଳ କ୍ଷେତ୍ର ମଧ୍ୟାଳୀ ନିର୍ବିଳ୍ପିକାର୍ଯ୍ୟ ଶିଳ୍ପଗରାଜ୍ୟ  
ରୀତି ଶିଳ୍ପଗରାଜ୍ୟ ଏତ ହୃଦୟକ୍ଷେତ୍ରପାଦରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ ଦେଇଲା ଅପଦାନିକ୍ଷେତ୍ରରେ  
ପ୍ରକ୍ରିୟାକ୍ଷେତ୍ରରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ  
ମାନ୍ସିକ୍ ଗାନ୍ଧିକ୍ଷେତ୍ରରେ ମିଶ୍ରକ୍ଷେତ୍ରରେ ମେହିନେରେଲ୍ଲା ପ୍ରକ୍ରିୟାକ୍ଷେତ୍ରରେ  
ମିଶ୍ରକ୍ଷେତ୍ରରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ — "ଯେଉଁଛିଲୁକୁରମାନକାଳ୍"  
କ୍ଷେତ୍ରରେ ଏତିମାତ୍ରରେ ଗାନ୍ଧିକ୍ଷେତ୍ରରେ, କ୍ଷେତ୍ରରେ ଏତିମାତ୍ରରେ  
ପରିବର୍ତ୍ତନରେ ମିଶ୍ରକ୍ଷେତ୍ରରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ  
ପରିବର୍ତ୍ତନରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ

କ୍ଷେତ୍ରରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ  
ପରିବର୍ତ୍ତନରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ  
ପରିବର୍ତ୍ତନରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ  
ପରିବର୍ତ୍ତନରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ ପରିବର୍ତ୍ତନରେ

ମଧ୍ୟାଳୀ ପରିବର୍ତ୍ତନରେ:

- + କାରାକି ଶାନ୍ତିମାନ
- ପାରାକି ଶାନ୍ତିମାନ
- କାରାକି ଶାନ୍ତିମାନ

୨୦୦୩-୨୦୦୪  
କ୍ଷେତ୍ରପାଦରେ

୨୦୦୩-୨୦୦୪
କ୍ଷେତ୍ରପାଦରେ
କାରାକି ଶାନ୍ତିମାନ
କାରାକି ଶାନ୍ତିମାନ

K2513047

## ზ ე ს ა ვ ა ლ ი

„ვეფხისტყაოსანისა“ და სპარსულ მეგლებს შორის პარალელურს რომ ვავლებთ, ძალიან ხშირად უკიდურესობაში ვვარდებით ხოლმე, — მის ამა თუ იმ დეტალს, სახეს ან ეპიზოდს აღმოსავლურ ძეგლებში რომ წაეიწყდებით, მაშინევ ამ ნაწარმოებთა ურთიერთმიმართების საკითხს დავსცამთ. მაგალითად, „ვისრამიანთან“ რესტყელის პოემის უშუალო კავშირის დამადასტურებლად მიაჩნიათ ისიც კი. რომ „რამინი ჩიდოოდა ხოლმე შაპინშაპის ბაღში, იქ ტიროდა... ტარიელიც ჟედის ხოლმე ფარსადანის ბაღში და იქ ნახულობს ნესტანისავან გამოგზავნილ ასმათს, აქ ეხვეწება ის — მომიტანე ხოლმე ამბავი და წერილი ნესტანისათ“<sup>1</sup>. დავიწყებულა არ არის „ეკისრამიანის“ ასეთი ეპიზოდიც: მოაბადი ოამინისათვის აბანოს რომ ვააჩლებინებს და იქ უგზავნის ძეირფას ტანსაცმელს, როგორც ანალოგიური შემთხვევა „ვეფხისტყაოსნის“ ადგილისა: ავთანდილი რომ იბანავებს და ფატმანი მას ტანსაცმელს უგზავნის.<sup>2</sup> მაგრამ ხომ შეიძლება, ასეთი დეტალებით ჩვენი პოემა პგავდეს (და პგავს კიდევაც), ვთქვათ, „ტრისტანია და იზოლდას“. განა არ შეიძლება რომელიმე აღრეულ ეეროპულ რომანში ახლობელ კაცს აბანოზი აბანევებდნენ და იქ ტანსაცმელს უგზავნიდნენ? რამდენიც გნებავთ მაგრამ აქ მსგავსებას არ აღნიშნავენ იმიტომ, რომ ევროპულ ლიტერატურასთან „ვეფხისტყაოსნის“ ნათესაობას აპრილისტლად ჯამორიცხავენ, ხოლო აღმოსავლერ ლიტერატურასთან მსგავსებას აღიარებენ ზოგიერ ასეთი „ნათესაობა“ იმის ნიშნად მიაჩნიათ, რომ ამ დეტალის შემცველი უფრო ჯეიანდელი ძეგლის აეტორი იცნობდა ინალოგიური დეტალის შემცველ აღრეულ ძეგლს. სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად, ასეთი ხერხით თვითონ ძეგლების დათარიღებასაც კი ცდილობდენ.

<sup>1</sup> ქ. ქ' 40 ლ 0 ტ, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., [1958], 27, 131. შემდეგში: ქ. კავალე ე. 11.


<sup>2</sup> ივ 30, 83. 132.

„ვეფხისტყაოსანში“, ვთქვათ, „ვისრამიანის“ პერსონაჟთა მოხსენიება ან მისი რაიმე დეტალის განშეორება როდი გვაძლევს უფლებას, ვამტკიცოთ, რუსთველი ამ ძეგლს იცნობდათ. ჭარჩოხი (X-XI ს.ს.) თავის ლირიკულ ლექსებში ექვსჯერ ახსენებს ფარპედს, მაგრამ ნიზამის „ხოსროვ-ო, შირინი“ (1181 წ.), სადაც პირველად აისახა ეს პერსონაჟი, მაშინ დაწერილი არ იყო. ქედან გამომდინარე, ვერ დავამტკიცებო, რომ ჭარჩოხი ცხოვრობდა მთელი საუკუნით უფრო გვიან, ანდა ეს ნაწარმოები დაიწერა მთელი საუკუნით უფრო აღრე, რადგან ჭარჩოხი ფარპედს იცნობს არა ნიზამის პოემით, არამედ, ეტყობა, ჩვენამდე არმოლწეული სხვა ლიტერატურული წყაროებით, თუ ხალხური გადმოცემებით.

უფრო მყარი სხვა პარალელებიც არაა. ავილოთ ერთი შეხედვთ თითქოს მეტად დამახასიათებელი დეტალი, ნეტანი ქაჯეთის ციხიდან ტარიელს წერილთან ერთად ნიშნად რიდის ნაკერს რომ გამოუგზავნის. ეს დეტალი აღვილად იქნა შემჩნეული „ვისრამიანში“ (ვისა რამინს ერთ-ერთ წერილთან ერთად უგზავნის თავის პერანგსა და თავსაბურავს). მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ეს მოვლენა ფართოდ იყო ცნობილი მახლობელ აღმოსავლეთში და ამდენად „ვეფხისტყაოსნის“ „ვისრამიანთან“ მიმართების გასარკევად არამც და არამც არ გამოდგება. მიუთითებენ საგანგებოდ იმაზეც, რომ აეთანდილი შენილბვის მიზნით „შპპ-ნამეს“ გმირ როსტომივით ვაჭრულადა გადაცმული. ეს ეპიზოდი გვხვდება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბევრ ამბავში (აյ მხოლოდ ერთს, „ტრისტანისა და იზოლდას წიგნს“ დავასახელებთ).

აეთანდილი თავის ანდერძში იბარებს: „მიეც ვლახაეთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონებიო“. ეს გამოთქმა აფორიზმად იქნა მიჩნეული. სინამდვილეში, როგორც ეს თავის დროზე მშვენიერად პქონდა გაანალიზებული ნ. ნიკოლაძეს<sup>3</sup>, ამ გამოთქმას აფორიზმითან და მონათა განთავისუფლების იდეასთან არაუერი აქვს საერთო. აյ მოცემული გვაქვს კონკრეტული და კერძო შემთხვევა. ავთანდილი იბარებს: მე შეტად მდიდარი კაცი ვარ და თუ მოვკლე, ჩემი ქონება ღარიბებს დაურიგეთ, მით ხიდები და ღარიბთა თავშესაფრები ააგეთ, ხოლო

<sup>3</sup> Н. Николадзе, На прядлики. №н. «Новое обозрение», 1889, № 2046, შემდეგში: Н. Николадзе.



ჩემი მონები გაათავისუფლეთ, სამაგიეროდ, ისინი მომიგონებენ და დამლოცვენი! თუ ასე უნდა მას თავისი მონების გათავისუფლება, კი ეი უშლის, რატომ ახლა არ ათავისუფლებს? საქმე ისაა, რომ აქ ფიქსირებულია მთელს მახლობელ აღმოსავლეთში, და იქნება, საკართველოშიც, გაერტყელებული უძეველესი ჩეველება: მიცვალებულთა ქონების განადგურება ან გლაბაკებზე დარიგება, მისი მონების გააზარება. ავთანდილი მონათმულობელია, ის თავის ქონებას სულაც არ აპნევს (ის კი არა, შერმადინს ფირჩანებს კიდევაც: „სახლი ჩემი შეინახეო“), მაგრამ იცავს წესს და არ ავიწყდება პირველად გამგზავრების დროს შერმადინს დაავალოს: „გლაბაკთა მეეც საკურჭლე, ოქრო, ვერცხლი და რეალია“, ხოლო მეორედ გაპარვის დროს როსტევანს დაუბაროს: ჩემი ქონება უპოვრებს დაუ- რიგო! ეს დეტალი აღმოსავლეთის ბევრ ძეგლში გვხვდება, მათ შორის, „შვპ-ნამეში“<sup>4</sup>.

„ვეფხისტყაოსნის“ მონა, რომელმაც „მოლი რამე წამოისხა“ ფართოდ იყო ცნობილი როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ ლი- ტერატურაში<sup>5</sup>. ზებუნებრივი ძალისა თუ შესაძლებლობის მქონე შწვანით მოსილი პერსონაჟი გვხვდება „ვისრამიანშიც“, „ხოსროვ- შირინიანშიც“<sup>6</sup>.

ასეთივე ხასიათისაა „ვეფხისტყაოსნისეული“ სხვა რეალიებიც: შეკვარებულის წერილის თვალზე დადება, მწუხარების ნიშნად თავ- ზე ნაცრის სხმა, თავშიშველა სიარულის უხერხულობა, რომელთაც რალელების გამოკიდება ისეთივეა, როგორც „ვეფხისტყაოსნისეუ- ბარალელებს უძებნან ამა თუ იმ აღმოსავლურ ძეგლში. ასეთი პა- ლი“ შურთაობის, ნადირობის, ლვინის სმისა და მისთანათა პარ. ლები ვიძიოთ ამა თუ იმ სპარსულ პოემაში.

არაფერს ვიტყვით აქ პოეტურ სახეებზე, რომლებიც ძალიან ხშირად საერთო აქვთ ჩვენს პოემას აღმოსავლურ, კერძოდ, სამარ- სულ ლიტერატურასთან. მაგრამ რატომდაც ამას არ აღნიშნავენ, „ვეფხისტყაოსნის“ პოეტურ სახეთა აღმოსავლურ პოეზიასთან კავ-

<sup>4</sup> შვპ-ნამეში ჭერდო ეს ი, ჯელა-ე ნოჰომ, თემაზე 1314, გვ. 2940.

<sup>5</sup> ი ლოლა-შვილი, პომერის, შავოვლი, რესთაველი, „შეათობი“, 1960, № 2.

<sup>6</sup> მ. თოდი ა., ზოგი რამ ნიშამის „ხოსროვშირინიანის“ შესახებ. ნიშამი განველი, ხოსროვი და შიომინი. თარგმანი აშხაბერ შელიძისა. თბ., 1964, გვ. 23.

შირი რატომლაც ეთაყილებათ. წერ კიდევ თეიმურაშ ბაგრატიონშა  
შენიცნა რომ აღმოსავლერი ლიტერატურის დამახასიათებელი ტრო-  
პები „ვეფხისტყაოსანში“ უცხო არ არის და რომ „ხშირად ხმარობს  
რუსთაველი ამგვარს აზიურს მეტაფორიებს“. „მელნად გიშ-  
რის ტბა და კალმად მინა რხეული“ — აღმოსავლეთისა მეშაირენი  
შეკვერთა შევთა თვალთა მელნის ტბასა უწოდებენ და მოძრავსა  
ქანსა მშენერისასა კალმად ბროლისა იტყვიანა?<sup>7</sup>. „ბროლისა  
სეტყვს — აღმოსავლეთისა მეშაირეთა ვაარი არის ესე ვვარი მე-  
ტაფორის წერა“<sup>8</sup>. „ბროლი, სათო და ლალები აზიურის მეტაფო-  
რთა, წარბაზამში და ღაწვნია“<sup>9</sup>; „ნარევისთა წევია ბროლისა  
წვიმს, ვარდი ნაწევიმარია — აზიათ მეტაფორიკინ ნარევისთა თუალთა  
ამსგავსებენ, ბროლისა წვიმსა — ურემლსა და ვარდთა — ღაწვთა,  
რომელიც მას ზედა გარდამოედინების“<sup>10</sup>.

მაგრამ განა ვინმეს შეუძლია იმტკიცოს „აზიურობა“ ამ მეტა-  
ფორებისა?

„ვეფხისტყაოსანში“ ბევრი აფორიზმია, ყეველა ისინი შთამბეჭ-  
დავია არა მარტო იმით, რომ ბრძნელია, არამედ იმიტომაც, რომ  
ძოტანილია თავის დროზე (ე. ი. საამისოდ მომზადებულია ნიადაგი  
და შექმნილია სიტუაცია, რომლის პოთეოზად აფორიზმი აცუკ-  
ლებელიც ხდება). ესაა რუსთველის გენიოსობის კიდევ ერთი და-  
მაღასტურებელი ნიშანი. თავად აფორიზმები თუ ვისია, ამას ყვე-  
ლაზე ნაკლები მნიშვნელობა აქვს.

კაცი რომ გამოყიდოს, რა თქმა უნდა, შეიძლება, რუსთველის  
აფორიზმი სხვა ლიტერატურაში აღმოჩინოს საღმე და საღმე. აფო-  
რიზმები შეიძლებოდა ძვირფასი თვლებისთვის შეგვედარებინა,  
ხოლო პოეტი — ოქრომცვედლისთვის. ოქრომცვედლის დანიშნულება  
ძვირფასი თვლების შექმნა კი არ არის, არამედ მათი დახევწა და  
თავის ნახელავში მოხდენილად ჩასმა. აფორიზმი მისია, ვინც კარ-  
გად გამოიყენებს მას. რა აკლდება რუსთველის აფორიზმს — „მას

<sup>7</sup> თეიმურაში ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა.  
შემდაშვილის ჩედავებით, გამოყელებითა და საძიებლით. თბ., 1960, გვ. 4.  
შემოვები; თ. ბაგრატიონი.

<sup>8</sup> იქ ვ. გვ. 30.

<sup>9</sup> იქ ვ. გვ. 240.

<sup>10</sup> იქ ვ. გვ. 245.

მუსტალმან რაგვარ პეტრის, თუ არ უთხრას, რაცა სვილდუსა და  
(1083,4) იმით, რომ IV-V სს. ინდოელი პოეტის კალიფასს „შაჟუნ-  
ტალაში“ ვეითხულობთ: „როგორ გიმეურნალოთ ისე, თუ არ გვი-  
ცოდინება, რა გაწუხებს!“ ანდა დ. გურამიშვილის ცნობილ გამოთ-  
ქმას: „პეტა უხმარ არს ბრიყვთათვის, პეტა ცოდნით მოხმარების“,  
ნიზამის „ხოსროვ-ო შირანში რომ ეხდებით: „პეტა ჩვენ ცოდ-  
ნის მეშვეობით გვაჩენებს გზას“ (ვ. 214)? ანდა ჩვენ ეიცით, სა-  
იდან წამოდგა ან ერთი ან მეორე ქართული აფორიზმი? აღმოსავ-  
ლურ, და კერძოდ, სპარსულ პოეზიაში ყოველი ფეხის ნამიზე  
გეხდება ისეთი კლასიკური აფორიზმები, როგორიცაა: „რა აქიმი  
დასნეულდეს...“ (ხოსროვ-ო შირან, ვ. 227), „კაცი ჭაბანი რითა  
სჭობს..“ (ხოსროვ-ო შირან, ვ. 121), „ლექვი ლომისა სწორია...“  
(შეპ-ნამე, IX, 176), რადგან სპარსულშიც, როგორც ვთქვით, ასე-  
თივე სურათია. მაგალითისთვის თვალი გაეაღვენოთ „ვეფხისტყაოს-  
ნის“ ორი აფორიზმის სპარსულ შესატყვისებს:

1. „კოქასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების.“

ქაფეფი (XV ს.): „ამ ქუჩე პამპნ ბერუნ თარავად ქე დარ უსთ.  
„კოქისგან ის გამოედინება, რაც მასშია“.11

ბებე აჭალი (1196-1256): „ამ ქუჩე პამპნ ბერუნ თარავად  
ქე ანდარ უსთ.  
„კოქისგან ის გამოედინება, რაც მასშია“.12

გილო აღ-დონ რუმი (1207-1273): ფას ამ ქუჩე პნ თარავად  
ქე დარ უსთ.  
„მაშ, კოქიდან ის გამოედინება, რაც მას შიგანაა“.13

რაც სიტყვასიტყვით იმეორებს ნასერ ხოსროეს (დ. 1004 წ.).14  
2. „არ იცი, ვარადი უეკლოდ არავის მოუქრებიან“.


’აბდ არ-რაჰმან ჯამი (1414-1492): გოლ ბიხარ ნაჩიდე ასთ  
ქასი.

<sup>11</sup> ქალ ელა ვა და ან ე-ა ე შე ჭი ა- ანებრ-ე სოპალი, თეპრან,  
1341, ვ. 118.

<sup>12</sup> ა ლ-ა ქ ბარ დ ე პ ს რ დ ა, ა მ ს დ -ო ქ ე ქ ა მ, I, ვ. 142.

<sup>13</sup> ა ქ ვ ი.

<sup>14</sup> ა ქ ვ ი.



„ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფია“!<sup>15</sup>

საღმინ სვერგი (1300-1375): კოლ დარ დამან-ე ხერ მასთაბით უარდი ეკლესია“!<sup>16</sup>

„რუმი: განჯ ბი მპრ-ო გოლ ბი ხერ ნისთ-

„განძი უგვილოდ და ვარდი უეკლოდ არ არსებობს“!<sup>17</sup>

სა'ლი (1203-1292): განჯ-ო მპრ-ო გოლ-ო ხერ-ო ლამ-ო შე-  
ლი ბაპტისტი.

„განძი და გველი, ვარდი და ეკალი, მწუხარება და სიხარული  
ერთად არიან“!<sup>18</sup>

ნიზმებ (1141-1209): ქოდამინ გოლ ბოვად ბი ზაპმით-ე ხერ.

„რომელი ვარდია ეკლის ჭაფის გარეშე“!<sup>19</sup>

სენან (1080-1141): ხერ ჭოჭო-ე გოლ ასთ.

„ეკალი ვარდის ჭულთა“!<sup>20</sup>

მას 'უდ საღმინი (1046-1121):

გოლ ბი ხარ ანდარ გოლშან-ე დაპრ ბე ჩაშმ-ე თიშ ბინ ქეა  
მინთავან დაღ.

„უეკლოდ ვარდი საწუთოს წალკოტში,

კარგად შეხედე (კარგად მხედველმა) როდის შეიძლება ინახოს  
(ნახოს)“!<sup>21</sup>

ფარროსი (X-XI ს ს.): ფაპლუ-ე ჰარ გოლ ნეპდე ასთ ხერ.

„ყოველი ვარდის გერდით ეკალია დადებული“!<sup>22</sup>

ერთის შეხედვით თოქეოს ლიტერატურული გავლენების შე-  
დეგად შეიძლებოდა მიგვეჩინა ის საინტრიგო ხერხები, რომლე-  
ბიც საერთოა „ერთხმისტყაოსასანსა“ და ზოგ სპარსულ რომანში. მაგ.,  
ქალისა და ვაჟის ერთად გაზრდა; ფარდის ანდისა და ქალის უეკა-  
რი შეყვარების მოტივი; სატრიუ რომ აქეზებს მიჯნურს: წალი,  
სიგმირო საქმე ჩაიდინე და მერე შეგვყვარები; მიჯნურთა ბუზლუ-  
ნი; ქალი ომს როგორ მასწავლისო! და მისთანანი. მაგრამ ასეთი დე-

<sup>15</sup> თ ა ბ-ა ქ ბარ დ ე პ ხ რ დ ა, ამსალ-ო პექამ, I, გვ. 1324.

<sup>16</sup> თ ა ბ-ი, გვ. 1319.

<sup>17</sup> თ ა ბ-ი, გვ. 1324.

<sup>18</sup> თ ა ბ-ი, გვ. 1326.

<sup>19</sup> თ ა ბ-ი.

<sup>20</sup> თ ა ბ-ი, გვ. 1319.

<sup>21</sup> თ ა ბ-ი.

<sup>22</sup> თ ა ბ-ი.

ტალები ძალიან ხშირად გვხვდება მწერლობაში და შათი ურთიერთ-  
მიმართების გარევევა უკვე შეიძლება.

ყოველივე ეს იმას როდი ნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსნი“ კრ-  
ისაუტილი და შეზღუდული საზოგადოების პირმშო იყოს და მასში  
არაფერო შეინიშნებოდეს აღმოსავლური კულტურისა, რომლის კი-  
თილისმყოფელი გვილენა მეტ-ნაკლებად ცველი დაწინაურებულმა  
ქვეყანამ განიცადა. არა, მაგრამ უნდა ვიციქმოთ, რომ უფრო  
ხშირად „ვეფხისტყაოსნის“ აეტორი სხივსგან კი არ სესხულობს  
ამ რეალიებს, არამედ იყო მას იღებს ქართული სინამდვილიდან,  
აღმოსავლურ არეალში შემავალი მაღალი კულტურის მქონე ქაფ-  
ნის აუზიდან.

სულ სხვა საკითხია, როგორი იყო თავისთვად ეს აუზი.

ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის ზოგი  
შევლევარი, მათ შორის რუსთველოლოგთა ერთი ნაწილი, ნებსით  
თუ უნებლივ, ქართულ კულტურის განიხილავს ისლამური აღმო-  
სავლეთის ქვეყნების კულტურისგან მოწყვეტით. მართალა, არავის  
არ ავიწყდება, აღნიშნოს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მოქმედების არე  
საქართველო არაა და პოემის გმირებიც არაქართველები (არაბები,  
ინდოელები, სპარსელები) არიან, მაგრამ აღმოსავლეთი ისინი პოე-  
მაზი ხედავენ მხოლოდ პირობითი გარემოს სახით. ჩვენ, დღეს ასე  
დაშორებულთ ამ სამყაროსგან, არც კი გვაგონდება ის შეიძრო ურ-  
თიერთობა, რომელიც თვით XIX საუკუნემდე ჰქონდა საქართვე-  
ლოს თავის კარის მეზობლებთან: ირანთან, არაბულ ქვეყნებთან,  
არანთან, შარეანთან. რატომლაც ვივიწყებთ, რომ ხშირად და დიდ-  
ხანს მდგარა დრო, როცა ვთქვათ, განვა უფრო ახლოს იყო თბი-  
ლისთან, ვიდრე ქუთაისი. იყო ფაქტორები, რომელსაც წინ ვერ  
აღუდგებოდა რელიგია, მითუმეტეს, რომ საუკუნეების მანძილზე  
ჩვენ და, ვთქვათ, ირანს ერთი სარწმუნოება გვექონდა აღმოსავლე-  
თისა და დამავლეთის გეოგრაფიულ და კულტურულ მიზნაზე მდგა-  
რი საქართველო თვითონ იყო როგორც „დასავლეთის“, ასევე „აღ-  
მოსავლეთის“ შემადგრნელი ნაწილი.

6. მარმა<sup>23</sup>, იუსტ. პეტლაძე<sup>24</sup> და ალ. ბარამიძე<sup>25</sup> თავის „დროული“ შემოუთხოვს „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის სპარსულ ეპიკასთან ურთიერთობაზე კერძოდ, ნ. პარმა ის ნიზამის „ლეილმაჯნუნიანის“ შესავალს შეუდარა. ნიზამის კიდევ ოთხი პოემა აქვს (მათ შორის, ერთი პოემა“, „ესქანდერ-ნამე“, ორ წიგნადა და, მაშასადამე, ორ პროლოგს შეიცავს), ყველა მათი შესავალი მეტნაკლებად ჰგავს რუსთველის წინათქმას, მაგრამ „ლეილმაჯნუნიანის“ პროლოგი შადეც ძირითადად თანხედება „ვეფხისტყაოსნის“ შესავალს, ოღონდ ეს უკანასკნელი უფრო მოკლედ გაღმოგეცემს ნიზამის შესავალის ქვეთავებში გაშლილ თემებს ესანია: 1) უფლის დიდება. 2) პატრიონის ქება. 3) მიზეზი წიგნის დაწერისა. 4) წყარო პოემისა. 5) საუბარი პოეზიის შესახებ. 6) მსჯელობა მიჯნურიბაზე. ამ თემათან გან ორი-სამი შეიძლება, სხვა სპარსული პოემების პროლოგებშიც იყიდთხებოდეს ნაირ თემებთან ერთად (შეილის დარიგება, მოციქულის ქება და მისთ.) მაგრამ ასე ერთიანი და ასეთი თანმიმდევრობით, ვიმეორებთ, ისინი მხოლოდ ნიზამის „ლეილმაჯნუნიანის“ გვხვდება.

როგორც ეს ალ. ბარამიძემ დაამტკიცა, ტარიელი დიამეტრა-ლურად განსხვავდება მაჯნუნისაგან, მისი სიყვარული არამისტრული, ამქვეყნიურია<sup>26</sup>. მაგრამ რუსთველი, როგორც მხატვარი, მისტიკოს პოეტთა თუ მისტიკურ სიუკეტთა გაცემისა განიცდის, — ხორციელი სიყვარულის დახატვის დროს ხმარობს ამ სალებავებს, რომელსაც 'უზრაული სიყვარულის ალმწერნი გამოიყენებან.

რუსთველის დროს ისლამურ ლიტერატურაში უკვე კარგა ხნის ფეხმოყიდებული იყო ეს ე. წ. 'უზრაული სიყვარული.

<sup>23</sup> Н. Я. Марр, Об истоках творчества Руставели и его поэме. Подготовка сборника к печати, редакция текста, комментарий и примечания Н. В. Мегрелидзе, Тб., 1964, гл. 82. შემდეგში: Н. Я. Марр, Об истоках.

<sup>24</sup> ი უსტინე აბუ ლამე, რუსთველოლოგიური ნაშრომები. კრებელი შეადგინა და გამოსაცემად მოაწიადა ი. მეგრელიძემ, თბილისი, 1967, გვ. 72.

<sup>25</sup> ი ლ. ბარამიძე, ნარკვევები ქართველი ლიტერატურის ისტორიიდან, II, გვ. 209.

<sup>26</sup> ი. ბარამიძე, ნარკვევები ქართველი ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბილისი, 1945, გვ. 135-236. შემდეგში: ი. ბარამიძე, ნარკვევები I.

აქ შეყვარებული მისგან მოწყვეტილ სატრფოს კი არ იძიება და  
შისკენ კი არ იგნორს გზებს, არამედ უდაბნოში გაიჭრება და თავის  
მიუღწეველ სიყვარუობზე გოდებს. ეს ნაკადი გაჩნდა „უზროს, იმ  
ტომის პოეზიაში, რომელიც იმ დროისათვის ჰეგემონობასა და ქა-  
ლასური ცხოვრების ფუფუნებას მოკლებული აღმოჩნდა<sup>27</sup>. ჩნდება  
ასეთი ტიპის მიჯნურებზე შეთხხული ციფლები: 'ურვა და 'აფრა-  
ყავსი და ლუგნა, მაჯნუნი და ლემლა. სიკუვარულს, როგო-  
რი ხორციელიც უნდა ყოფილიყო იგი, მაგნუ-  
ნის შესაფერი სალებავებით ხატავდნენ. ისეთი  
სოფელებიც კი, როგორიცაა: ენისხა და რამინისა, სოლომონისა და  
ბალუესისა, აუსეფისა და ზელინესი, ხოსროესა და შირინისა, ვარ-  
ყავსი და გოლშაპისა, თამერისა და ზომრასი მაჯნუნისეული სიყვა-  
რულის ერთგვარ დაღლ ატარებენ. იმ გველენისთვის ვერ ან არ აუქ-  
ცევია მხარი „ვეფხისტყაოსნის“ იეტორსაც. მაგრამ „ვეფხისტყაო-  
სანში“, ახალი ტიპის რომანში, ვმირის მაჯნუნისებურობა შეყვარე-  
ბულის მხატვრული ასახვის მხოლოდ ხერხიდან გამოყე-  
ნებული. რუსთველს მხატვრული დამაჯერებლობით აქვს ასახული  
ეს გადასვლა ერთი სახეობისა მეორეში: ტარიელი ველად იმიტომ  
კი არ გაიჭრა, რომ იქ მაჯნუნის მსგავსად თავის ვაჩამთან მარტო  
დარჩენილიყო, არამედ იმისთვის, რომ ნესტანი მოექცენა. ასე, რომ  
სავესებით სამართლიანად წერს ვ. ნოზაძე: „ვეფხისტყაოსანში მის-  
ტყიური მიზნით გაჭრა არ არსებობს... აქ გაჭრა არის კაცობრიელი  
და ნორმალური, რეალისტური. ვეფხისტყაოსანში „გაჭრა“ არის და-  
კარგული სატრფოს ძებნა“<sup>28</sup>. საიდან მოდის ეს გველენა ვეფხის-  
ტყაოსანში“, ნიზამისაგან ხომ არა, როგორც ამას ფიქრობდა ა. ხა-  
ხანაშვილი<sup>29</sup>. რუსთველის ხანაში „მაჯნუნი“ (მიჯნური) უკვე ქარ-  
თულ ტერმინიდაა ქუეული და აქედან ზმანაც კი მიღებული. ქარ-  
თული ენის ბუნებას თუ გავიხსენებთ, საჭირო იყო უფრო მეტი  
დრო, ვიდრე რუსთველს და ნიზამის პოემას (1188 წ.) აშორებს,  
ქართულში ეს სიტყვა რომ დამკეიდრებულიყო. მაჯნუნს ისსენიე-

<sup>27</sup> ხე. И. Ю. Кратковский. Избранные сочинения. II. М., 1956, 25. 588 და შემდეგ.

<sup>28</sup> ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის მიჯნურობერყველება. პარიზი, 1975 წ., 23. 161.

<sup>29</sup> Открад по истории грузинской словесности. II. М., 1897. ვ. 279.

ბენ ნიზამინმდელი პოეტებიც: რუდაქი (X ს.)<sup>30</sup> და სენარ (1080-1141)<sup>31</sup>. ნიზამის პოემის გარეშე მაყნუნი აღმოსავლური სამყაროს-თვის გამამარტული იყო და არ არის გამორჩიული, ქართულ საზოგადოებას იყო ნიზამის პოემის დაწერამდე სცნობოდა, ასეა თუ ისე, მაყნუნისებური სიყვარულის გარე გნული ნიშნები „ვი-ფხისტყაოსანში“ ლიტერატურული გავლენით უნდა ავხსნათ<sup>32</sup>.

კიდევ ერთი აღმოსავლური ელემენტი საგანგებოდ შექმნილი ბუტაფორებია. პოემაში ისლამური აღმოსავლეთია ასახული და ბუნებრივია, სათანადო ფაქტურაც გვქონდეს. (მიზგითი, მუყრი, მულიმი, მუსაფი, ნოვრუზი და შისთანანი)<sup>33</sup>.

<sup>30</sup> რუ დაქი, მოსწორ, 1954, ს. 102.

<sup>31</sup> დ მ ვ ა ნ - ე პ ა ქ შ შ ს ე ნ ა დ ი ბ ე ნ ე მ ა ნ ა ფ ე რ მ ი ს ა ფ ე რ გ ვ . 18, 132, 263, 393, 426, 448, 500.

<sup>32</sup> „ვეფხისტყაოსანის“ მიკნურობის შესახებ იხ. მეტად საინტერესო, როგორც აზალი მოსახლეებით, ასევე მხატვრული და მეცნიერული ლიტერატურის მოხატვით, და ანალიზით გამოჩენილი ნაშრომები: ვ. ნ ი ნ ა ძ ე , ვეფხისტყაოსანის მიკნურობისტყვალება, პარმი, 1975 წ.; ნ. ნ ი თ ა ძ ე , რუსთველური მიკნურობა და რენესანსი, თბ., 1966 წ.

<sup>33</sup> გამოთქმულია მოსახრება, თითქოს რუსთველი ტარიელის პირით დასკანდეს ისლამის:

„სრული მეყრინი და მულიმი მე გარე შემომცემიდან,

ჩათ ხელთა ქქონდა მუსაფი, ყოველზე იყითხვილდან,

მტერლაციმრლა ვეგონე, არ ვიცი, რას ჩ მ ა ს ვ ი დ ი ა ნ“ (351).

მაგრამ არ უნდა დაგვაერთყოფს, რომ საქმე ეხება სიყვარულისგან გახელებილ ტარიელს, რომელსაც არც მაშინ ესმოდა, ირგვლივ რა ხდებოდა, როცა ეს მე-ბაერ შემოხვევა და არც ახლა აქეც იშინი თავი, რომ ირონიით მოიხსენიოს ფანშე ან რასკ, რადგან იმ ამბავს რომ შევეხა, აგელი მისდის და ტრემლსა ლვის“.

# I

„ვეფხისტყაოსნის“ ამბის წარმომავლობის საკითხი დღით ხანია შევლევართა ყურადღებას იპყრობს. სამწუხაროდ, მისი შესწავლა ის დროს ჩვენში ყოველთვის არ სულევდა მეცნიერული ატმოსფერო, ძალიან ხშირად ალიბერებოდა ერთგვარი კნებათალელება.

პროლოგში ავტორი აცხადებს:

„ეს ე ამბავი სპარსული, ქართველი ნათარგმანები.  
 ეს მარგალიტი იმპია ხელის-ხელ საგოგმანები,  
 ეპოვი და ლაქსიდ გარდავთვი“ (9 2-3).

სხვაგან პოეტი გვამცნობს:

„ეს ე ამბავი გავლექსე“ (166,2);  
 „დავწი, ოცნელმან გავლექს ე...  
 აქამდის ამბავ ნათევამი, ამ მარგალიტი წყობილი“ (7,3-4);  
 „ეს ე ამბავი იუცხონი, იუცხოთა ხელმწიფეთანი..  
 ეპოვი და ლაქსიდ გარდავთვი“ (9 2-3).

ავტორის ასეთ განცხადებას, თანაც არაერთგზის, არ შეიძლებოდა, ყურადღება არ მიქცეოდა. პირველი ჩვენთვის ცნობილი მყვლევარი, ვინც ამ საკითხს შეეხო, ვახტანგ VI იყო. მან გვაუწყა: „ეს ამბავი სპარსში არ არის“, ამბავიცა და ლექსიც რუსთველის ნახელავიაონ<sup>34</sup>.

აქედანეე უნდა შევნიშნოთ, რომ ვახტანგის განცხადებაზე დაყრდნობა სასურველი არაა, რადგან, ჭერ ერთი, ჩვენ არ ვიცით, რას გულისხმობს „ამბავი“ სიტყვით იგი, სიუცეტს თუ ფაბულას და, მეორეც, უხარმასარი სპარსული ლიტერატურის (თანაც მწიგნობრულისა და ხალხურის) ყველა ნიმუში შეუძლებელია, ერთი ადა-

<sup>34</sup> შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსნი, პირველი ბეჭდერი (ვახტანგისული) გამოცემა. 1712 წ. ალდგენილი ა. შანიძის მიერ. 1937 წ., გვ. სევ.

მიანისათვის ისე ყოფილიყო ცნობალი, რომ მას ასეთი კატეგორია-  
ლი განცხადების უფლება ჰქონდა<sup>35</sup>.

მაგრამ ვახტანგი სჯულმდებელი იყო და მისი აზრი, ბუნებრი-  
ვია, ბევრს თავის გავლენაში მოიქცევდა. ჩვენ ყველაზე ვიკით, თუ  
როგორ გაუსწორდა ილია ჭავჭავაძე ნიკო მარს, რომელმაც, მაშინ  
ასალგაზრდამ, განაცხადა: „ევფეხისტუაოსანი“ ერთი სპარსული რო-  
მანის გადმოკეთებაა, რმას „შაპრან-ნაშე“ ჰქვია, ბრიტანეთის მუ-  
ზეუმში ინახება, მალე მომივა და ჩემს აზრს უფრო დავისაბუთებომ<sup>36</sup>.  
ილიას ღრმად სჯეროდა პოემის ორიგინალობა და ამ ჭეშმარი-  
ბებით შეიარაღებული, იგი უსწორდებოდა არა მარტო ნ. მარს,  
არამედ სხვებსაც<sup>37</sup>. და არ არსებობს დღეს ჩვენში მოქალაქე, ვა-  
საც ილიას ბრძოლის მნიშვნელობა და სიმართლე არ ესმო-  
დეს.

<sup>35</sup> თავის ერთ-ერთ გვეიანდელ შრომაში (მასშე: ქვემოთ) იყ. გვახიშვილმა  
საესპიციო სარწმუნო მიიჩნია ვახტანგ VI-ის ეს ცნობა (ვახტანგმა სპარსულიც  
კარგად იცოდა და სპარსულ ხელვეტებზედაც ხელი მოწერდებოდა, უძრბნია  
კოდექსი ეს ამბავი ისანში, რაც ასე საგანგმოდ აღნიშვნას, წერს შეკულეური მაგ-  
რამ ვახტანგის აღმზრდელს და მის აღლობულ საბა იმპერატორს თუ დაკავშეებოთ,  
ვახტანგმა „სპარსული ზედმიწევით არ იყოდა“. ეს დამტკიცა ამ ბოლო ხა-  
ნებშიც. არა უტილია და დამანას“ ვახტანგისული თავმცირი უკალურად  
და მთლიანად შეუდაბნა თრიგინალს. იხ.: ვა ე ჭ ქ ა შ ე ც ი ტილია და  
დამანა, სპარსულიდან თარგმინილი მეტყ ვახტანგ მევემისა და სელხან-საბა თრ-  
ბერანის მიერ. ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარები და ლექსიკონი და-  
ურთის მიგადი თოლემი, თბ., 1975, გვ. 186. შემდეგი „ე ი ლ ი ლ ა და დ ა  
რ ა მ ა ნ ა, მ ე ი ლ ი ლ ა და დამანას“ სიბასეული ვერსია, თბ., 1967 წ.

<sup>36</sup> ნ. ვარი, წერილი უფლებისტუაოსნის გამო. გვ. 1. „ოთატრი“, 1890, № 12.

<sup>37</sup> ი. ვავეკვაძე, თხულებათა სრული კრებრლი, ტ. VIII. ობიტის  
1957, გვ. 122.

<sup>38</sup> როგორც იჩვევეა, ილია ჭავჭავაძეს მიანც პქონდა საუკათაში შეხედულ-  
ში ამბის სესხების საკითხში. მას სათავილო მიაჩნდა არა თუ სხვა ენიდან არ-  
მედ თვით საუკათაში ფოლელორიდან ამბის სესხება. ას, რა ცნობას უგანტელის  
ამის თაობაზე ხომლები: ილია ჭავჭავაძესთან ვიუავით ნიკო ხიზანიშვილი თა მე-  
სატარში ქართულ ლიტერატურაზე ილიამ გვითხრავ: არაა სწორი ახალი გა-  
შოთქმელი აზრი, თითქოს „ევფეხისტუაოსანს“ ხალხური თქმულება ეცნოს სა-  
უცხელალ; პირიქით, ხალხური თქმულებები მომდინარეობენ შოთას პოემიდან  
თუ ეს ამბავი აგრე არ იხსენა, შოთა რესთაველის სიღიად და გენიოსისაც  
დაინტერესობოთ“. ი. ვავეკვაძე, ხომლების რესთაველოლოგიური ნააზ-  
რევი, „ძეველი ქართული შეტრანსლის და რესთაველოლოგის საკითხები“, ვა-  
VIII. 1976, გვ. 303.

ილიას „შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ ამბის ორიგინალობას ბევრი იცავდა, მაგრამ მათ შორის ყველაზე თავგამოდებული იყვნენ: კ. ქ. მ-კლიძე, პ. ინგოროვა და ალ. ბარამიძე<sup>39</sup>, თუ ვახტანგ VII-ს წინ ელობებოდა პოეტის განცხადება, ილიას — პოეტის განცხადება და 6. მარის უსაფუძვლო პიპოთეზა, კ. ეკელიძეს, პ. ინგოროვას და ალ. ბარამიძეს, გარდა ზემოთ მოტანილი საბუთებისა, პასუხი უნდა გაეცათ ქართული კულტურის ისეთი მკვლევრებისათვის, როგორ-ნიც იყვნენ: პლატონ იოსელიანი<sup>40</sup>, 6. ნიკოლაძე<sup>41</sup>, ი. მეუნარევა<sup>42</sup>, პ. ჯანაშვილი<sup>43</sup>, ზ. ჭიჭინაძე<sup>44</sup>, ზ. ავალიშვილი<sup>45</sup>, ივ. ჯავახიშვილი<sup>46</sup>, კ. დონდუა<sup>47</sup>, 6. მარია<sup>48</sup>, იუსტინე აბულაძე<sup>49</sup>, ს. კაკაბაძე<sup>50</sup>, შ. ნუ-ცუბიძე<sup>51</sup>, რომელთა ასრით, სიმართლე დაცულია სწორედ პოემის

<sup>39</sup> ექტროზ ნოზაძეს საგანგებოდ არ უკლევია ეს საყითხი, თავის უკნა-შეწრულ ნაშრომში იყო გაკრით ეხება მას (საკამათოდ იგი არც მოაჩნდა): „ვე-ფხისტყაოსნი არის ქართული ცხოვრების რომანი და მას არც შინაარსობრივ და არც მსოფლიშეცველობით არაითარი კაშირი არა აქვს არც სპარსულ, არც ინდურ, არც არაბულ და არც რომელიმე ერთს ცხოვრებასთან“ (ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათშეტყველება, სანქოგან დე ჩილე, 1958 წ., გვ. 28). „ვეფხისტყაოსნი მხოლოდ და მხოლოდ ქართული საზოგადოების საუკრა-ველზეა ძექმნილი და მიღრობ ამ პოემაში: „ესე მძიევი სპარსული ქართული ნათარგმნებიც სრულყბით სინამდვილეს არ შეესაბამება და მხოლოდ პოეტური ხერხისათვის არის გამოყენებული, რაც ძევლად და შერჩევ მწერლიკმი მიღუ-ბელი იყო“ (ვ. ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ღმრთიშვილება, პარიზი, 1963 წ., გვ. 549).

<sup>40</sup> პ. იოხელიან „ვეფხისტყაოსნის სიუკეტა მიაჩნდა არაბულ მმხევრა მსგავსდა შექმნილად. იხ.: ილ. იოსელიანი, შოთა რუსაველი (1174-1213), გამ. „ქავაკავ“, 1870, № 13.

<sup>41</sup> ი. ნ. ინიკოლაძე, ებედი.

<sup>42</sup> ი. მეუნარევა, რ. წყარო ქართველი ხელო რესოლეცის, როცა „ვეფხისტყაოსნი“ უწერია. ვევრის, 1892, № 66. შემდეგში: ი. მეუნარევა.

<sup>43</sup> გ. ჯანაშვილი, მოსე ხმელეთი და მისი „ამირანდარევანიანი“. თბ., 1895, გვ. 17. შემდეგში: გ. ჯანაშვილი.

<sup>44</sup> ზ. ჭიჭინაძე, „ამირანდარევანიანი“. გან. „ლროვბა“, 1885, № 162. შემდეგში: ზ. ჭიჭინაძე.

<sup>45</sup> ზ. ვალიშვილი, ვეფხისტყაოსნის საყითხები. პარიზი, 1931, გვ. 86.

<sup>46</sup> ი. ვ. ჯავახიშვილი, მამელიშვილობა და შეცნორება. თბ., 1904, გვ. 45. შემდეგში: ი. ვ. ჯავახიშვილი.

<sup>47</sup> კ. დონდა, ამირანდარევანიანი. „Памятники эпохи Руставели“, Л-დ, 1938, გვ. 94, შემდეგში: კ. დონდა.

<sup>48</sup> თ. რ. IV. 1909, გვ. 55.

<sup>49</sup> ი. სტიბე აბერლი, გვ. 175.

<sup>50</sup> ს. არგის კაკაბაძე, რესოლეცია და მისი ვეფხისტყაოსნი, თბილისი, 1966, გვ. 158.

<sup>51</sup> შალვა იუცუბიძე, Творчество Руставели, Тб., 1958, გვ. 139,

ეფტორის განცხადებაში, როცა ვეაუწყებს: ქართულად თარგმნილი სპარსული ამბავი ვავლიქსეო. მაგრამ საკითხის კვლევას წარმარება არ ჰქონია. ამის მიზეზი კი ის იყო. რომ, ოროდე გამოხალისს გარდა, რომელზედაც ქვემოთ გვიქნება საუბარი, ეს ოპუსები მშრალ დეკლარაციებს არ გასცილებია. ა. რას წერდა ივ. ჭავახიშვილი: „შოთამ, როგორც თვითონ ამბობს, თვის თსწულებისათვის სპარსული ამბავი ოღო მასალად, ეს ამბავი უკვე „ქართულად ნათარგმანები“ ჰქონა და „ლექსად გადათქვა“. ჩევნ ზემოთ დავინახეთ, რომ ასე იქცეოდა უკველა სპარსული პოეტი დიდით პატარამდე. რუსთველმაც მასალად ისეთი სპარსული ამბავი აიღო, რომელიც მის მოთხოვნილებას და განსხრახეს უფრო შეუფერებოდა, მაშასადამე, შოთა ისე მოქცეულა, როგორც მოიქცეოდა თვითონეული მაშინდელი პოეტი აღმოსავლეთში. ცხადია, რომ ისინი, ვისაც ჰგონია, ვითომ ეს გარემოება შოთას უნდა წუნსა ს დებდეს, დიდად შეგცდარნი ბრძანდებიან: თუ სპარსეთის შეტერლებს სახელს არ უფლუბებდა და არც ეხლა უფლუბებს ეს გარემოება, შოთას რითმა უნდა უშედეს? არათრით... შოთას ნიჭის თუ უნიკობას ის დაამტკიცებს, თუ როგორ იასრულა მან თავისი განსხრახეა: ხელოვნურად, თუ არა, რა ცელილება შეიტანა თვის მასალაში, როგორ შეიმუშავა, ხოლო ამისთვის დახსაც საჭირო იყო და საჭირო არის სპარსული დედნის პოენი. ახლა კი ჯერგერობით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ შოთამ თვისი განსხრახეა ენისა და ლექსთაწყობისა და პოეტური დასათაურების მხრივ საცუხოვოდ აასრულა. „კეფხისტყაოსანი“ უკედავია! (ხახი ჩევნია. — მ. თ.)<sup>52</sup>. მაგრამ, რადგანაც ხელთ სათანადო საბუთი არ

<sup>52</sup> ი. გ. ჩავახიშვილი, 83. 45. ლილმა შეუწიერმა ალექსაზ დაუტერავანგზ VI-ს: „მისი (გამტანგ VI, — მ. თ.) გადაწირილი უოორ კილა მძიეცებს, რომ მას „კეფხისტყაოსანის“ სპარსული დედანი სპარსეთში უძებნია. მაგრამ კეტომორჩენისა და ვერსაც უპოვა. ა. რა გარემოებას პქონია იმ აღმაღვევი შეკლებებისათვის გადამწერები შინშეცრულობი და მას მიუკია მისოვის სამუშაოს დავსკვა, რომ „კეფხისტყაოსანის“ ამბავი უტორის განცხადებისდა მიუხელავად სპარსული არ არის, უატანგ მცენის ხეპიმოყვანილი მოქმედია მეტად საკურალ დებთა. მაშინ სპარსული მშერლობის დეგლები კარგად იყო შენაზრული და მასაც მშევნეობით ხელმისწერი მოისოდებოდა, ვითარება სპარსეთში ბერებრეზე ხელყოფა და გასწოდებული, მას სრული საშუალება ჰქონდა, ეს საკითხი საჭირო კლიინისად გამოყიდა. როგორც ბატონიშვილისა და მერისთვის სპარსეთის ბერებ-

ჰქონია, რე ჯავახიშვილმაც სრულიად უმტკივნეულოდ დათმობული იყო  
ს. პოზიცია და 1937 წლისათვის მეორე ბანაკში გადავიდა. გადამდებრებულ  
საუკრადლებო და, შესედულების თვალსაზრისით, საეტაპო მო-  
საზრება გამოიტქვა ამის თაობაზე ნ. ნათაძემ „ვეფუბისტუაოსნის“ მის  
გერე მომზადებულ საინტერესო გამოცემიში: „პოზის ზოგი სიუკე-  
ტური ხასები, უნდა ვიფიქროთ, მართლაც აღებულია საზღვაო და  
სათავეადასავლო ლიტერატურის აღმოსავლური ფონდიდან. მაგრამ  
სიუკეტის მთავარი და მსოფლიო დაცვის თვალსაზ-  
რისით არ სებითი ხასები, რომლებიც ავტორის ეთიკურ-მო-  
სალური, ფილოსოფიური და პოლიტიკური შესედულებების გამო-  
ხატებს ემსახურება, საცხებით ორიგინალურია“<sup>53</sup>.

კუველა, ასე თუ ისე განათლებულმა შოქალაქემ საკუთარი დაკავირებით იცის, რომ მრავალი ლიტერატურული ნაწარმოების ამბა-  
ტი ერთმანეთს ჰგავს. კიდევ მეტი, კლასიკოსებს ძალიან ხშირად  
სხეისი ნაწარმოების ამბავი ექვთ გამოყენებული. მეცნიერულ დო-  
ნეზე კი ფაბულათა ასეთი ზიარობის მაგალითები უფროა გასწორილი  
და შედარების სუეროპ უფრო ფართოა. და მართლაც, მსოფლიო

ლიტერატურის უპირველესი ძეგლები ამ ნიშანს უკვე ატარებენ.  
გავაკეთოთ მცირე ექსეურსი.  
ანტიური ლიტერატურის პირველსაც ნიმუშებს ზიარი ფაბუ-  
ლები უძევთ საფუძვლად.

პომერანის (VII-III-VII სს.) ორივე პოემა მანამდე უკვე ჩამოყალიბებული მითოლოგიური სიუკეტების (და ასა შხოლიდ ფაბუ-

ლების) გადამუშავებაა. „ოდისეაში“ შერწყმული, ირთ ჟელონიკური სიუკეტი: 1) დაპრუნებული ქმარი და მისი მომლოფინებუროვანი ცოლი. 2) მამის მაძიებელი შვილი.

მცლიანად ძელ მითებზეა დაფუძნებული პესოდეს (VIII-VII ს. ს.) 1) „ქალთა კატალოგი“, ხოლო მისი „თეოგონიისა“ და „სამუშაონი და დღენის“ სიუკეტური პარალელები ამ ბოლო ხანებში ძელ ეჯიპტურსა და ბაბილონურ ლიტერატურაში იქნა აღმოჩენილი.

არისტოფანეს (445-385) ყველაზე პოპულარულ კომედიას „ფრინველებს“ მანამდე საყოველთაოდ ცნობილი ხლაპარი უძევს თაფუძვლად.

ესქილეს (525-456) „მირმიდონელები“ ავებულია „ილიადას“ სიუკეტზე, „მავედრებელი ქალები“ — არგოსის მითზე, „ევაზტოდები“ და „დანაელები“ — დღემდე შემონახულ უძელეს ბერძნულ მითებზე. მსოფლიოში ესოდენ პოპულარული ესქილეს „სპარსელები“ ყარდნობა მის შექმნამდე სულ ოალაც თოთხ წლით აღრიცხვის მიერ უკვე გამოყენებულ სიუკეტს, თანაც თვითონ იყო დრამატურგი პიესაში აღწერილი ამბების შემსწრე და მონაწილე. ისეთი ძეგლი, როგორიცაა ესქილეს „შვიდნი თებეს წინააღმდეგ“, რომელმაც ესოდენ დიდი რეზონანსი გამოიწვევა თვით ანტიკურ ლიტერატურაში, ლაიონისა და ოდიპოსის შესახებ უკვე მანამდე არსებული მითის გადამუშავებაა. მთლიანად მითებს ემყარება ესქილეს სხვა ტრაგედიებიც: „აგამენონი“, „ქოეფორები“, „ევმენიდები“, „მიგაჭული პრომეთე“...

სოფოკლეს (496-406) ყველა ტრაგედია (და, მაშასადამე, მათ შორის „ანტიგონე“, „ოიდიპოს მეფე“, „ელექტრა“) უძელესი ბერძნული სიუკეტების გადამუშავებაა, ხოლო მისი „ფილიკტეტი“, რომელსაც, კომეორებთ, ასევე მითი უძევს საფუძვლად. მანამდე უკვე დამუშავებული პქონდათ მის თანამედროვეთ: ესქილეს და ეკრანიდეს.

ევრიპიდეს (480-406) „ალექტრას“ სიუკეტი ესქილეს და სოფოკლეს ტრაგედიებს იმეორებს. პერსევრის შესახებ ასებულ ბერძნულ თქმულებებზეა აგებული ეკრანიდეს „ანდრიომედა“, ესქილეს 30 (მის თხზულებას „შვიდნი თებეს წინააღმდეგ“) დაეყრდნო ეკრა-



პიდე „ფინიურლი ქალების“ წერის დროს, მთლიანად ბეჭიშვილისა  
მთლიანი ფასტელებს იძერობდა ევროპიდე თავის პიესებში: „ტროე-  
ლი ქალები“, „ბაკეტი ქალები“, „იუდენია ტავრიდელი“, „იუდიგე-  
ნია ულიდელი“, „იმოლიტი“ (თავისთავად ამ უკანასკნელი თხზუ-  
ლების სიცემი გამოიყენა შემდეგ სენეკამ თავის „ფულრაში“).  
ძველი დროის ორერთო ხალხის უოლელორში ფიქსირებული ფასტე-  
ლი მივდებული ბავშვის შესახებ დადო საფუძვლად ეკრიპტების  
„ონს“. თავისი „ელენი“ კა გენიალურია ბერძენია დრამატურგმა  
შეთხსა ცნობილი მითის იმ ვარიანტის მიხედვით, რომელშიც ტრო-  
ელებს თითქოს ტყვედ ჰყევდათ არა ელენე, არამედ მისი მოჩვენე-  
ბა, ევროპიდეს „ორესტეს“, „პერაკლესა“ და „მედეას“ საბერძნეოთში  
ეგოდენ პოპულარული თქმულებები უძევთ საფუძველად.

ჩვენ აქ შევეხეთ, ისიც გაერთოთ, ბერძნული ლიტერატურის  
პირველ ხუთ კლასიკოსს, მაგრამ, ეს ლიტერატურა (თვით ბიზანტი-  
ური ხანის ჩათვლით) მთლიანად ფასტულათა განსაზღვის ტრადიცია-  
ზეა აგებული, ამ ტრადიციის მისდევენ კალიმაქე (310-240), ამო-  
ლონ როდოსელი (IV-II.I სს.), პლავტე (II ს. ჩ. ვ.), ენისი (239-  
169), ტერენციუსი (190-159), ერეგილიუსი (70-19), პორაციუსი (65-8),  
ოვიდიუსი (43 ჩ. ვ. — 18), სენეკა (გ. 65 წ.), სტაციუსი (გ. 95 წ.),  
პულეუსი (დ. 124 წ.)...

IX საუკუნიდან, ე. ი. მისი ჩასახვიდან, მოყოდებული ფრანგუ-  
ლი ლიტერატურა ზისტ სიცეარებზე დაფუძნებული. „კანტილენა  
წმ. ევალიასე“ (IX ს.), „წმ. ლეოდეგარის ცხოვრება“ (X ს.), „ქრის-  
ტის ვნებანი“ (X ს.), „წმ. ალექსის ცხოვრება“ (X ს.), ე. წ. კეს-  
ტები: „სიმღერა როლანდზე“, „რომანი ალექსანდრეს შესახებ“  
(1130 წ.), „რომანი თებეს შესახებ“ (1150 წ.), „რომანი ტროის შე-  
სახებ“ (1165 წ.), „რომანი ქწეს შესახებ“ (1160 წ.), „რომანი  
ბრუტოსის შესახებ“ (1155 წ.), „ტრისტანი და იზოლდა“ (1170 წ.),  
კრეტიუნ დე ტრუს არეკი და ენიდა“ (1165 წ.), „კლიენსი“ (1170  
წ.), „ლემსელოტი“ (1181 წ.), „დევნი ანუ ლომის ათანდი“ (1181  
წ.) „პერსევალი ანუ გრალის მმავი“ (1190 წ.), „ფლუარი და  
ბლანშეფორი“ (1170 წ.), „ოკამენი და ნიკოლეტა“ (XIII ს. დასი-  
(XII ს.) „გრაალის ისტორია“, ფილიპ დე რემი ბომანუარის (1250-

1296) „უხელო“, „მელის რომანი“ (XII-XIII ს.), ე. მილეს „ტრთას დანგრევა“, რაბლეს (1494-1553) „გარგანტუა და პანტაგრელი“, დე ტრუას „ახალი ნოველების დიდი ნიმუში (1535 წ.), დიუ ფაილის (1520-1591) „სოფლური სახუმარო საუბრები“ და „ხუმრობანი ანუ ერტაპელის ახალი ზღაპრები“, კოდელის (XV ს.) პიესები: „და-ტყვევებული კლეოპატრა“, „დიდონა“ და სხვ., მ. ლ. დე გომბერ-ცელის (1600-1674) „პოლექსანდრის განდევნა“, კ. დე ლა კალპრე-ჩედის (1610-1663) „კლეოპატრა“, მადლენ დე სკუდერის (1607-1701) „დიდი კიროსი“, კორნელის (1606-1684) „სიდი“, „პორაციუ-სი“, „ცინა“, „პოლიევეტი“ და სხვ., მოლიერის (1622-1673) „სასიყ-ვარულო წუხილი“, „დონ უზანი“ და მრავალი სხვა პიესა, რასი-ნის (1639-1699) „ფედრა“, „ანდრომახი“ და სხვ., ლაფონტენის (1621-1695) იგავები...

იტალიური ლიტერატურიდან ხუთივე მის უდიდეს ეპიკოსს და-ესახელებთ: დანტეს (1265-1321), ბოკაჩიოს (1313-1375), ბიოარ-დოს (1441-1494), არიოსტოს (1474-1533) და მარინოს (1569-1625). თათქოს ისე ორივინალურად მოფიქრებულ ფაბულას, როგორიცაა „ლვთაებრივი კომედიის“ ფაბულა, საფუძვლდ უქევს უკევლესი ამ-ბავი საიქოზი მოხვედრილი კაცის შესახებ. დანტეს თხზულების ფაბულა მასზე აღრე არაბ აბუ ლ-ალა მა'არის (979-1057) უნდა გამოეყენებინა<sup>54</sup>, მაგრამ როგორც ირკვევა, არც არაბი ავტორი ყოფილა აქ პირველი. მანამდე დიდი ხნით აღრე იგი საფუძვლად დასდებია III-VII საუკუნეებში შექმნილ ირანულ ძეგლს „არდა ვირაფ ნამაკს“<sup>55</sup>.

ბოკაჩიოს „დეკამერონი“ მთლიანად ნასესხები ნოველებისგან შედგება, ხოლო ბიოარდოს „მიჯნური როლანდის“ წყარო ამ ფაბუ-ლასე შექმნილი ფრანგული ვარიაციებია. არაფერს ვაშნოთ აქ არიოსტოს „როლანდზე“. რაც შეეხება ამ აეტორის კომედიებს, ისინი რომაულ სიეკეტებზეა აგებული. მარინოს „ადონისი“ მითო-ოლგოური პოემაა.

<sup>54</sup> II. 10. Крачковский, Избранные сочинения, т. II. М.-Л-д. 1956, 23, 297.

<sup>55</sup> ამ ძეგლის თ. ჩეიიძისევლი ჭართული თარგმანი იხ.: „არმალ ანი“, II, 83, 98.

ინგლისური ლიტერატურის პიტორიქის წილების (1340-1400) შემთხვევა „ტრიოლი და ქრისტენი“ მმავი ბოკჩის „ფილოსტრატესა აგანა“ აქვს ნახესხები, ხოლო „ლეგენდის“ ისტორიები ოფიციულია და ვერგილიუსისგანა აქვს წამოღებული. ასევე ნახესხებ ფაზულის ეყრდნობა მისი საქვეყნოდ ცნობილი „კენტერბერიული მოთხოვები“.

შექსპირის უზარმაზარი მემკედრეობიდან მხოლოდ სამი მისი ჭირის წყარო არაა ჯერ ჯერ ბით ცნობილი (გახაზული გამოთქმა შექსპიროლოგებისაა).

მთარულ სიუკეტებსა და მოტივებს ემყარებიან ბაირონის ე. წ. „აღმოსავლური პოემები“. მაგრამ ყოველთვის არც „დასავლური“ თემებისათვის შეუსხამს მას ხორცი მთარული ფაბულების გარეშე. მის „კენს“ ბიბლიის ტექსტი უძევს საფუძველად. ხოლო „დონ კუანის“ ფაბულა გარდა იმისა, რომ ისტორიულ სინამდვილეში იღებს სათავეს, ბაირონამდე სულ მცირე, ათ მწერალს მაინც ჰქონდა გამოყენებული (1630 წ. — ესპანელი დრამატურგი ტირსო დე მოლინი, 1650 წ. — იტალიელი დრამატურგი ჩიკონინი, 1652 წ. — იტალიელი ჭილბერტო, 1658 წ. ფრანგი დორტიმონი, ხოლო ერთი წლის შემდეგ მისივე თანამემამულე დე ვილე, 1665 წ. — მოლიერი დგამს თავის ერთ-ერთ შედევრს სახელწოდებით — „დონ კუანი ანუ ქვის სტუმარი“ და სხვ.).

შუა საუკუნეების გერმანული კლასიკური ლიტერატურა გარედან, ძირითადად ფრანგული გაით, შემოსულ სიუკეტებს ეყრდნობა.

„პელიანდში“ ახალი აღთქმის, კერძოდ ქრისტეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ამბებია გადმოცემული.

„გენეზისი“ წარმოადგენს ძველი აღთქმის პოეტურ გადმოცემას (ექ და კვემოთ ბრკეალებში ჩასმული მოსაზრებანი ეკუთვნის პროფ. გ. ხევთასს, რომელსაც ვეყრდნობით ამ ლიტერატურის საამისო ანალიზისას).

„პილდებრანდის სიმღერას“ (810-820 წ.წ.) საფუძვლად უძევს მამისა და შვილის შებრძოლების თემაზე შექმნილი რამდენიმე სიეზები, მათ შორის როსტომისა და ზურაბის ამბავი.

„მელავმაგარი გალთარი“ (920-930 წ. წ.) წარმოადგენს ლაპატური  
თარგმანის ძევები გერმანული სავმირო ეპოხის ჩვენი მეზობელების  
და ნიმუშისა, გერმანული გალთარის ეპოხისა.

„სიმღერა ალექსანდრეზე“ (XII ს. დასაწყ.) — ბეზანსონელის  
ფრანგული პოემა გერმანულად გადაკეთა ლამპერსტმა.

„სიმღერა ოლომენდზე“ (XII ს. დასაწყ.) ფრანგული პოემილან  
გაღმოაკეთა კონტად რევენსბრუკელმა.

„მეფე ოოთერის“ (1144-1156 წ. წ.) უცნობი ფრონტი იყენებს  
ძველ მოტივს უცხო მხრიდან პატარიშლის მოტაცებისას, რომელიც  
განამდე მრავალჯერ იყო დამუშავებული, მან გამოიყენა აგრეთვე  
მეფე აუთარის (VI ს.) ისტორია.

„ოსვალდის“ (XII ს.) გმირია ისტორიული პირი ისევალდი  
(VII ს.), რომლის ცხოვრება აღწერილია ბედას „ინგლისელთა ეკ-  
ლესის ისტორიაში“. ამ ცხოვრების დაგმატა ხალხური ლეგენ-  
დები და ის, ეს წყაროები დაიღო საფუძველად თხშელებას.

„ორენდელი“ (XII ს.) პოემაში გამოიყენებულია გერმანულ  
მითოლოგიური გვერცელებული მოტივი ზაფხულის ზამთრის ტყვე-  
ბაზი მოქცევისა და შემდეგში მისი აქედან განთავისუფლების შე-  
სახებ.

„სალმან და მოროლფი“ (XII ს.) — „მასალა ნაწარმოებისა  
დღოსავლური წარმოშობისაა“.

„პერცოგი ერნსტი“ (1180 წ.). პოემის „ისტორიულ საფუძველს  
წარმოადგენს შეა საცეკვების გერმანიის ამბები“.

„სიმღერა ნიბელუნგებზე“ (XII ს.). „ნაწარმოებს საფუძლად  
დაეღო ძველი ეპიკური თქმულებები“.

„გუდრუნი“ (XIII ს. დასაწყისი) ეს ნაწარმოებიც „ძველ გერ-  
მანულ თქმულებებს ემყარება“.

„ვარდის ბალი“ (XIII ს. პირველი ნახევარი) — საფუძლად  
უძევს თქმულებები დიტრის ბერნელის შესახებ.

„ლაურინი“ (XIII ს. დასაწყისი) — საფუძლად უძევს თქმუ-  
ლებები დიტრის ბერნელის შესახებ.

„ზიგენტი“ (XIII ს.) ეს პოემაც დიტრის თქმულებებს ეყ-  
რდონბა.

„ვირვინალი“ (XIII ს.) — ესეც.

„რავენისთან შრომლა“ (1282 წ.). ამ პოემასაც დიტრიხის „შესახებ არსებული თქმულებები უძევს საფუძვლად.“ კარგია ამ ტრიალის საფუძვლად დაუდო ვერგილიუსის რომანის „ენეიდას“ ფრანგული გადაკეთება.

„ტრიას მიზან“ 1210-1217 წლებში დაწერილ ფრიცლარის ამ თხზულებას სათავე სად ენდა ჰქონდეს, ყველასათვის ცნობილია, ავტორიც გვაუწეუბს ამას, სხვის მოწაფე და მიმბაძეელი ვართ. თხზულებას, კერძოდ, საფუძვლად უძევს ფრანგი მწერლის ბენუას ნიწარმოები.

„ერეკი“ (1190 წ.) პარტმანის ეს რომანი კრეტიკ და ტრას რომანის გადმოყენებაა.

„ივაინი“ (1200 წ.) მავე ავტორისა იმავე კრეტიკ და ტრას რომანის გადმოყენებაა.

„გრეგორიუსი“ (1195 წ.) იმავე ავტორისა ოიდიპოსის ცნობილ ფაბულის იმეორებს, თანაც ფრანგული წყარო უძევს საფუძვლად.

„პარცფალი“, „კოლფრამ ფონ ეშენბახის“ ამ რომანში (XII-XIII ს.ს.) „მასალად გამოყენებულია თქმულებები არტურისა და გრაალის შესახებ, კერძოდ, კრეტიკის რომანი.

„კოლეპალმი“, კოლფრამ ფონ ეშენბახის ამ თხზულებას საფუძვლად უძევს ფრანგული საგმირო ეპისი „ბრძოლა ალისკანთან“. „ტრისტანი და იზოლდა“ (1210 წ.). გოტფრიდ სტრაბურგელის ამ რომანს უსწრებს უამრავი ასეთი სიუეტი, მათ შორის „ვისი და რამინი“.

„ლოენგრინი“ (1255-1288 წწ.). ამ გალექსილ რომანს კოლფრამის „პარცფალი“ უძევს საფუძვლად.

დაცუმის ხანის (XIII ს.) თხზულებებზე კი არაფერს ვიტყვით, ისინი ერთიანეორის გადამღერებებია.

ვერცეს ნაწარმოებში თვეობის იდეების გამოსახატვად გოეთეს სწორედ სხეის მიერ დამუშავებული ფაბულა მიაჩნდა უფრო შესაფერისად (ამის, როგორც ქვემოთ დავინახავთ, იყი ხახს უსვამდა ცეკმანოან საუბარში). ამიტომაც არის, რომ ყველა მისი ეპიკური ტრალო თუ ბალადა მანამდე დამუშავებულ ამბებს ან ქრონიკებს, აქმულებებსა და მითებს ეყრდნობა.

გოეთეს რომანს „კლავიულს“ ბომაზუშეს ჩანაწერების მეოთხე  
თავი დაედო საფუძვლად. სხვის მიერ გამოყენებული ამბეჭ გადმო-  
კუთებაა გოეთეს დრამა „სტრელაც“. არავის არ ეკვებს გოეთეს  
უდევრის „იფიგენიას“ მიმართება ანტიკურ ლიტერატურასთან.

ჟევლა, რომელიც კაცობრიობის მხატვერული ასრონების შე-  
დევრად იქცა, „ფაუსტს“, გოეთემ საფუძველად დაუდო თავისთავეად  
ისტორიულ სინამდვილეზე შექმნილი ე.წ. „ხალხური წიგნი“ —  
თქმულება დოქტორ ფაუსტის შესახებ (1587 წ.). გოეთემდე ეს ფა-  
ზულა ლიტერატურულად დამუშავებული პერიოდი კ. მარლოს „დოქ-  
ტორ ფაუსტის ტრაგიული ისტორიის“ სახელწოდებით (1588-89).  
ეს ფაზულა იმდენად პოპულარული და ბანალური იყო. რომ მას  
ეკრობის ქალაქებში თოჯინების თეატრები დგამდნენ.

აյ სიტყვას არ გავაგრძელებთ გოეთეს მეორე პოემის „რაინეკი  
მელის“ წესახებ, რომელიც მთლიანად „ქსევისია“, გოეთემ მხოლოდ  
რამდენიმე ტავით დაუმატა მას და მაინც სრულიად ახალი სახე მის-  
ცა, ახალი სული შთაბერა და ახალი იდეები ჩააქსოვა. თეოთონ გო-  
ეთეს თქმით, ეს თხზულება „თარგმნასა და გადაკეთებას შორის მერ-  
ყეობს“<sup>56</sup>.

ასე შექმნა გოეთემ თავისი დრომა „გოთუიც“, რომლის მოქმე-  
დი გმირის კვალს ერთ იურიდიულ წიგნში წააწყდა, აიღო მისი ამ-  
ბავი და ჩაურთო შიგ რამდენიმე ეპიზოდი.

როგორც დავინახეთ, მთელი გერმანული ლიტერატურა თეოთ  
XIX საუკუნის ჩათვლით ზიარ ფაზულებს ამუშავებს. ყოველ შემ-  
თხვევაში, რუსთველის ეპოქის ყველა სარაინდო რომანი ნახესხებ  
ფაზულებს ეყრდნობა. „მიუხედივად ამისა, ორიგინალობა და გერ-  
მანული ხასიათი ამ რიგის ლიტერატურისა ეკვის ქეშ არ შეიძლე-  
ბა დავაყენოთ“, რაღაც „არსებითი მნიშვნელობა გერმანული სა-  
რაინდო რომანის ბუნების გარკვევისათვის, იმის გარკვევისათვის,  
თუ რა მიმართებაშია ეს რომანი გერმანულ სინამდვილესთან, ენი-  
ჭება არა იმას, თუ რას ამუშავებენ გერმანული რომანისტები —

<sup>56</sup> ვ. ვ. გოეთე. რაინეკი მელა, თარგმანი გერმანულიდან ვახტანგ ბერი-  
ელისა. თბ., 1961 წ., გვ. 7.

ვერმანული სინამდეღლიდან თუ უცხოურიდან აღებულ მასალას, არამედ იმას, თუ როგორ ამჟ შავებენ მას „<sup>57</sup>“.

ვერმანულ ლიტერატურას (ისე, როგორც ინგლისურს, — მშედველობაში გვაქვს ჭობის „ულისე“,) — უკვე დამუშავებული ფაბულების ხელახლა ვადამუშავებაზე არც XX საუკუნეში აულია ხელი. ჩევნი ეპოქის ორი უძილესი ქმნილება თ. მანის „იოსები და მისი ძმები“ და „დოქტორი ფაუსტი“ ჩევნს თვალშინ შეიქმნა უძველესი და მრავალგზის გადაღევილი ფაბულების საფუძველზე.

ახალი სპარსული ლიტერატურის მამამთავრის რუდაქის (X ს.) ფრაგმენტების სახით შემორჩენილი ცხოველთა ეპოსი „ქილილა და დამანა“ ამავე სახელწოდების არაბული პროზაული ძეგლის თავისუფალ გაღექსვას წარმოადგენს (თავად არაბული ერასია საშუალო სპარსულიდან მოდის, ეს უკანასკნელი კი ინდური „პანჩატანტრის“ გადაეკეთება). მსოფლიო ლიტერატურის შედევრის, ირანის ნაციონალურ ეპოსს, ფირდოუსეს (X-XI ს.ს.) „შპა-ნამე“, როგორც ავტორი ამას არაერთვზის თავად გვაუწყებს, საფუძვლად უძეს ძეგლი ირანული ქრონიკები, მან მხოლოდ ერთგვარად გადახარშა და გალექსა ისინი. ზოგ წყაროს გუნიალური ირანელი პოეტი თვითონ ასახელებს: ამა და ამ წიგნში ასე წამიკითხავს, მავანსა და მავანს, ასე გადმოუყიდა. 

ნიზამის ხეთივე პოემა მანამდე ერთხელ ან მრავალჯერ დამუშავებულ აჩბართა ახალ ვერსიებს წარმოადგენს. მის „ხოსროვ-ოშირის“ წინ უსწრებს, სულ მცირე, ორი ძეგლი: ირანული ქრონიკები და ფირდოუსეს „შპა-ნამე“, სადაც ხოსროვ ფარეიზის შესახებ ერცელი პოემა ჩართული. მსოფლიო პოეზიის შედევრი „ლემლი და მაჯნუნი“, როგორც თავად გვამცნობს შესავალში, ნიზამიშ შარვანშა ახსეთანის შეკეთით დაწერა, — მას მეცემ ლემლისა და მაჯნუნის ტრაფობის ამბის გაღექსვა დავალა. სხვა მრავალი წყაროც რომ არ არსებობდეს, უკვე აქედანაც ჩანს, რომ ეს ამბავი აღმოსავლურ სამყაროში ნიზამიდეც კარგად იყო ცნობილი.

„ესქანდერ-ნამე“, რომელსაც ნიზამი განკული თავისი შემოქმედების ზენიტად თვლიდა, შინაარსობრივად სხვა არაფერია, თუ არა

<sup>57</sup> გ. ხავთასი, შეა საუკუნების ვერმანული ლიტერატურა აზიანი, 1980 წ. გვ. 221.

«ლექსანდრე მაკედონელის შესახებ ისლამურ აღმოსავლეთში ფაზ-  
ონდ გავრცელდა ბული. ისედაც კარგად ცნობილი. წერილობითი უ-  
ცოლელორული მისალების გადამუშავება. ზესტად ასეთივე შეთ-  
ღითა შექმნილი განჯელი მწერლის პოემა „შეიდი მთიები“, რომ-  
ლის ჩარჩოც ნასესხებია (ბარამ გურის ამბავი) და მასში ჩართული  
უკიდურე ფაბულაც. „სიღღუმლოებათა საგანძურო“ მოლიანად იგავე-  
ბისგან შედგება და ყველა იგავი ნისესხებია.

**ს**ამოსავლური წარმტაცი რომანი „ვას-ო რამინი“ ჭახრ ად-  
ლინ გორგანის (X I ს.) ეკუთხნის. მაგრამ პოემის შესავალშივე გვა-  
უწყებს მწერალი: ეს ამბავი მე მსოფლოდ გადავაკეთე, ძირითადად,  
ენობრივად გვეჩარხე. ჩემამდე კი ექვსხერ იყო დამუშავებულიო.

და ბოლოს, გადავხედოთ ქართულ ლიტერატურას ამ თვალსაზ-  
რისით. ხომ არ არის იგი გამონაკლისი, მხარს უბაშს თუ არა ის  
როგორც ხალხური, ასევე მსოფლიო კლასიკური მწერლობის ამ  
ტენდენციას? არ არის გამონაკლისი: სხვის მიერ დამუშავებული  
ან ისტორიული, ან სხვისგან გაგონილი, ან ავტორის თვალწინ მომ-  
ხდარი, ყოველშემთხვევაში, არა თვითონ ნაწარმოების ავტორის  
მიერ შეთხული ამბავი უძევს საფუძვლად უკლებლივ ცველა, რო-  
გორც ხაერთ, ასევე სასულიერო ქართულ ეპიკურ თხზულებას და-  
საბაშიდან მოკიდებული XIX საუკუნემდე (ხშირად თვით XIX სა-  
ჯუნის ჩათვლითაც).

ახალი ინტერპრეტაციის შეტანის მიზანი იყო ერთ-ერთი მიხე-  
ზი სასულიერო მწერლობაში ე. წ. პოკრიფული ლიტერატურის  
შექმნისა. პოკრიფების იეტორებს თავიანთ თხზულებებში შემოკ-  
ენდათ „თავიანთი ტენდენციები, ასრები და თეორიები“,<sup>55</sup> ამ  
თვალსაზრისით ჩვენს ყურადღებას იქცევს არა თუ პოკრიფული,  
არამედ თვით სვინექსარული ჩედაქციებიც. რომლებშიც ხელახლა-  
დაა გაღმოცემული (ოლონდ მოკლედ, და, არაიშვიათად, მოკლედ  
გაღმოცემის საბაზით), მანამდე არსებული ერცელი ავიოგრაფიული  
მოთხრობები.

ალბათ ძალიან ხშირად ახალი ინტერპრეტაციები განაპირობებ-  
და ავიოგრაფიულ ძეგლთა ახალი ვარიანტების შექმნას, იქმნებოდა

<sup>55</sup> ქ. კავკაცია, ქართული ლიტერატურის ისტორია, I. თბ., 1969, გვ.  
430.

ეს, მარტვილობაზე თუ ცხოვრებაზე, კუმენების (წმინდანთა და შლიშვილთა პირველადი, ფაქტობრივი აღწერების), მეტაფრასებად გადარჩენა მეშვება, რომელსაც X საუკუნეში სეიმეონ ლოლოთეტმა დაუდო სთავე, ხოლო ქართულ მწერლობაში იმავე საუკუნეშივა ეძითიმე ათონელმა დანერგა, სხვა მოზეზთა შორის ინტერპრეტირების მიზნობაც უნდა ისტინას<sup>59</sup>.

ჩამოვთვლით ყველა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ქართულ აუგლს (როგორც სასულიეროს, ისე საერთს), ვიმეორებო, ყველა ისინი ან ფაქტის ფიქსირებას წარმოადგენს, ანდა ერთხელ დამუშავებული ამბის გადაკეთებაა: **Σ**

#### I. სასულიერო მწერლობა:

იაკობ ხუცესი, „შუმანიერის წამება“ (V ს.) — მომხდარი ამბავი.

უცნობი ავტორი, „ევსტათი მცხეოლის მარტვილობა“ (VI ს.) — მომხდარი ამბავი.

იოანე საბანის ძე, „აბოს მარტვილობა“ (VIII ს.) — მომხდარი ამბავი.

უცნობი ავტორი, „ცხრა ყრმა კოლაელთა მარტვილობა“ — მომხდარი ამბავი.

უცნობი ავტორი, „კოსტანტი კახის მარტვილობა“ (X ს.) — მომხდარი ამბავი.

სტეფანე მტბეგვარი, „ვობრონის მარტვილობა“ (X ს.) — მომხდარი ამბავი.

გიორგი მერჩილე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ — მომხდარი ამბავი. მოთხრობა შექმნილია გავონილი ამბებისა და ლიტერატურული წყაროების მიხედვით — X ს. (ჩვენამდე მოაღწია

59 სპეციალურ ლიტერატურაში ეს მოვლენა ორი მიზეზითაა ასსინილი: „მარტვილის რეალურებია... აცრე შეირყენა მწეალებელთა შეკრ; თან, „ლიტონად და გარემოებულ აღსკროლი და ესთა მსოფლელთათა შეუყომილია... ის ველარ ფერადი ისტორიული ის ლიტერატურულ მიმღისარეობას, რომელმაც მეცხრე საუკუნეში მნიშვნელოვანი მიზანებიაში და მეოთხემი უწევერევალესად განვითარდა. ამიტომ საბერება, ამ მიზნით აღმოგრაფიაში წარმოშევა ახალი, შეტაციას სკოლა, შემარტოლება (კ. კავკაციაში, ა. ბარაშიძე, ქართველი ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1954, გვ. 73).

X ს. ბოლოს ბავრატ ერისთავო-ერისთავის შიერ განახლებულმა  
ცეტატრასმა).

“ც ც ნ ბ ი ა ვ ტ ო რ ი. „სიბრძნე ბალავარისა“ (X ს.) — „გა-  
დმოთარგმნილი“ ამბავი.

„ნ ი ნ ს ც ხ თ ვ რ ე ბ ა“ — მომხდარი ამბავი. ამბავი IV სა-  
უკუნისაა, დაწერილია IX საუკუნეში, XI საუკუნეში — მისი მეო-  
რე, ხოლო XII საუკუნეში მესამე არსენ ბერის ეკრისია.

„დ ა ვ ი თ ი ს ა დ ა კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ს მ ა რ ტ ვ ი ლ თ-  
ბ ა“ (VIII ს.) — მომხდარი ამბავი. თხზულება არგვეთის ამ მთავ-  
რების მარტვილობის შესახებ ძელთავანეე გვექონია, მაგრამ არ შე-  
მოგვრჩენია. იმ დაქარგულ თხზულებასა და ზოგ სხვა ლიტერატუ-  
რულ წყაროზე დაყრდნობით არის შექმნილი დაეითისა და კონ-  
სტანტინეს მარტვილობის შემონახული რედაქცია.

ბასილ ზარზე ლი, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“ (X ს.) — მომხდარი ამბავი. ავტორი სერაპიონის ძმისშვილი იყო, მაგრამ მას გამოუყენებია სხვადასხვა, როგორც ზეპირი, ისე წერი-  
ლობითი, წყაროები სერაპიონის შესახებ (მაგრამ ჩვენამდე ბასილის შრომამ კი არ მოაღწია, არამედ მისმა XI ს. მეტაფრასმა).

## II. საერთო მწერლობა:

“ც ც ნ ბ ი ა ვ ტ ო რ ი, (მოსე ხონელი?), „ამირანდარეჭანია-  
ნი“ — ძეელი მითებისა და დასთანების ქართული გადამუშავება  
(XII ს.). XVIII საუკუნეში ამ თხზულების ლექსითი ეკრისია შექ-  
მეს ძმებმა თანიაშვილებმა.

“ც ც ნ ბ ი მ თ ა რ გ მ ნ ე ლ ი (სარგის თმოგველი?), „ვისრა-  
მიანი“ (XII ს. ეს პროზაული თარგმანი ლექსიდ გარდათქვა XVIII  
ს. არჩილ მეფეებ).

ს ე რ ა პ ი თ ნ ს ა ბ ა შ ვ ი ლ ი, „როსტომიანი“ (XV-XVI ს.) —  
„შპ-ნშმეს“ „თარგმანი“.

ხ ო ს რ თ თ უ რ მ ა ნ ი ძ ე, „როსტომიანი“ (XVI-XVII ს.) —  
„შპ-ნშმეს“ „თარგმანი“.

მ ა მ უ კ ა თ ა ვ ა ქ ა ლ ა შ ვ ი ლ ი, „ზააქიანი“ (XVII ს.) —  
„შპ-ნშმეს“ „თარგმანი“.

ბ ა რ ძ ი მ ვ ა ჩ ნ ა ძ ე, „საამიანი“ (XVII ს.) — „შპ-ნშმეს“  
ციკლის თხზულების „თარგმანი“.

უცნობი ავტორი, „უთრუთიან-საამიანი“ (XVII ს.) — „შპ-ნამეს“ ციკლის თხზულების „თარგმანი“.

უცნობი ავტორი, „ბარანიანი“ (XVII ს.) — „შპ-ნამეს“ ციკლის თხზულების „თარგმანი“.

უცნობი ავტორი, „ყარამანიანი“ (XVIII ს.) — აღმოსავლური დასთანების „თარგმანი“.

ოთანე ბატონიშვილი, „სეილანიანი“ (XVIII ს.) — აღმოსავლური დასთანის „თარგმანი“.

„ალექსანდრიანი“ — მსოფლიოში ფართოდ ცნობილი ალექსანდრეს მშის სერბიული ვერსია რუსულად გადაუკეთებიათ. რუსულიდან იგი ქართულად თარგმნა არჩილ მეფემ (XVIII ს.), არჩილის თარგმანის ლექსითი ვერსია შექმნა პეტრე ჩხატარაისძემ იმავე საუკუნის პირველ მეოთხედშივე.

ვინმე ზაალი, „იოსებზოლიხანიანი“ (XVII ს.) — აღმოსავლური დასთანის ახალი ვერსია.

თეომურაზ პირველი, „იოსებზოლიხანიანი“ (XVII ს.) — აღმოსავლური დასთანის ახალი ვერსია.

თეომურაზ პირველი, „ლეილმაჯნუნიანი“ (XVII ს.) — აღმოსავლური დასთანის ახალი ვერსია.

თეომურაზ პირველი, „შამიფარეანიანი“ (XVII ს.) — აღმოსავლური დასთანის ახალი ვერსია.

თეომურაზ პირველი, „ვარდბულბულიანი“ (XVII ს.) — აღმოსავლური დასთანის ახალი ვერსია.

უცნობი ავტორი, „ხოსროვშირიანიანი“ (XVI ს.) — აღმოსავლური დასთანის ახალი ვერსია.

ნოდარ ციციშვილი, „ბარამგურიანი“ (XVIII ს.) — აღმოსავლური დასთანის ახალი ვერსია.

უცნობი ავტორი, „ბარამგულანდამიანი“ (XVIII ს.) — აღმოსავლური დასთანის ახალი ვერსია.

ონინა მდიდანი, „ბარამგულიანიანი“ (XVIII ს.) — აღმოსავლური დასთანის ახალი ვერსია.

ქაიხოსრო ანდრონიკაშვილი, „მიჯნურთ ბადე“ (XVIII ს.) — აღმოსავლური დასთანის ახალი ვერსია,



უცნობი ავტორი, „რუსულანიანი“ (XVII საუკუნეების სავლური დასთანის ახალი ვერსია).

„ფირმალიანი“ — აღმოსავლური წარმოშობის ამბის უცნობი ავტორის მიერ პროზაული ვერსია XVII საუკუნეში არჩილ შეფეს გაულექსეინებია ფეშანგი ფაშეიბერტყაძისთვის. ფეშანგის ვერსია არ შემონახულა, მისი წყარო — კი.

უცნობი ავტორი, „ზალუმჭანიანი“ (XVIII ს.) — აღმოსავლური დასთანის ახალი ვერსია.

უცნობი ავტორი, „მირიანი“ (XVIII ს.) — აღმოსავლური დასთანის ახალი ვერსია.

უცნობი ავტორი, „ჩარდარვიშიანი“ XVIII ს.) — აღმოსავლური დასთანის ახალი ვერსია.

უცნობი ავტორი, „ვარშეყიანი“ (XVIII ს.) — აღმოსავლური დასთანის ახალი ვერსია.

„ს 3 ილენდა ქალაქიანი“ — არსებულა მისი ორი პროზაული ვერსია, ერთ-ერთი მათგანის ლექსიდ გარდათქმული ვერსიაა დღემდე შემონახული ძეგლი. ორმელიც XVIII საუკუნეს უნდა კუთვნიდეს.

სულ ხან-ხაბა თრბელიანი, „წიგნი სიბრძნე-სიცრევა“ (XVII-XVIII ს.) — ხალხური და მწიგნობრული წარმოშობის იგვენების კრებული.

„ქილილა და დამანა“ — XVI საუკუნიდან მოყიდვებული ჩეენს დრომდე ამ ინდური წარმომავლობის თხზულების შეიდან ქართული ვერსიაა შექმნილი.

უცნობი ავტორი, „ბახთიარ-ნამე“ (XVIII ს.) — აღმოსავლური დასთანის ახალი ვერსია.

თეიმურაზ მეორე, „თომისარიანი“ (XVIII ს.) — აღმოსავლური დასთანების ახალი ვერსია.

„ქეთევანიანი“ — მომხდარი ამბავი. ქეთევან დელოფლის მოწამეობის ამსახელე ამბავი პირველად თეიმურაზ პირველმა გალექსა XVII ს., XVIII საუკუნეში კი შეიქმნა მისი კოზმისისეული და დიმიტრი ბაგრატიონისეული ვერსიები.

ფერანგი ფაშიბერტყაძე, „შავნავაზიანი“ (XVIII ს.) — მომხდარი ამბავი.

ოთხებ თბილი ღ. „დიდოურავიანი“ (XVII ს.) — მომ-  
გომხდარი ამბავი.

ვინგ ფაქტენიშვილი, „ვახტანგიანი“ (XVIII ს.) —  
მომხდარი ამბავი.

და ეით გურამიშვილი, „ქაცვა შწყუმსი“ — მომუ-  
ლი ამბავი; „ქართლის კირი“ (XVIII ს. — მომხდარი ამბავი.

### რატომ ხდებოდა ასე?

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქმე გვაქვს შეუა საუკუნეების  
ქეგლებთან. ამ დროს კი ამბის დამზადების სრულიად თავისებუ-  
რი, დღევანდვლისაგან დიამეტრალურად განსხვავებული და მკაც-  
რი პრინციპი არსებობდა. ზუსტად ასეთივე სურათი გვაქვს ანტი-  
კურ ლიტერატურაშიც. „როგორც ცნობილია, ბერძენი მაყურებე-  
ლი კარგად იცნობდა იმ მითს, რომლის ტრაგიულ ხორცებს ჩამასაც  
წარმოადგენდა ბერძნულ თეატრონზე ვათამაშებული ესა თუ ის  
სცენტრალი. ამდენად, მისთვის საინტერესო იყო არა ის, თუ რა მოხ-  
დებოდა, რითი დამთავრდებოდა ამბავი (მან ეს ამბავი კარგად იცნ-  
და), არამედ ის, თუ როგორ იქნებოდა ეს ტრამატურგიული და  
ხორცებს სმული კონკრეტული ტრაგიკოსს მიერ. ეს მომენტი, თავის-  
თავიდ მეტად საინტერესო, მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს.  
ბერძენი მაყურებელი, რომელიც გმირთა ვნებებს, ურთიერთობებს,  
მათ შორის წარმოშობილ კოლიზიებს აღვენებდა თვალყურს,  
ერთგვარად ემსავასებოდა ოლიმპოს ღმერთებს, რომლებმაც კარ-  
გად იცნდნენ, თუ რა მოხდებოდა კონკრეტული ადამიანების ცხოვ-  
რებაში და ამ მხრივ წვერლებრივი ბერძენი თავისი ღმერთისაგან  
მთლიან იმით განსხვავდებოდა, რომ თვითონ არ წყვეტდა რომე-  
ლიმე გმირის ბეჭს. ექედან გამომდინარე, ბერძნულ ტრაგედიებში  
ასახული ამბის წინასწარი ცოდნა მყითხელისათვის (და ძველად კი  
მაყურებლისათვის) აუცილებელი პირობა იყო წარმოდგენილი ტრა-  
გელის სწორი აღქმისათვის. ტრაგედიის ამგვარ აღქმაზე ყურადღე-  
ბა მახვილდება არა იმაზე, რა ხდებოდა (რაც თავისთვალ მნიშვნე-  
ლოვანი იყო, და რაც ბერძნულ მისტერიებში იღებდა დასაბამს), არა-  
მედ აյ უცრადლება ექცევდა წმინდა ესთეტიკურ მიღწევებს, იმას,

თუ რა სიახლეს შეიტანდა კონკრეტული ღრამატურგი ჭველ მისა-  
ში<sup>60</sup>.

როგორც ცნობილი სემიტოლოგი, ლიტერატურისთმცოდნე-  
ბ. შედფარი წერს: „ამ სიუკეტური მდგრადობისა და განმეორებუ-  
ლობის ახსნის დროს უწინარეს ყოელისა დგას პოეტის შემოქმედე-  
ბის თავისუფლების საკრთხი: იყო იგი თავისუფალი თავისი ლექსის  
სიუკეტის არჩევისა და მათი განლაგების დროს, თუ სიუკეტის არ-  
ჩევას იმთავითვე კარნახობდა მას ეპიკური ტრადიცია? უკეთელია,  
პოეტის შემოქმედებითი ფანტაზია უნდა გაძყოლოდა საესებით გარ-  
კვეულ ჩარჩოებს, მსმენელს უნდა მიელო იგი, რასაც მიჩვეული  
იყო... ამიტომ შეიძლება ვილაპარაკოთ „ჩვეულ ესთეტიკაზე“ —  
მსმენელის ესთეტიკური გრძნობა კრაფტილდება მხოლოდ იმ ფორ-  
მებითა და სიუკეტებით, რომელსაც იგი მიჩვეულია. პოეტისაგან ის  
მოელის არა ახალ სიუკეტს, რომელიც აღქმული იქნება არა როგორც  
რაღაც არაჩვეულებრივი, უცხო, უინტერესო, არამედ როგორც. რაც  
შეიძლება, უფრო ოსტატური და გამომგონებლური ვარიაცია მის-  
თვის უკვე ცნობილი და ჩვეული სიუკეტისა“, მეცნიერი იქვე აღნიშ-  
ნავს: „ძველარაბული პოეზიის საფუძველია არა სიუკეტთა სხვა-  
დასხვანაირობა, არამედ, პირიქით, განმეორება სიუკეტებისა მათი  
გაფორმების დროს განახლებისა და მოულოდნელობის გამოჩე-  
ნით“<sup>61</sup>. ასე რომ შუასაუკუნეების ეპიკოსი აეტორი უფრო „აეთებს“  
თავის ნაწარმოებს, ვიდრე ქმნის. ამიტომ ის ჰგავს მოკადრევეს,  
რომელმაც იცის რა, რითი დამთავრდა ცნობილ ოსტატთა პარტია,  
თვითონ თამაშობს მას დაფაზე ხელახლა ისე, რომ გარკვეულ სკლებ-  
ზე ზუსტი მონაცემები არა აქვს<sup>62</sup>.

ღ. ლიხაჩივეის აზრით, ძველი რუსული ლიტერატურისთვის და-  
მახასიათებელი სტრუქტურის იეტორის უნიკობის მაჩვენებელი როდი  
კუ და მისი თხშულების მხატვრულ სისუსტეზე როდი უთითებდა.

<sup>60</sup> გ. ხოშკავი, წინასიტუაცია [ქრებალში] სოფიული, თებეს ტაგველი-  
ები, თბილისი, 1988 წ. გვ. 6.

<sup>61</sup> Б. Н. Шилдфар, Образная система арабской классической ли-  
тературы. М., 1974, გვ. 12.

<sup>62</sup> А. Б. Кудеани, Средневековая арабская поэтика. М., 1983,  
გვ. 216.

„შუა საუკუნეების ხელოვნება თრისტიტიქებული იყო „ნაცობზე“  
და არა „უცობსა“ და „უცნაურზე“<sup>63</sup>.

შეა საუკუნეების ჩრდილოეთი როკა ჩამო ნაწარმოებს კრთხულობდა, მან უკვე წინასწარ იცოდა მისი შინაარსი<sup>64</sup>. ეს კითა- რება ზოგადი ჩანს. იგი ერთიანი იყო ჩოგორულ დასაელეოთის, ისე აღმოსავლეთის ლიტერატურისათვის. „შეა საუკუნეების მახლობელი აღმოსავლეთის ლიტერატურაში ავტორსა და მეითხველს შორის არ არსებობს ის მაღალი ბრძოლა, რომელიც თანამედროვე ლიტე- რატურას ახალიათებს, მათ შორის შვიდობიანი ურთიერთობა სუ- ფეს, მეტიც, ბრირად ავტორის „სტრუქტურა“ ემთხვევა მეოთხვე- ლის „სტრუქტურას“ და მათ შორის მყარდება ისეთი მიმართება, რომელიც ავტორისა და მეოთხველის სრულ ურთიერთობას წი- ნასწარვე გულისხმობს და პოტენციურად მოიცავს<sup>65</sup>. ბოლოს, მივ- მართავთ თანამედროვეობის უდიდეს ავტორითებს ლიტერატურათ- მცოდნეობაზე, ლოტშინს: „თუ თანამედროვე ხელოვნება გამოიის- წარმოდგენიდან იმის შესახებ, რომ ორიგინალობა, ინდივიდუალუ- რი თავისებურება, განეკუთვნებიან მხატვრული ნაწარმოების ლირსე- ბათ, შეა საუკუნეების ესთეტიკას ყველა ინდივიდუალობანი მიაჩნდა უკოდებილ, ამპარტავნობის გამოვლინებად და მოითხოვდა „ღვთით- ჩივნებული“ სახეების ერთგულებას. მხატვრული რიტუალის რთუ- ლი პირობების სტატური განმეორება და არა საკუთარი გამონა- ვონი, — ი. რას მოითხოვდნენ მხატვრისაგან“<sup>66</sup>.

<sup>63</sup> Д. С. Лихачев, *Поэтика древнерусской литературы*. М., 1979, 83-71.

64-0330

43-208

<sup>66</sup> Ю. М. Лотман, Структура языкового сообщества, 1985 г., 63.

<sup>63</sup> 156.

8

რატურა ერთფეროვანი უნდა ყოფილიყო, ხოლო ყველა შემოქმედი — ერთი მეორის პირწმინდად გადამიღერებელი. ესკენ, საბეჭნეროდ, არ მომხდარა.

მაშ რა ხდება?

ხდება ეკოლუცია. საქმე გვაქვს არა ზუსტი ასლების გადალებასთან, არამედ გარეგნულად არც თუ ისე თვალში საცემი ცვლილებების შეტანასთან ახალ ნაწარმოებში, მისი, ასე ვთქვათ, ადაპტირებული ვარიანტის შექმნასთან. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, იმ გზაზე, რომელიც, მაგალითად ხოსროვის სახემ გაიარა ფირდოსუსალი მოყიდებული ალიშერ ნავამდე, ეს დაცებითი გმირი უარყოფით პერსონაჟები არ გადაიქცეოდა (როგორც სინამდვილეში მოხდა). ყურადღებას იქცევს ამ დროის (და ამ თვალსაზრისით ტიპიური) შემოქმედის, ნიზამი განჯელის შეხედულება ამ საკითხზე, გამოითქმული სწორედ ასეთი პროცესის, სხვის (ძმერად, ფირდოსუსას) მიერ ერთხელ უკვე დამუშავებული ამბის ხელახალი გადამუშავების დროს:

„ორმც უხერეტი მარგალიტის გახერეტას გარჩევა  
და ერთხელი თქმელის არ შეგაუბნს გამოეორება,  
საგანძრელისკენ სავალი გზა, რაღაც ერთია  
და უკელა მსროლელს ერთი უდგას რაღაც საგანი,  
განშეორების გარდა სხვა გზა არ გაქვს, მით უკრი,  
როდესაც ძალგიშ, ფლარ ფარჩად გადააქციონა!“

როგორც ვხედავთ, ნიზამის ღრო, როგორც ნასხეისარი ამბის გამოყენების დაქანონებული პრინციპით თავის პოვერზე იდგა, უკვე ყოფილა სურეილი, არ გამოყენებინათ ნასხეისარი ამბავი (რაღაც პოეტს იგი არ იტაცებდა) და შეექმნათ ახალი ფაბულა (სხვის მიერ ჯერ კიდევ დაუმუშავებელი ამბის შექმნა პოეტს ორმავი მეტაფორით შედარებული აქვს უბიწო ქალწულთან შეერთებასთან), მაგრამ ასეთი სურეილის შესრულება ალევეთილი თუ არა, პრეტეიანი მიღებული არ ყოფილა, რაღაც პოეტი იქვე ვაუზეყებს (ჩივის?): სავანძურისკენ სავალი გზა ერთია და ყველა მსროლელს ერთი სამიზნე უდგას წინ, ყველამ მხოლოდ ამ გზით უნდა იაროს და ყველამ მხოლოდ ამ მისანმი უნდა ისროლოსო. თითქოს შემოქმედი

77 წერი მი გან ჯავან, ასაჭრ ფედერ, თემაზ, მისრა-ე ქაბრია, გვ. 50.

გამოუვალ მდგომარეობაში მოძწყვდებულა, მაგრამ გამოსავალი შეა-  
ინც ყოფილა: უნდა შეგძლებოდა შენი წინამორბედი პოეტის მიერთებუ-  
ლა და მუშავებული ამბის უკეთესად თქმა, მისი „ფლასის ფარჩად გა-  
დაქცევა“; უნდა შეგძლებოდა, შენი ისარი სხვაზე უფრო ზესტად  
მოგერტყა სათქმელის სამიზნისთვეს.

„უეფხისტყაოსნი“ რენესანსული ქმნილებაა, მაგრამ ეს როდი  
ნიშნავს იმას, რომ მასში ყველაფერი აეტორის მიერ მოგონილი  
იყოს. უპირველეს ყოვლისა, აქ ფაბულაა თვალში საცემი. ისე,  
როგორც რენესანსის მხატვრების ორიგინალობისთვის არ შეუშლია  
ხელი ტრადიციული, ბიბლიური, ფაბულების გამოყენებას, არც რუს-  
უელის პოემის რენესანსულობას შეუშლილა ხელს ტრადიციული  
აღმოსავლური ფაბულა, თუ რუსთველი ახალ სიცოცხლეს მიანი-  
ჭებდა მას და თუ ფლასს ფარჩად გადააქცევდა. მაინც, კონკრე-  
ტულად, ვნახოთ, რა ეითარება გვაქვს რუსთველის თხზულებაში  
ამ თვალსაზრისით? მაგრამ სანამ „უეფხისტყაოსნის“ ფაბულას შე-  
ეკებოდეთ, გვეერკეთ ელემენტარულ, მაგრამ რუსთველოლოგიაში  
დღემდე ბნელით მოცულ საყითხში: განვსაზღვროთ, რას ვამტკიცებთ  
და რას უარეყოფთ. ჩაგინდ უცნაურად მოგვეჩენოს საყითხის ასე  
დამშა, ამისი პასუხი შემოწმებას მოითხოვს.

რა გამოიყენა რუსთველმა? რა არის ის, რაც უცხო (სპარსუ-  
ლი) ყოფილა (ან არ ყოფილა)? ჯერ თვითონ რუსთველს მოვმარ-  
ოთ.

„უეფხისტყაოსნის“ ავტორი ჩვენთვის საინტერესო ამ მასალას  
ითხვერვე ამბავ ტერმინით იხსენიებს. ისინი კი, რომელნიც  
გვეუბნებიან, რუსთველს სხვისა რაოდერი გამოუყენებიან, ამ ცნე-  
ბის ალანინავად ხან სიუკეტს ხმარობენ, ხან ფაბულას, ხან კიდევ — ორივეს ერთად, როგორც სინონიმებს.<sup>68</sup> ამდენად,  
წვენ აქ არ ვაციოთ. რას გულისხმობენ საცილობელ საყითხში სიუ-  
ეტით ან ფაბულით. მათთვის ალრევა ან სინონიმურ ტერმინებად მიჩ-  
ნევა კი დაუშვებელია, — ფაბულა სხვა ცნებაა, სიუკეტი — სულ  
სხვა.

<sup>68</sup> ა. ბარამიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია; ტ. II, თბ., 1966  
წ. გვ. 152; შისივე, შოთა რუსთველი. თბ., 1975, გვ. 64. შემდეგში:  
— ბარამიძე, შოთა რუსთველი.

ეს ორი ცნება „ვეფხისტუალისნის“ მკვლევართა შროშებში დამწუხაროდ, ნ. მარის დღრეულ შრომიდან მოქიდებული დღემზე აღრეულია. მაგ., ნ. მარმა პოემის ამბის სპარსულობის თავის მოსახურებაზე ხელის აღება დაიწყო ამ მიზეზით: პოემაში ქართული წარმოშობის საკუთარი სახელია ფიქსირებულია. (ე. ი. მეცნიერის აზრით, როდესაც ამბის ნახესხობაზეა ლაპარაკი, იგულისხმება თვეობერსონაეთა საკუთარი სახელების იდენტურობაც) კი.

### რა არის ფაბულა?

სპეციალისტების განმარტებით, ფაბულა არის „მხატვრული ხაჭარშოების ძირითადი ამბავი“. შემთხვევების შეკუმშული ის ტორია, რომელიც გარკვეული მიზნით უნდა გაშალოს და აალაპარაკოს მწერალმა. ეს ალაპარაკება იქნება სიუეტი (ხაზი ჩვენია. — მ. თ.)<sup>69</sup>. „ფაბულა ესაა ძირითადი ამბები, რომლებზედაც მოვეთხოვენ ნაწარმოებები, ანუ რომლებიც ნაჩვენებია მათში. თვით მრავალტომიანი თხზულების ფაბულის გადმოსაცემად საკმარისია ოცდაათი — ორმოცდათი სტრიქონი“ (ხაზი ჩვენია. — მ. თ.)<sup>70</sup>.

ამდენად, ფაბულა ყოფილა ნაწარმოების შხოლოდ და შხოლოდ სკემაზე.

სიუეტი რაღაა? გარკვეულ მიზნით რა გაშლისა და ალაპარაკებას გულისხმობს იგი? სიუეტი არის „ნაწარმოების შინაარსის მხატვრული გაშლის ფორმა, მოქმედების განვითარების სისტემა“. მხატვრული შინაარსი ნაწარმოების კომპოზიციურად ორი ელემენტის ერთობლიობას შეიცავს: ერთია — ამბები, შემთხვევები, რომლებიც მიზეზშედევობრივად უკავშირდებიან ერთმანეთს და ქმნიან ნაწარმოების საერთო ქარგას, მეორეა თემის გასამლელად იეტორის მიერ წარმოდგენილი თხრობის სისტემა, სინამდვილის ჩვენების ხერხები, იდეური ჩანაფიქრის გახსნის საშუალებანი, საერთო ემოციურობა.

<sup>69</sup> ა. ჭილაძე, ლიტერატურამცოდნების ძირითადი კნებები, თბ., 1971, გვ. 469, შემთხვევა: ა. ჭილაძე.

<sup>70</sup> Г. Л. Абрамович, Ведение в литературоведение. М., 1975, გვ. 121.

<sup>71</sup> ზოგი მას ეწოდებან ქარგას, ზოგი — ჩოჩჩს, ზოგიც — სტრიქონის საფეხულეს.

რი ჩარჩო, ორივე ერთად წარმოგვიდგენს ნაწარმოების მხატვრულ ფერზე, ამბოს სიუკეტური გაშლით მეღაენდება ნაწარმოების არქიტექტურულ ტექტონიკა, ხელოვანის ისტატობა.

ამგებისა და მოცლენების განვითარების სიუკეტური ორგანიზაციის სახეორცება სინამდვილე, ისსნება მხატვრული ჩანაფიქრის რდეური შინაარსი, იხატება ტიპები, პორტრეტები, მხატვრული სახეები. სიუკეტის განვითარებაში მეღაენდება ნაწარმოებში წარმოდგენილი ცხოვრების წინააღმდევობის ყველა მომენტი. აქა ნაჩვენები, ერთი მხრივ, წინააღმდევობა გმირისა და ცხოვრების სინამდვილეს შორის, მეორე მხრივ, ადამიანთა ქუვა, ხასიათი, განწყობილება, მწერლის დამკიდებულება მოქმედი პირებისაღმი<sup>72</sup>. ამიტომ წერს აბრამოვიჩი ახლა უკვე სიუკეტზე: „იმისათვის, რომ გადმოსცეთ ნაწარმოების სიუკეტი... საჭიროა მთელი ნაწარმოების მოთხოვა თავიდან ბოლომდე”<sup>73</sup>. უკველადურ ამას მოყვავართ დიდი უინაარსობრივი მნიშვნელობის გავეძამდე სიუკეტისა. რომელიც წარმოადგენს მხატვრულ-სახეობრივ განსახიერებას მნიშვნელოვანი ცხოვრებისაული კონფლიქტებისა, რომელთა პროცესში ისსნება ადამიანების ხასიათები. მეღაენდებიან მთი ფორმირებისა და ზრდის „ტენდენციები”<sup>74</sup>. ჯერ კადეც როდის ა. ვესელოვსკი განმარტავდა: „სიუკეტები — ესა ართული სქემები, რომელთა ხატოვანებაში განუვადდნენ ადამიანური ცხოვრების ცნობილი აქტები”<sup>75</sup>.

ზემოთ მოტანილი განმარტებები, რომლებიც ფაბულას ნაწარმოების „ძირითად ამბად“, „შემთხვევების შეკუმშეულ ისტორიად“ განსახლერავენ, ისეთად, რომლის გადმოცემა რამდენიმე სტრიქონით შეიძლება, ჩვენი აზრით, სრული არ არის, რადგან აუცილებელია, ასევებობდეს ამ შეკუმშეის კრიტერიუმი, რათა ერთი და იგივე ნაწარმოები სხვადასხვა პირმა სხვადასხვა სიმკვრივით არ შეკუმშოს და ფაბულად ის არ მიიჩნოს.

ფაბულას ჩვენ განვსაზღვრავთ, როგორც მაქსიმალურად ციფრულ სიუკეტს. მაქსიმალურად, რომ გამბობთ,

<sup>72</sup> ა. ჭილაძე, გვ. 246.

<sup>73</sup> Г. А. Абрамович, გვ. 12.

<sup>74</sup> იქვე, გვ. 120.

<sup>75</sup> А. Веселовский, Историческая поэтика. Л-д, 1940, გვ. 493.

ვეცულისს მობთ იმ კრიტიკულ წერტილს, რომელზე მეტად შეკუმშვიდი უცმოხევეაში თავისითავად ამბავი, როგორც ასეთი, აღარ ჩანაცა, მო-  
ცულობით, ბუნებრივია, ეს მასალა ერთნაირი არ იქნება, რადგან  
ყველა ამბის მექანიზმი ერთნაირად რთული არა.


ასეთი განსაზღვრის შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულა ამჟად  
სქემაზე დაიყვანება:

- 1) ქალს და ვაჟს ერთმანეთი შეუყვეარდათ.
- 2) მშობლებმა ქალი ვაჟს არ ვატანეს.
- 3) ქალი და ვაჟი ერთმანეთს ჩამოაშორეს.
- 4) ვაჟი დაეძებს თავის სატრფოს.
- 5) ვაჟი გაიცნობს კაცს, რომელსაც დახმარება შეუძლია.
- 6) დამხმარე მიაგნებს ქალთან შეერთების გზას.
- 7) შეუვარებულები შეერთდებიან.

ამაზე უფრო „ვეფხისტყაოსნის“ ამბის შეკუმშვიდ აღარ შეიძლება. ამავე დროს, პოემის სიუკეტის გასაშლელი მთელი სტრუქტურა აქ არის. ამიტომაცა „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულა მხოლოდ ასეთი ასეთი (რა თქმა უნდა, აქ მხედველობაში არაა მისაღები ის, რომ მისი ჩამოყალიბება სხვა სიტყვისერი მასალითაც შეიძლება).

იძლევა თუ არა ეს ფაბულა იმის საშუალებას, რომ მასზე „ვეფხისტყაოსნისგან“ განსხვავებული სხვა სიუკეტი შეითხნას? რასაკეირუელია, იძლევა. მეტიც, მასზე უამრავი სიუკეტის შექმნა შეიძლება. ნებისმიერი შეიძლება იყოს მოქმედების დრო და ადგილი, საზოგადოების ფენები და ინსტიტუტები, თვით ერთი და იმავე გმირის ხასიათი, ნაწარმოების იდეა და ა. შ.

ფაბულა, შეიძლებოდა, ქანდაკებას დატანებული ჩონჩხედისთვის შეგვედარებინა, ხოლო სიუკეტი — თვითონ ამ ქანდაკების-თვის. ჩონჩხედი საგანგებო ჩანაფიქრით არის ლნავი, უთქეათ, მო-  
ციცვავე ფიგურის გამოქანდაკებას გულისხმობს, მაგრამ ის მხოლოდ გულისხმობს, თორემ ვერც ციკვას, ვერც მოციცვავეს და ვერც მის ხასიათს ვერ გადმოსცემს. ჩონჩხედის მიხედვით აუცილებელია, ვა-  
ცოდეთ, რომ ქანდაკება მოციცვავე ფიგურა უნდა გამოვიდეს, მაგ-  
რამ მხოლოდ მასზე როდია დამოყიდებული, თავად ქანდაკება რო-  
გორი იქნება. შეიძლება, აქ ერთმანეთის საწინააღმდეგო სურათე-  
ბიც მივიღოთ, რადგან ჯერ კიდევ არა ჩანს, ეს ფიგურა, ვთქვათ,



ქალი იქნება თუ კაცი, ბებერი თუ ახალგაზრდა, ლამპასი თუ მა-  
ხინჯი, გამხდარი თუ შეუქანი, თეორეანიანი თუ შევეანიანი, სუსტორეა-  
თუ ღონიერი, შიშველი თუ ჩატელი და ა. შ.

რომელიმე სიუეტის მაქსიმალურიდ შეუმშევის შედეგად  
რომ მის ფაბულის მიერებთ, ეს როდი ნიშანეს იმას, რომ შეუმ-  
შევის საპირისპირო მოქმედებით ამ ფაბულიდან იმ სიუეტის ალ-  
ლეგნა შეიძლებოდეს. რომელიმე დყარგული სიუეტის აღდევნა  
წევნამდე მოღწეული მისი ფაბულის მეშვეობით ყოვლად შეუძლე-  
ბელია, — იმდენად ნაირი ვარიანტი შეიძლება ჰქონდეს ერთ ფა-  
ბულაზე შექმნილ სიუეტებს.

რასაყვირველია, როდესაც რომელიმე სიუეტის თავისებურე-  
ბაზე ცლაპარაკობთ, მისი ფაბულის იგნორირება უმართებულო  
იქნებოდა, მაგრამ რომელიმე სიუეტზე მისი ფაბულის მიხედვით  
წარმოდგენის შექმნა შეუძლებელი საქმეა. ერთ ფაბულზე იგებულ  
ნაწარმოებებს საერთო ნიშანი ერთადერთი აქვთ — ფაბული, ხო-  
ლო განსხვავებული — ნებისმიერი.

საზოგადოების განვითარების გარეეულ ეტაპზე ცხოვრებისე-  
ული კოლიზიები და აღამიანთა ურთიერთმიმართებანი ტიპობრივ  
კონსტრუქციებს ქმნიან. ფაბულის საშო სწორედ ეს კომპინაციე-  
ბია. მაგრამ რადგანაც ეს ტიპობრივი კონსტრუქციები უამრავი რო-  
დია, შესაბამისად უამრავი როდია ფაბულებიც. და იმის გამოც,  
რომ იგი შობილურია, ყოველ ეპოქას სულ თითებზე ჩამოსათველე-  
ლი ფაბულა აქვს. ლიტერატურული ფაბულები ისე ცოტაა, რომ  
მათი ცხრილის შედგენაც კი შეიძლებოდა (მსოფლიოს ხალხური  
ზღაპრების ფაბულების ცხრილი დიდი ხანია შედგენილია), სწო-  
რედ ამის გამოც, რომ ამ თითო-ორთოლა ფაბულაზე იგებული სიუ-  
ეტები ერთმანეთისგან დამოუკიდებლობასა და ორივინალობას  
ინარჩუნებენ, ეს კი იმასაც ნიშანეს. რომ ლიტერატურული ჩონ-  
ხედები საქმიოდ გამდლენი არიან და ასე ადვილად როდი იცვითე-  
ბიან. ფაბულა, როგორც ყველაზე მყარი ელემენტი ნაწარმოებისა,  
ინარჩუნებს კონსერვატიზმს და რუდიმენტებსაც გვიან ელევა.  
მაგრამ უცვლელი არც ის არის.

ასეთი კონიექტურისკენ ფაბულის მხატვრული სიმართლე უბიძ-  
გებს. ყოველ საზოგადოებაში ან საზოგადოების განვითარების

უოველ ეტაპზე ქმარი ეცეიანობის გამო ცოლს როდი დახსრიშს ან, თუ დახხრჩო, შეცდომის გამომჟღავნების შემდევ თავს როდი მოიკლავს; ამდენად, როდესაც რომელიმე მწერალი ამ ფაბულს ჰერდებს ხელს, როდი უნდა მოველოდეთ, რომ ეს მისი ახალი ოტელო უთუოდ თავს მოკლავს. ასეთი საქციელი მისი წრის, ფენისა თუ საზოგადოებისთვის ტიპური შეიძლება არც იყოს და მწერალმაც, თუ ის ნამდერლი მხატვარია, ამ ვითარებას ასეარიში უნდა გაუწიოს.

„სენეკას ქალებს ჩვეულებრივ გააჩნიათ „მამაკაცური სული“. ეს ეხება მის ვნებიან გმირ ქალთაც; სოფოკლეს „ტრაქინელი ქალების“ უწყინარი დეიანირა სენეკასთან თავისებურ მედეად იქცა“<sup>76</sup>.

სიუკეტებისა და ფაბულების ასე განახლებისა და გადამუშავების აშეარი ტენცენციაზე რომ ელაპარაკობთ, არ უნდა დაგვაეიწყდეს ისიც, რომ სწორედ იმავე მიზეზების გამო, რომლითაც სესხება ხდებოდა, ხდებოდა ზოგი სიუკეტისა და ფაბულის იგნორირებაც, ყველა ფაბულა და სიუკეტი ყოველთვის როდი განახლდებოდა, — მიმართავდნენ იმას, რომელიც მწერლის მსოფლმხედველობას შეესაბამებოდა და თანამედროვეების იდეებს გაუწევდა სამახსრს.

ა. ვესელოვსკი შენიშნავდა: „მემკვიდრეობით მიღებული ყველა სიუკეტი როდი განახლდებოდა. ზოგიერთი მათგანი შეიძლებოდა, საერთოდ დაევიწყებინათ, რადგან ისინი არ ემსახურებოდნენ მათ სულიერ ინტერესებს, სხევბი კი, დავიწყებულნი, ხელახლა იღორძინდებოდნენ“<sup>77</sup>.

როგორც ზემოთ უკვე დავინახეთ, მსოფლიო ლიტერატურის ძირითადი ნაწილი სხვა არაფერია, თუ არა ფაბულთა გარევეული ფონდის პერმანენტული გადამუშავება. მაგრამ აქ ახალი პროცესები იჩენდა თავს. ხდებოდა კონტამინაციებიც“<sup>78</sup>.

<sup>76</sup> И. М. Троцкий, История античной литературы. Л-д, 1951, 450. შემდეგში: И. М. Троцкий.

<sup>77</sup> А. Веселовский, გვ. 496.

<sup>78</sup> იქვ.

ეს გადამუშავება მხოლოდ ერთი სახისა იყო. იმეორებდნენ არა მხოლოდ ფაბულას, არამედ სიუკეტურ მასალებსაც: დატრანსლაციებს, სახეებს, ტროპებს, ხასიათს, სტილს, დდებას და ა. შ. უმეტესად კა თითქმის მთელ სიუკეტს.

ძალიან ბევრი ამ ნასხვისარ მმავს ახალ ფერ-ხორცს ვერ აძლევდა და ეპიგრაფ ჩამოადგინდა.

უმოთ უკვე გადასხვდეთ ქლასიურ ლიტერატურას იმ მიზნით, რათა უვენახა, თუ რა ეკიარება იქ სახელთოდ ნასხვისარი ფაბულის გამოყენების თვალსაზრისით. ახლა ვნახოთ, თვითონ ზოგმა ფაბულამ რა გაერცელება პლატო მსოფლიო ლიტერატურაში. გადალითისათვის ავილოთ ერთი, არ გონავტების ამბავი.

ამ მმავს იცნობდნენ ჯერ კიდევ პომერანის და ჰესიოდე (VIII-VII სს.), მაგრამ პირველად იგი ფიქსირებულია პინდარეს (VI-V ს.) ოდებში. ეს ქილემ არგონავტების მითშე ააგო რვა თხზულება: „არგო“, „პიოსიპილე“, „ყაბირები“, „ფინევსი“, „ათამანტი“, „ლემნისელები“, „ეირკე“ და „დიონისეს ძიდები“. სოფოქლემ არგონავტების ამბავს ყველაზე მეტი თხზულება მიუძღვნა, — ა. ურუშაძის ვარაუდით — თერთმეტი (ათი ტრაგედია და ერთი სტრიქონი) დრამა: „ტრრო“, „ათამანტი“, „ინო“, „ფრიქსე“, „ლემნისელი ქალები“, „ფინევსი“, „ტიმპანისტები“, „კოლხი ქალები“, „სკელოთები“, „პელიასი“ და „ამიკოსი“<sup>79</sup>. არგონავტების მითის საფუძველზე ევროპიდეს შეუთხზავს ექვესი ტრაგედია: „ინო“, „ფრიქსე“, „პიოსიპილე“, „პელიასის ქალიშვილები“, „შედეა“, „ეგეოსი“. „შედეას“ სათაურით ტრაგედიები შეთხზული პქონდათ ევრიპიდეს უმცროს თანამედროვე პოეტებს: ნეოფრონ სიყიონელს, დიკეოფენეს, მენედემე ერეტრიელს, კარკინე უმცროსს, დიოგონე სინოპელს, ბროტოსს. მელანთოოსს. IV საუკუნეში ამ ფაბულას ამუშავებენ ქარემონ ათანელი („მანები“), ანტიფონტი („იასონი“) და ანონიმი ცეტორი („ფინეიდები“). მაგრამ ამჯერად საყურადღებო ისაა, რომ ამ ფაბულაზე აუგიათ თავიათი თხზულებანი: ძველი ატიკური

<sup>79</sup> ა. ურუშაძე, ა. როდოსილი და მისი თხზულება. წიგნში: ამ თანის არა დასკვლი, არგონავტია, თარგმანი და შესავალი წერილი ავტო გელოვანის, ჩელაქტა, ნარკევი, შენიშვნები და სამიერელი ავტო ურუშაძის, თბილისი, 1975, გვ. 11.

კომედიის წარმომადგენლებს: არისტოფანეს (145-385) — „ლემნი“ კალები“; ნიკოქარეს „ლემნოსელი ქალები“; სტრატის — „მედეა“; თეოპომპეს — „ფინევესი“; კანთარეს — „მედეა“. საშუალო ატიური კომედიის წარმომადგენელთაგან: ანტიფარეს (407-333) — „ლემნოსელი ქალები“, „იასონი“, „მედეა“; ალექსის (376-270) — „ლემნოსელი ქალები“, „იასონი“; ევბულეს (IV ს.) — „მედეა“; ახალი ატიური კომედიის წარმომადგენელთაგან: დიფოლეს („ლემნოსელი ქალები“ და „პელიადები“).

ელინისტურ ეპოქაში ეს ფაბულა დაუშუშავებით თეოლოგიურობის და კლეონ კურიონელს („არგონავტიკა“). ყველაზე მეტი პოპულარობა ხედა აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკას“. ამ ფაბულას ლექსივენ აპოლონიოსის თანამედროვე პოეტები: ლიკოფრონ ქალყალდელი, კალიმაქე, თეოკრიტე (ცნობები ამოქრეფილი გვაქვს ა. ურუშაძის ზემოთდასახელებულ შრომიდან). ამდენად, მარტო ბერძნულ ლიტერატურაში ამ ერთმა ფაბულამ სამოცამდე კლასიკოსის ხელში გაიარა. არგონავტების ამბისადმი ინტერესი დღემდე არ შენელებულა.

ნასხეისარი ფაბულის ხელახლად დამუშავებას ძალიან ხშირად ლიტერატურულ ჟეფიბრად მიიჩნევენ. ასეთ ახსნას განმარტება სკორდება. სხვა ფაქტორთა შორის ამის მიზეზი ძეველი ამბის ახალი ინტერპრეტაციებსა და ფაქტების თავისებურად ახსნაში უნდა ვეძოთ. შეუძლებელია, თომას მანს იმიტომ გადაეწყვიტოს „იოსებისა და მისი ძმების“ ან „დოქტორ ფაუსტუსის“ ხელახლა დაწერა, რომ ნდომოდეს, „ბიბლიის“ შესაბამისი წიგნის აეტორზე ან გოეთეზე უკეთ შეესხა ხორცი ამ ამბებისათვის. როგორც ანალიზი გვიჩვენებს, „უკეთესად თქმა“ მეტად პირობითი გამოთქმაა და არაფრენის არ გვიუბნება, მთელს ამ გლობალურ ლიტერატურულ ტენდენციას ყველაზე ნაკლებად ასახავს, თუ იგი მხოლოდ პოეტური ხერხებით თხზულების სიმდიდრის მეტ-ნაკლებობას ვულისხმობს. ყოველ შემთხვევაში, იგი ლიტერატურული პროცესის მეორადი მოვლენაა. პირველადი და მთავარი აქ უნდა იყოს „თავისებურად“. ამიტომ გახდა შესაძლებელი. მედეას ფაბულაზე ტრაგედიებიც შეიმნათ და კომედიებიც.

გოეთი მოითხოვდა მსოფლიო არსებულების და-  
უშავებით იოლად ვასვლას. ეკერმანთან საუბარში გოეთი მსოფლიო  
ჩევდა ნაწარმოების (საუბარი ეხებოდა ეკერმანის კონკრეტულ  
ლიტერატურულ ჩანაფიქრს) ხორცის ჟესასხმელად რომელიმე შე-  
საცერისი ძევლი სიუკეტი აელო, უამისობა არ იქნება, თქვენი  
ცდა მარცხოთ დამთავრდება. „მაგრამ თუ მასალა მოცემულია,  
გ.შინ უკელაფერი ხდება სხვაგვარად და იოლად. ფაქტები და ხა-  
სიათები უკვე სახეზეა და აეტორს ისლა რჩება, რომ სიცოცხლე  
შეიტანოს მასში. ამასთან ერთად იგი ინარჩუნებს თავის საკუთარ  
სიმღიდოებს, რაღვან მას თავის მხრივ კოტა რამის დამატება სკირ-  
დება... მაგალითად, რამდენჯერ ასახეს იფიგენია და მინც ყველა  
იფიგენია განსხვავებულია ერთმანეთისაგან, რაღვან ყველა ხედავს  
და ასახეს საგანს სხვანაირად, თავისებურად<sup>80</sup>. სხვაგან პოეტი  
უფრო შორს მიდის: „ახლა, სიბერეში, ასე იდეალური სიუკეტები  
უკვე აღარ მაძლევენ ხელს და მე ვიქცევი კეთილგონიერულად,  
როცა ვარჩევ ისეთებს, რომლებზეც თვითონ მასალა უკვე შეი-  
ცავს გარკვეულ გრძნობიერებას“<sup>81</sup>.

ჩვენ ზემოთ უკვე დავინახეთ, რომ გოეთის ეს სიტყვები დეკ-  
ლარაცია არ ყოფილა, მთელი მისი ეპიკური შემოქმედება სწორედ  
ამ პრინციპზეა აგებული.

ხდება ისეც, რომ ერთსა და იმავე ამბავზე მწერალი ორ ნა-  
წარმოებს წერს, ამათვან ერთისთვის ერთი მწერლის ფაბულას გა-  
მოიყენებს, მეორისთვის — მეორისას. მაგ., სენეკამ პერკულესის  
ამბავს მიუძღვნა ორი ტრაგედია, პირველი სოფოკლეს ფაბულაზე  
ააგო, მეორე — ეკრიპტდესაზე. ზოგჯერ პირიქითაც ხდება: მწერა-  
ლი მიმართებს კონტამინაციას — გამოიყენებს სხვადასხვა წყაროს.  
მაგ., ტერენციუსმა თავისი კომედიისათვის „ადრიანელი“ მენანდრეს  
ორი პიესა გამოიყენა.

ის, რომ ფაბულა მაქსიმალურად შეკუმშული სიუკეტია, გარ-  
ევეული ერთეულებისგან მის შემდერალობას როდი გამორიცხავს.  
ფაბულის განმარტების აცტორთ ავიწყდებათ იმისი აღნიშვნა, რომ  
ეს ერთეული არის ფუნქცია.

<sup>80</sup> И. П. Энкеверман, Разговоры с Гете. М.—Л.-Л., 1934, гл. 169.  
<sup>81</sup> № 30, гл. 417.

რა არის ფუნქცია?

ვლ. პროპის განმარტებით (ის ხდაპრეცის ფუნქციას უხდიოდა), ფუნქცია არის პერსონაჟის ქმედება, განსაზღვრული მოქმედების შელელობისათვის მისი მნიშვნელობის თვალსაზრისით<sup>82</sup>.

პროპის ახრით, ფუნქცია მუდმივი და მთავარი სიღირდეა. ფაბელთა იდენტურობის გასარევევად არსებოთია არა ის, თუ ვინ მოქმედებს ან როგორ მოქმედებს იყო, არამედ ის, თუ რა მოქმედება ხდება<sup>83</sup>. აქედან გამომდინარე, თავისითავიდ ცხადია, „ფუნქციები ძალიან ცოტაა. ხოლო პერსონაჟები — ძალიან ბევრია“.

ვ. პროპმა რესულ ზღაპრებში მხოლოდ 31 ფუნქცია დათვალია, ხოლო ფრანგებმა მეცნიერმა ა. გრეიმისმა ეს რიცხვი ოცამდე დაიყვანა<sup>84</sup>. სხვადასხვა დროსა და გარემოში ფაბელი იყვლება სწორედ მასში შემავალი ფუნქციების შეცვლის საშუალებით. ეს პროცესი გაანალიზებული აქვს კ. ლევი-სტროსს მითების მაგალითზე, იგი წერს: „უპირეველეს ყოვლისა ლირს შეიქცეს ყურადღება მითოლოგიური აზრის უკიდურეს სქემატიზმს მისთვის დამხასიათებელი სირთულით. მითოლოგიური აზრი თავისი არსით გარდაქმნადი აზრია. ყოველი მითი, დაიბადება ის თუ არა, მოღიყიურებული ხდება მთხოობელის მიერ — გვაროვნული ჯგუფის წიგნით ანდა მაშინ, როცა ერთი ხალხიდან მეორე ხალხს გადაეცემა. მასში ელემენტების ერთი ნაწილი ქრება, სხვები — ჩნდებიან, ეპიზოდები ენაცვლებიან ერთმანეთს, ხოლო გრეხებადი სტრუქტურა გადის მთელს რიგს მდგომარეობისას, რომელთა თანმიმდევრული ცვალებადობაან, ამისდა მიუხედავად, მთელი ჯგუფის თვისების ინარჩუნებენ. ასეთი ტრანსფორმაციების რიცხვი — თეორიულად მაინც — შეიძლება უსაზღვრო იყოს, თუმცა, და ეს ჩვენ ვიცით, მითებიც კვდებიან. ასეთ შემთხვევაში სადღაც თეორიუმ მითების წიაღში, არ იქნება რა უარყოფილი სტრუქტურული

<sup>82</sup> В. Я. Пропп, Морфология сказки, М., 1963, гл. 25. Шემდევში: В. Я. Пропп.

<sup>83</sup> ი. 30, гл. 24.

<sup>84</sup> ი. 30.

<sup>85</sup> Е. М. Мелетинский, Структурно-типологическое изучение сказки, Годчес: В. Я. Пропп, гл. 146.

ანილიზის პრინციპები, შეიძლება ვიპოვოთ მისი მომავალი რდევავის  
ჩანასახი<sup>86</sup>.

იულიოს კრონისეული გარდასახესს კრონის მიხედვით, გვაქვს  
როგორც ბადალი, ასევე კონტრასტული ფუნქციების მონაცემე-  
ბა<sup>87</sup>. მაგრამ ფაბულის, გარკვეულ ფუნქციათაგან შემდგარ იმ ერ-  
თეულს, უკვე კ. კრონის მოძღვრებით, ეს ფუნქციები არა მარტო  
გაღალასხვაფერდება, არამედ რაოდენობითაც ეცვლება. — ეყლდება  
ან ემატება. მოქმედებს ე. წ. დაეიწყებისა და გაფართოების კანო-  
ნები. ეს ორი მოვლენა (1. ფუნქციის შეცვლა, 2. ფუნქციათა დაკ-  
ლება ან მატება ფაბულაში) განაპირობებს ფაბულათა  
ტრანსფორმაციას. აუცილებელი არ არის: 1) ყევლა ფა-  
ბულა შეიცვალოს, 2) მას მიანკლამინც გარკვეულ უბანში ეყლდე-  
ბოდეს (ან ემატებოდეს) ფუნქცია თუ ფუნქციები. 3) მას იმდე-  
ნოვე ფუნქცია ეყლდებოდეს, რამდენიც ემატება. გარდა ამისა,  
ხშირი იქნება შემთხვევები, როცა ფაბულას ფუნქცია მიემატება  
ისე, რომ სამავიკირო არ დაკლდება ანდა პირიქით და ა. შ.

როგორც ვხედავთ, ნებისმიერი ფაბულა ისე შეიძლება განვი-  
თარდეს (შეიცვალოს). რომ რომელიმე Λ ფაბულიან მომღინარე  
Ε ფაბულს თავისი წინაპრისა არცურთი ფუნქცია აღიარ შეტანს.  
მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ფაბულამ თავისი ძირითადი  
ნიშანი მაშინათვე დაპქარებს. ვიმეორებთ, იმ უკანასკნელს იყო,  
როგორც ჩანს, დიდხანს, ერთგვარი ინერციათ მრავალგზისი ტრან-  
სფორმაციის შემდეგაც ინარჩუნებს.

თუ ფაბულათა ტრანსფორმაცია მსოფლიო ლიტერატურაში  
ისტორიულად დომინირებული ტენდენციაა, მაშინ ის აღვეთილი  
დღესაც არ უნდა იყოს. სხვისი ფაბულის გამოუყენებლობის თა-  
ნამედროვე ტენდენცია, შეუძლებელია, ლიტერატურის განვითარე-  
ბას არ აშესრულებდეს. ვ. ბრიუსოვის ცნობილი გამოთქმა: „შეერ-

<sup>86</sup> К. Левин-Строу, Миф, ритуал и генетика. «Природа», 1978, № 1, с. 90.

<sup>87</sup> Die folkloristische Arbeitsmethode begründet von Julius Krohn und weitergeführt von nordischen Forschern, erläutert von Kaarle Krohn. Oslo. 1926, с. 72-83.

ლები კითხულობენ მხოლოდ იმისათვის, რომ გაიგონ, რისი დაწერა აღარაა საჭირო, რა დაწერილა უკვე მანამდეო<sup>88</sup>, თუ იგი უკუნ ქციათა განმეორებისაგან თავის შეკავებას გულისხმობს, ოჩოლოქებულია. ზოგჯერ საქმე იქამდეც კი მიღის, რომ არა თუ ფუნქციების, არამედ ერთი თხზულების მიერ მეორე თხზულების თვით ელემენტების განმეორება ან დამთხვევა ითვლება სათაყილო და, ასე განსაჭერ, აკრძალულ საქმედ.

ყველაფერი ზემოთ თქმული, ვიმეორებთ. იმას როდი ნიშნავს, თოთქოს მსოფლიო ლიტერატურაში დომინირებული ეს ტენდენცია, ფაბულათა ტრანსფორმაცია, ერთადერთი იყოს. მაგალითად, ანტიურ ხანაში არა ერთი და ორი კლასიური თხზულება შექმნილა ორიგინალურ ფაბულაზე. ჯერ კიდევ პორაციუსი არიგებდა მწერალს: „თუ სუენაზე მანამ და უცნობი ამბავი გამოგაქვს და კისრულობ, გმირის ახალი სახე შექმნა, დაე ბოლომდე ისეთივე იყოს და ა. შ.<sup>89</sup>.

ა. ახლა კი დაცუბრუნდეთ „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულას.

უპირეელეს ყოვლისა ვიკითხოთ: ხომ არ მოხდა ისე, რომ რესთველის პოემა არ ემორჩილება მსოფლიო ლიტერატურის ამ გაბატონებულ ტენდენციას? განვიხილოთ უფრო დეტალურად „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულა (ფაბულა და არა სიუჟეტი!) ამ თვალსაზრისით.

რესთველის პოემის ფაბულა, ვ. პროპის მეთოდით თუ ეიხელ-შტევანელებთ, შვიდ ფუნქციალ დაიყოფა და ამდენად, როგორც ცვინშეთ, იგი ასეთია:

I ფუნქცია: ქალსა და ვაჟს ერთმანეთი უყვართ.

II ფუნქცია: მშობლები ვაჟს ქალს არ ატანენ.

III ლუნქცია: ქალსა და ვაჟს ერთმანეთს ჩამოაშორებენ.

IV ფუნქცია: ვაჟი დაეძებს თავის სატრაფოს.

V ფუნქცია: ვაჟი გაიცნობს კაცს, რომელსაც დახმარება შეუძლია.

<sup>88</sup> В. Брюсов, Избранные сочинения. Т. II. М., 1955, с. 550.

<sup>89</sup> კვინტუს პოტეციუს ფლავიუს, პოეტური ხელოვნებისათვის, ლითონურიდან თარგმნა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ევგენი ურუმაძემ. თბ., 1982, გვ. 19 (ხაზი ჩვენია. — მ. თ.).

VI ფუნქცია: დამხმარე მიაგნებს ქალისა და ვაჟის შეერთების საშუალებას.

VII ფუნქცია: შეყვარებულები შეერთდებიან.

ცალკალუ აღებული ზოგი ეს ფუნქცია შემჩნეულია რუსთველის ეპოქის სხვა ძეგლებში („ეისრამიანი“, „ამირანდარეგანიანი“, „შაპ-ნამე“, „ტრისტანი და იოლდა“ და სხვ.), ოლონდ ამ მსგავსებებს სხვადასხვა ტერმინებით ნათლავენ (ხაზები, მოტივი, პარალელი და მისთ).

ახლა ვნახოთ, არის თუ არა რომელსამე სხვა ძეგლებში ასეთი ფუნქციების მქონე ფაბულა.

ჩვენი პოემის ფაბულის ნასესხობისა და ფაბულის ორიგინალობის მომხრეთა კამათი მეცნიერული არ იყო, რადგან არავის გაუკეთებია უმთავრესი და უპირველესი საქმე: არავის არ შეუმოწმებია, მართალი არის თუ არა თავად აეტორი, — სპარსული ლიტერატურა არავის შეუსწავლია იმ მიზნით, რომ ენახა, იყო ეს ფაბულა იქ თუ არა. და სავსებით სწორად სვამდა საკითხს იქ. ჯავახიშვილი, როგორც წერდა: „ამ საგანხე ბევრი რამ თქმულა; ვინც არ გინდა, ამასე ჩამოაგდებს ხოლმე ლაპარაქს, თუმცა საკითხი იჩიდენად რთულია, რომ მხოლოდ მომზადებულს და იღმოსავლეთის მწერლობის განსაკუთრებული ცოდნის პატრონს შეუძლია საფუძვლიანი რამ გამოთქვას“<sup>90</sup>.

თითქმის ყველა მკვლევარი, ვინც ამ საკითხს ეხება, უსაშური გულმოდგინებით ცდილობს დაამტკიცოს, რომ ორჯერ თრი რთხი არ არის. რა ვარაუდები არ იქნა მოფიქრებული იმისათვის, რათა თხსულების აეტორის ცნობა მისი პოემის პროზაული წყაროს სპარსულიდან მომდინარეობის შესახებ ვინმერ პირდაპირი მნიშვნელობით არ გაიგოს! ზოგს „ამბავი სპარსული“ სპარსულ ყაიდაზე თქმულის მნიშვნელობით ესმის<sup>91</sup>; ზოგი ს პარ სე თ ს აძლევს მაპმდიანური აღმოსავლეთის გავებას, რასაც იმ ხანის ქართული ისტორიული ღოკუმენტების მოხმობით ამტკიცებს<sup>92</sup>, ზოგი თელის,

<sup>90</sup> ი. ე. ჭავახიშვილი, გვ. 45.

<sup>91</sup> ა. შეგრძლივე, „ცისაკი“, 1959, № 3, გვ. 130.

<sup>92</sup> ვ. გაბაშვილი, აღმოსავლეთი XI-XII ს. ქართული სისტორიკისტუროების ფურცლებში. კრებ.: „XII ს. საქართველოს ისტორიის საკითხები“, თბ., 1968, გვ. 276.

რომ „ესე ამბავი უცხონი“ უნდა გულისხმობდეს იდეოლოგიის და არა სიუკეტის, ეს კი მთ უფრო მოულოდნელია მკედლერის ვაჭარა, რომელიც იმავე წიგნში წერს: ვეფხისტყაოსნის ჩინჩხევი (იისტ) და სქემა საერთოა „ანალოგიური რომანებისათვის წინააზიდან მოკიდებული პირინეიმდეო“<sup>93</sup>, ზოგს მიაჩინა, რომ პოემის ამბავი სპარსულია (რადგანაც გამონავონია), მაგრამ იგი „ქართულადაც ნითარგმანები“ — გაგებულია, ვაზრებულია ქართველთა თეალსას. რისით;<sup>94</sup> მკედლევართა ერთ ნაწილს ეს იფიქრებს: თუ ეს ამბავი სპარსულიდანაა აღებული, სპარსელები თავად რატომ არიან პოემა. უი არასიმპათიურად გამოყვანილიო.<sup>95</sup> საქმე იქამდეც კი მივიღა, რომ ერთი ფრიად სერიოზული მკედლევარი აცხადებს: ამ სტროფის პირდაპირი გაგება ამცირებს „ვეფხისტყაოსნის“ უცხოელთა თეალზომ.<sup>96</sup> ჯვარი აქაურობას!


„ვეფხისტყაოსნის“ აეტორის ზემოთ მოტანილ განცხადებაში აღ. ბარამიძე სიუკეტის შენილბვის ხერხს ხედავს, მას მოაქვს მ. ი. ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირისა“ და შ. მონტესკიეს „სპარსული წერილების“ მაგალითი. ეს ხერხი მართლაც ცნობილია ლიტერატურაში, როცა აეტორებს უნდათ, კლერიკალური წრების რისხვა აიცდინონ. მაგრამ რამდენად ესადაგება იგი ჩვენს პოემას? მკედლევარი აცხადებს: „შენილვის საქართველოს ალბათ იწვევდა „ვეფხისტყაოსანში“ ასახული ამბის გამჭვირვალე ისტორიული ასოციაციები და პოემაში გატარებული სოციალურ-პოლიტიკური და სარწმუნოებრვ-ფილოსოფიური შეხედულებათა რადიკალიზმით<sup>97</sup>. მაგრამ ვიყითხოთ: რა სათავილო ისტორიული ასოციაციები უნდა გამომქვანებოდა „ვეფხისტყაოსანში“ მის აეტორს ასე გამჭვირვალედ ანდა რა ასეთი ანტირელიგიური ან თუნდაც მისი დროის საზოგადოებისა და პოლიტიკური წყობილების-თვის მიუღებელი იდეები იქადაგა რუსთველმა? არას აქ სხვა

<sup>93</sup> III. И п у б и д з е, Творчество Руставели. Тб., 1958, გვ. 278.

<sup>94</sup> რ. სირაძე, ასახვის რესოველური მეთოდი “და „ვეფხისტყაოსნის“ უადება. გამ.“, „ლიტერატურული საქართველო“, 1969, № 12;

<sup>95</sup> ვ. დონდურა, ვეფხისტყაოსნი და თამარის ისტორიკოსები. კრებ. „საქართველო რესოველურის ხანაში“, თბ., 1966, გვ. 240.

<sup>96</sup> გ. იმედიშვილი, რესოველულობისა და პოლიტიკური წყობილების-თვის მიუღებელი იდეები იქადაგა რუსთველმა? არას აქ სხვა



გაუგებრობაც. რუსთველი თავის პოემას შარტო მომავალი საუკუნეების ხეებისთვის ხომ არ წერდა. და როცა ის აქადებს პრილოგშიას, თუმცა აც, მე გამოიყენე და ლექსად გარდავთქვე, ხელიხელსაგოგმანები გარგალიტის დარი არისო, თუ ეს ცნობა მოვონილი იყო და ასეთი ძეგლი არ არსებობდა. ჩატომ არაფერი იფრქრა იმაზე, თუ რას ეტყოდნენ მას მისი თანამედროვენი? მ. ა. ლერმონტოვის მაგალითი აქ არ გამოგვადგება. ლერმონტოვი იმას ჩოდი ეცებნება თავის თანამედროვე მეითხეელებს: ეს მოთხოვდები თქვენთვის ისედაც ცნობილია, თქვენ ის ძალიან გიყვაროთ, არამედ აქადებს: მისი აეტორი გარდაიცვალა და მას, ამ თქვენთვის უცნობ მასალებს, მე ვამხეურებო. ეს უკვე მართლაცაა კვალის აბნეების აქტი, შენიღების ხერხი და მას არაფერი აქვს საერთო „ვეფხისტყაოსნის“ აეტორის ცნობებთან პოემის ამბოს საღაურობის შესახებ. უფრო მყარი არა კ. კეკელიძის მოსახრებაც (გამაგრებული ე. შიშმარიოვის მიერ ეკრობული ლიტერატურიდან მოხმობილი ანალოგიური მაგალითებით), თოთქოს ასე იმ მიზნით ეთქვას რუსთველს, რომ სპარსულ პოეზის, ასე ვთქვათ, უკეთესი ბაზარი ჰქონდა.

ერთი წუთით დაუუშვათ, რომ არ არსებობს „ვეფხისტყაოსნის“ პრილოგი და ეპილოგი ვნახოთ. რა ეოთარებაა რუსთველის დროის ლიტერატურაში ამ თვალსაზრისით. სამწუხაროდ, სიუკეტის მქონე მხატვრული ორიგინალური ძეგლი ამ დროის ქართული მწერლობისა ჩენენ არ შემოგვრჩენია. საქართველოს ამ დროს ცხოველი კელტურული ურთიერთობა ბიზანტიისთან, ირანთან, არაბულ სამყაროსთან და სპარსულენოვანი მწერლობის მქონე შარგანთან ჰქონდა. XI-XII საუკუნეების სპარსულ ლიტერატურაში კი მიმღინარეობდა მეტად თავისებური პროცესი: ისლამამდელი პერიოდის ირანული სიუკეტების ახალ სპარსულ ენაზე გალექსეა. ასე შეიქმნა ჭირდოუსისა და დაყრდნობის „შპ-ნამე“, გორგანის „ვეს-ორმინი“, სინდბად-ნამე“, „ქილოლა და დამანა“. ნიზამის მთელი ცპიური მემკვიდრეობა (ხუთი პოემა) და სხვ.

ო ამიტომაა, რომ სპარსული პოემების აეტორები: ჭირდოუსი, ნიზამი, გორგანი, ხოსროვ დეპლევი და სხვანი, როგორც წერი, ასახელებენ წყაროს. რომელიც მათ თავიანთი პოემის წერის დროს გამოიყენეს და ყველა მათი ცნობა სწორია და სანდო.

ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ მხოლოდ ნასხისარ სიუკეტებს ჰქონდებენ ამ დროს მთელს ეკროპულ, კერძოდ, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, იტალიურ ლიტერატურაში. ბიზანტიიაში ამ დროს ისათვის სასულიერო მწერლობა სუფევდა, მაგრამ იქაც აღვილი პქოხდა კლასიკური პერიოდის სიუკეტების აღდგენას.


კიდევ მეტი შეიძლება ითქვას: მთელი X-XIII საუკუნეების სპარსულ ლიტერატურაში თვალში საცემია ერთი მოვლენა: ფალაცურიდან ან არაბულიდან სპარსულ ენაზე პრიზით გადმოკეთებული ამბების გაცლეჭსაც. ასე შეიქმნა „მაპნამე“, „ქილილა და ლამანას“ რუდაქისეული ლექსითი ვერსია, „ვას-ო რამინი“ ნიზამის „ხოსროე და ზირინი“, „ესქანდერ-ნამე“ და ბეერი სხვა ძეგლი.

მწერლის მიერ თვისი თხზულების წინასიტყვაობაში მოცემული ცნობა: ეს ნაწარმოები მე ამა და ამ ენიდან გადმოვიდე (ჩრდილო აეტორის დაუსახელებლად) რუსთველის დრომდე იყო პრაქტიკაში და მის შემდეგაც.

ამ დროის სპარსულ და აღმოსავლურ ლიტერატურაში, გამოცეკლისის გარეშე, ყველა პოემა ნასხისარი ფაბულის დამუშავებაა და ყველა აეტორი ამ ფაქტს საგანგებოდ აღნიშნავს (ფირდუსი, ნიზამი, ხოსროვ დეპლევი, ჯამი, ნავაი და სხვ.). ანტიური ლიტერატურის წარმომადგენლები: პლაეტე, ენიუსი, ტერენიუსი, აპილეუსი და სხვები თვითონვე ასახელებენ იმ მწერლებს, რომელთა ფაბულები მათ მოქვთ<sup>98</sup>. ასევე იყო რუსთველის ხანაშიაც, ჩაგვ., დიდი გერმანელი მწერალი პატმანი „ერეკის“ წინასიტყვაობაში (1190 წ.) თვითონ ასახელებს თავის წყაროს — კრეტიკ და ტრუას ამავე სახელწოდების თხზულებას. რუსთველის თანამედროვე მეორე გერმანელი მწერალი ფრიცლარი, რომელმაც მანამდე ისედაც მრავალჯერ დამუშავებული „ტროას ომი“ გადაკეთა, თავის თავს უცხო აეტორის მოწაფედ თვლის<sup>99</sup>.

მეორე მხრივ კი სხვის მიერ დამუშავებული ამბის ხელახლა გადამუშავების ტენდენცია თვითონ წინამორბედთა მიერ იყო კურთხეული. ნაწარმოების ბოლოში ზოგი მათგანი თავად აქეზებდა

<sup>98</sup> H. M. Троицкий, გვ. 324.  
<sup>99</sup> გ. რ. ხევთაძე, გვ. 229.



სკებას: მე ვთქვი, როგორც შემეძლო, ახლა კი თქვენ თვითონ შევ-  
ეცადეთ, უკეთ გადმოსცეთ ეს ამბავით! ამდენად, არიოსტოს (1474-  
-1533) ცნობილი გამოთქმა: „და სხვამ უკეთ დაამლეროს ამ ამბის  
უსახებ“, რომლითაც, სხვათა შორის, სერვანტები ამთავრებს თა-  
ვისი „დონ-ეიხოტის“ პირველ წიგნს, ამ ტენდენციის ტიპური გა-  
მოხატულება იყო. როგორც ცნობილია, „დონ-ეიხოტის“ სულ მაღა-  
მართლაც გამოუჩნდა იხალი ავტორი, რომელმაც შეთხხა და გა-  
მოსცა ამ ნაწარმოების მეორე ტომი და ამით სერვანტებს თავისი  
ოხზულების გაგრძელება დაასწრო. „დონ-ეიხოტის“ მეორე ტომში  
სერვანტების მისთვის დამახასიათებელი გესლიანი ენით უსწორდე-  
ბა თავის რაყიფს, რას არ უწენებს მას და რაზი არ სდებს ბრალს,  
მაგრამ დღვევანდელი მწერლობის პრინციპების პოზიციიდან ყველა-  
ზე დიდ ბრალდებას, ჩემი თხზულების გაგრძელება როგორ გამდე-  
დეო?! — არ უყენებს. და ეს საესებით გასაგებია: ფაბულა არა-  
ვისი კუთვნილება არ იყო და აյგ თავად დამთავრა თავისი პირ-  
ველი წილი საამისო მოწოდებით, რაყიფი ამ საქმისთვის თავიდ წა-  
იქცია!

სანამ საქართველოში „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის კვლევაზე  
ყადაღა იყო დადებული, არაქართველმა, როგორც საბჭოელმა, ისე  
„ცხოველმა, მეცნიერებმა, ამ დარგში გარკვეულ წარმატებებს მიაღ-  
წიეს. („ვეფხისტყაოსანი“, თავისი გენიალურობის გამო, მარტო  
ქართველებს არ ვეკუთვნის, ისე როგორც, ვთქვათ, „დონ-ეიხოტი“  
არ ეკუთვნის მარტო ესპანელებს. ბუნებრივია, სხევბიც იყვალენ  
მას).

1969 წ. აზერბაიჯანელმა მეცნიერმა ხალილ იუსიფოვმა ვამო-  
ქვეყნა სტატია „ვეფხისტყაოსანი რამა“ („Рама в·тигротовой  
шайке“), რომელშიაც ქართული პოემის შინაარსი შეადარა „რამა-  
იანას“ და მათ შორის ბევრი სარტყერებსო დამთხვევა აღმოაჩინა<sup>100</sup>.  
უზრო გვიან ეს საგანგეო სტატია მკვლევარმა სრულყო და სო-  
ლილურ მეცნიერულ კრებულშიც გამოაქვეყნა. მის მიერ მოტანილი  
პარალელები ასეთია:

<sup>100</sup> ხ. იუსიფოვის საგანგეო სტატია მისი გამოქვეყნებიდან ცოტა ხნის  
გასულის შემდგა გამატო წერილ გამსახურლიაშ (ის მისთვის, ჯერ კიდევ მაშინ  
ქართული ეროვნული ინტერესებისათვის შეარა და თავდამოწერებულ მეტადო-  
ლისათვის, მიეწოდებინათ) და მთხოვა, პასუხი გამეცა ხ. იუსიფოვისათვის.

„ძირითადი მშები ინდოეთში სდება, მთავარი გმირები ინდოეთში ტანის ტანტის მემკვიდრენი არიან. სიტანა და ნესტანდარეფანს თითქმის ერთნაირად იტაცებენ ბოროტი დემონები. მოტაცებული სიტა და ნესტანდარეფანი იმყოფებიან ციხე-სიმაგრეში, რომელიც კუნძულზე მდებარეობს.

თუ რამა ოჯახისა და ტანტის დაბრუნების საქმეში ეხმარება საკუთარი ძმის, ვალინის, მიერ გაძევებულ სუგროვას, ზუსტად ასე რეცევა ტარიელი ფრიდონის მიმართ. სუგროვა თავის მიმუნებს აგზავნის ყოველ მხარეს სიტას მოსაძებნად. ფრიდონის გარიც ყველა ქვეყანაში მიღის ნესტანდარეფანის მოსაძებნად.

სიტას მოტაცების შემდეგ შეჭირვებული რამა ტირის, ვახელებულია და თავის შეკვარებულს სად არ ეძებს. მხოლოდ ლაქ-ჯიანის დაჩივებები და მზადყოფნა, დაეხმაროს ძმას, შეეღის რამას, არ დავარგოს თავ-გზა. ამ სიტუაციას ვპოულობთ „ვეფხის-ტყაოსანშიც“: ავთანდილის მოსვლა ტარილთან და მისიდ დაპირება, მე დაგეხმარებიო, ისსნის ტარიელს სასოწარვეობისაგან.

რუსთველის გმირი დავარი მსგავსად შურპანაგებისა, რომელსაც თავისი რაყიფის მოკვლა უნდა, თავს ესხმის ნესტანდარეფანს. რათა ცემოს მას.

ფატმანის მონა იმავე როლს ასრულებს, რასაც ხანუმანის მა-იმუნი „რამაიანაში“. ორივეს მოაქვს ცნობა მთავარი გმირების რამა — ტარიელის) სურვილზე — გაათვისესუფლონ მათი შეკვარებულები (სიტა — ნესტანდარეფანი). სუგროვას ეხმარება რამა. ფრიდონის — ტარიელი. მსგავსი სიტუაციებისა და მოტივირებების გავრცელება კიდევ შეიძლებოდა.

რუსთველის ზოგ აფორიზმსაც კი ვპოულობთ „რამაიანაში“. ჩაგალითად, „რამაიანაში“ იყოთხება ასეთი აფორიზმი: „ნამდვილი მეომრისათვის სიკედილი უკეთესია, ვიდრე სამარტინო გაქცევა ბრძოლის კელიდან“. ეს აფორიზმი არა ერთხელ მეორებია რუსთაველის პოემაში. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს ავეფხისტყაოსნის „გარევაულ დამოკიდებულებაზე „რამაიანასთან“.

რუსთველის პოემა, როგორც ის თავად იუწყება, სწორედ სპარსული ენიდან არის თარგმნილი, ამის გამო უნდა კითებროთ, რომ ქართული ლიტერატურის კლასიკის პოემას და ძველ ინდურ ეპოსს შორის კავშირი შეალობითი იყო.

იქნება არსებობდა სპარსულ ენაზე „რამაინას“ რომელი  
გმანი — გარდათქმანი. ამასთან დაკავშირებით, ძნელია თავის მეცნიერების  
კულტ ვარაუდისგან, რომ „რამაინა“ სპარსულად ითარგმნა სასა-  
ნურ ხანაში. ხომ სწორედ ამ ხანაში ითარგმნა ძველი ინდური ლი-  
ტერატურის მეორე ძეგლი „პანჩატანტრაც“ კერძოდა და დამანას“  
სახელწოდებით, ეტყობა, ეს თარგმანები არაბთა შემოსევის შე-  
დეგად დაიკარგა“<sup>101</sup>.

„რამაინას“ და „ვეფხისტყაოსნის“ ფაბრულათა იდენტურო-  
ბას ხ. იუსიფოვი არ ამტკიცებს, მას მხოლოდ ამ ორი ნაწარმოების  
„მსგავსი მოტივები და დეტალები“ აქვს მოხმობილი.

„ვეფხისტყაოსნის“ და „რამაინას“ გმირების ერთგვარი სუ-  
ლიერი ნათესაობა აღრეც იყო შენიშნული ს. იორდანმეილის მი-  
ერ<sup>102</sup>. „რამაინასთან“ ჩეენი პოემის მსგავსებაზე მიუთითა „ვე-  
ფხისტყაოსნის“ ინგლისურ ენაზე მთარგმნელმა ქეთრინ ვაერანმაც  
(ოლონდ, როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი არ იცნობს ხ. იუსიფო-  
ვის შრომას), მისი დაკვირვებით, ტყველქმნილ ქალს ათევისულ-  
ებს სამი გმირი. „რამას ცოლი სიტა, ნესტანდარეგანის მსგავსად  
ქაჯებს (ვივიანის გამოთქმით: დემონებს. — მ. თ.) ჰყავთ შეპყრო-  
ბილი. ორივე ამბავში ქაჯები და რიქშასები ძალიან ჰგეანან ერთმა-  
ნეთს. ცოლის გამოსახსნელად რამას მიჰყვება მისი ერთგული ძმა  
ლაქშმანი.

მაიმუნთა მეფემ დაინახა, თუ როგორ გაიტაცეს სიტა  
ქაჯებმა, ისევე როგორც ფრიდონმა — ტყვე ნესტანი, და გაიგო  
მისი ამბავი. რამა დაეხმარა მაიმუნთა მეფეს, დაებრუნებინა სამე-  
ფო, ისევე როგორც ტარიელი იბრძოდა ფრიდონის მხარეზე და  
ფრიდონმა მოგვიანებით თვითონაც გაუწია მას დახმარება. არა-

<sup>101</sup> Х аз и л я Ю с и ф о в, Рама в Тигровой шкуре. «Баку», 1969, 17. X; № 1133. К вопросу об источниках поэмы «Витязь в тигровой шкуре» // Краеведение: Вопросы эстетики, поэтики и текстологии литературы Востока. Т. II. М., 1977, გვ. 33.

<sup>102</sup> რ ა მ ა ი ა ნ ი, რ ა ფ ლ ე ნ გ ვ ე რ ი ძ ი ს თ ა რ გ მ ა ნ ი. თბ., 1951, გვ. XVI.

ფერი ეიცით იმის შესახებ, იცნობდა თუ არა რუსთველი რამდენოსს -<sup>103</sup>.

თუ „რამაიანას“ და „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსების სწერა და ტალებძაც გავიხსენებდით, შეიძლებოდა, ასეთი პარალელების სია შეგვეღვინა (რამა — ტარიელი; სიტა — ნეტანდარეჯანი; ლაქშიანა — აეთანდოლი; სუგრივა — ფრიდონი): -

„რამაიანა“:

„ვეფხისტყაოსნი“:

1. ძირითადი ამბავი ინდოეთის ტახ-  
ტის მემკერდზე რამას გარდახდება. 1. ძირითადი ამბავი ინდოეთის ტა-  
ტის მემკერდზე ტარიელს გარდახდება.  
რამას ულას მისტაცებენ.
2. ცოლის საძებნელად გავრილი რა-  
მა გადაეყრდნა საშეფო ტახტისთვის თა- 2. სატრუოს საძებნელად გავრილი  
ვის ძმასთან ბრძოლაში ჩაბმულ სუგ- თავის ბიძაშეიღებთან ბრძოლაში ჩა-  
რიყებს. 3. სუგრივა ძლევადა და დაჭრილი,  
რამა მისთვის ჭრილობას შეახვევინებს. ლი, ტარიელი მისთვის ჭრილობას შე-  
ახვევინებს.
3. სუგრივა ძლევადა და დაჭრილი,  
რამა ძმასთან ბრძოლაში და გამარჯვებინებს. 4. ტარიელი ძლევადა და დაჭრი-  
ლობითი უსახლოესობა ბრძოლობის ბი-  
ძაშეიღებთან ბრძოლაში და გამარ-  
ჯვებინებს.
4. რამა ეხმარება სუგრივას ძმასთან  
ბრძოლაში და გამარჯვებინებს. 5. ფრიდონი ტარიელს სსეათაშორის  
უკეთება ამბავს, თე ერთხელ შემოხვევა- მოცულება ამბავს, თე ერთხელ შემ-  
ვით როგორ ნახა გატაცებული ქალი, თხვევით როგორ ნახა გატაცებული  
რომელიც, როგორც გაირკვა, სიტა უ- ქალი, რომელიც, როგორც გაირკვა-  
ფილა.
5. სუგრივა რამას სხეათაშორის მო-  
უკეთება ამბავს, თე ერთხელ შემოხვევა- მოცულება ამბავს, თე ერთხელ შემ-  
ვით როგორ ნახა გატაცებული ქალი, თხვევით როგორ ნახა გატაცებული  
რომელიც, როგორც გაირკვა, სიტა უ- ნესტანდარეჯანი ყოფილა.
6. სუგრივა თავის ხალხს აგზავნის  
სიტას საძებნელად. კვალს კვარ აგნებენ. 6. ფრიდონი თავის ხალხს აგზავნის  
ნესტანდარეჯანის საძებნელად, კვალს  
კვარ აგნებენ.
7. სიტას ძებნის დროს რამას გვერ-  
დში უდგას ლაქშიანი.
8. როგორც გაირკვა, სიტა ქაფებს 8. როგორც გაირკვა, ნესტანდარეჯანი  
ჰყავს ტყვედ ციხე-სიმაგრეში.
9. სიტას მოელის ქაჭხე გათხოვება. 9. ნესტანდარეჯანის მოელის ქაჭხე  
გათხოვება.

<sup>103</sup> K. Vivian, Vepkistkaosani: Elements from Eastern and western Cultures. „Bedi Kartlisa“. Revue de kartvelologie. Vol. XXXIX, Paris, 1981, გვ. 219-221.

10. სუკრიფა აგზავნის თავის გრძნელ 10. ტატემინი (ტატემინი შეცვლილია ქვეშეცვლილს სიტანის ქადაგის მიერალ აგზავნის თავის გრძნელ ქვეშეცვლილს უხე-სიმიგრეში, — რევემნილ ქაღას ნესტანდარეფანთან ქაჭების მიერალ ტა-აუნბეგენ, რომ მოღიან მის დასახსნე-სე-სიმიგრეში, — რეველმილ ქაღას ლად და სოხოვენ, მოაწოდოს მათ აუნბეგ, რომ მოღიან მის დასახსნე-ცინძა ციხის მღებარეობისა და სიმაგ-ლად და სოხოვენ, მიაწოდოს მათ ცინძა, ციხის მღებარეობისა და სიმაგ-ლის შესახებ.
11. სიტა მასთან ჩაფრენილ გრძნე- 11. ნესტანდარეფანი მასთან ჩაფრე- ულს ქიართან ატანს ძეირთას ქვას, რო- ნილ გრძნელს ზექნერთან ატანს რი- ლის ნაცეპს, რომელიც ტარიელმა უნ- და ინიშნოს.
12. სიტას დასახსნელად მიღის სამი 12. ნესტანდარეფანის დასახსნელად გმირი: რამა, ლაქშმიანა და სუგრივა. მიღის სამი გმირი: ტარიელი, ავთან- დილი და ფრიდონი.
13. სიტას დასახსნელად რამას მისყავს 13. ნესტანდარეფანის დასახსნელად სუგრივას ჯარი.
14. ქაჭეოს ციხეზე იერიშის მიტა- 14. ქაჭეოს ციხეზე იერიშის მიტა-ნის წინ რამა, ლაქშმიანა და სუგრივა ნის წინ ტარიელი, ავთანდილი და თათბირობენ.
15. თაბირზე რამა გამოიქვამს საე- 15. თაბირზე ტარიელი გამოიქვამს კეთეოსსა და საბოლოო მოსაზრებას: საეკეთეოსსა და საბოლოო მოსაზრე-თოოომ თითო კარიღან შეეტიოს („რა-ბას: თითომ თითო კარიღან შეეტიოს, მანაში“ თხის კარიღა, გმირიც შემო-ემატა მეოთხე).
16. რამა დაიხსნის ტკუეობილი სი- 16. ტარიელი დაიხსნის ტკუეობილი რამა.
17. რამა ბრენდება საშშობლოში, მას 17. ტარიელი ბრენდება საშშობლო-თან მიპყვებიან შეგობრები, რამა აღის ში. მას თან მიპყვებიან შეგობრები. ტატტე. შემღვევა კი მეგობრებს მაჟლი-ტარიელი ქორწილს იხდის. შემღვევა კი ერებით გაისტუმრებს.
18. ტარიელი დაიხსნის ტკუეობილი ნესტანდარეფანს.

„ვეფხისტყაოსანში“ გენიალური ოსტატობით არის ერთმანეთს შორებული ორი ამბავი (მოტივი): 1. ცოლის (სატროოს) დაკარგვისა და მისი დახსნისა. 2. ქალის მიერ კაცისთვის დავალების მიცემისა გამოცდის მიზნით და ამ დავალების შესრულების შემდეგ გმირის სურვილის დაკმაყოფილებისა.

როგორც შემოთ აღნიშნეთ, „ვეფხისტყაოსანში“ ფაბულა სპარსულ ლიტერატურაში აჩვენის უძებნია (მხედველობაში ვადექვს პოემის შეჯერება რომელიმე სპარსულ ტექსტთან). მას ქართულ

ქეულებს უდარებდნენ. მაგრამ ჩვენი პოემის ფარულის „შესწევლა“ სწორედ ამით დაწყო. აქ კი აღსანიშნავია ზაქარია ვიჭინაძისა, და მოსე ჯანაშვილის ლვაწლი.

1885 წ. ზ. ვიჭინაძე „ამირანდარეგანიანზე“ წერდა: „ვინც ამ რომანს წაიკითხაეს, იმას ცხადად გაახსენდება „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი. „ამირანდარეგანიანის“ შინაარს ერთობ დიდი გაულენა უნდა ჰქონოდეს „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსზეოთ<sup>104</sup>.

1895 წ. მ. ჯანაშვილმა გამოქვეყნა პატარა წიგნაკი „მოსე ხონელი და მისი ამირან-დარეგანიანი“, სადაც ბევრ სწორ თუ არა სწორ დებულებასა და ექსკურსს შორის გადაშელა „ვეფხისტყაოსნისა“ და „ამირანდარეგანიანის“ საოცარო მსგავსების სურათი. მან პატარელურად მოიტანა ორივე ძეგლის სათანადო ადგილების შინაარსი, რომელიც ასეთია (მოგვყავს მხოლოდ „ამირანდარეგანიანი“):

„იყო ინდოეთს მეფე აბესალომ, მორჭმული გამვებიანი... მოხმო მეფემან დიდებული და დაჯდა. მიუგზავნა ასულსა თეისა კაცნი. ერთა: შეილო, მე დავბერებულვარ და შენ ხარ მეფიდრი სამეფოისა ჩემისა და არა მისი შენგან კიდე სხვა ძე... პირმხე ასული მისი ვნახეთ და ესთქვით: თუმცა არა არს ხორციელი, თემცა მზე არისო. ვთიცავ ღმერთსა ცხოველსა, მზე მას ვერა სჯობდა. შეუმცეს ტახტი მნათობი... ნაღირობის დროს აბესალომ მეფე შეხვდება სახლს, რომელზედაც სწერია სახელი ამირანისა. სახლის გარშემო მინდორი მოფენილია აღწყვეტილი კაცებისა და ცხენების ლეშებით. მეფე შეიტყობს, რომ ეს კაც-ცხენები დაუხოცია გმირს ამირანს. მოისურებს მის ამბის შეტყობის. ერ შეიტყობს, დანალვლიანდება... ნაღირობიდან მეფე შემობრუნდება, უფროსსა შეკირვებასა მიეცა. აღარცა გვეიდა სანალიროდ და აღარცა გადაიხადა ნადიმი. შევიდა ჯაზაირ ვეზირთა უხუცესი და მოახსენა: გავზაუნეთ კაცნი ქალაქთა სპარსეთისათა, ნუთუ ვინმე ყრმა დარჩომილიყოს მისი და მისით ვსცნათო. გავზაენა კაცნი სპარსეთსა და ყავველსა ქვეყანისა შინა, წარმავალთა დაყვნეს ეამნი მრავალი... ხევსა წავადექით. მას ხევსა შიგან დგას ქარავანი ურიცხვი. მოვ-

<sup>104</sup> ზ. ვიჭინაძე, „ამირან დარეგანიანი“, გან. „დროება“, 1885 წ. № 162.

ვაგაბნენ წინ ყოველნივე და თაყვანი სცეს პატრიოტისა ჩეკენია.  
ჰერთხა: „ძმანო, ვინ ხართო?“ ზე იღვა აბრამ და ეგრე მოახხენას მართვა  
გასრულნი ქარავანი ვართ, ინდოეთიდგან ვართ მომავალი ურჩ-  
ცხვითა ლარითა. აქა იმიტომ ვყოვნით, რომე წინა მექობრენი გვიმ-  
ზერიან, ესე არს მისეზი აქა დღომისა შიშითა მათოთა... ნავთა  
მავლენ ლაშქარი ურიცხვი. გვესროდეს; შევვაჭირებდეს, მა-  
უნ გვიყიფლა ბადრი იამანისძემან: ჩაიმალენით ნაეთა შიგანო. ჩა-  
ვიმალენით. მოვიდა მექობრეთა თავადი და ყორდა, ვთა: გარდა-  
რხეწენითო. ეგრე მოგვეახლა, ახლტა ბადრი და მის ნავსა შიგან  
გარდახლტა. ჰერთა ხმალი და მოკლა, სხვანი ლაშქარი უჩინო იქ-  
ვენ. გვეიარეთ იგი ზღვა და მივეცით იმიერ ზღვისა კუნძულსა,  
ზღვათა მეფისა ქვეყანასა... ვაჭართა უფროსი ჰერთაგეს: საით მი-  
ლიხარო? — საკოლისა ჩემისა კენთა მეფის ასულის გამოსახსნე-  
ლად მივალთო. — იქ საეალი გზა საგრძნეულო არისო. ერთი შა-  
ოსანი დიაცი არის და მან იცის ყველა მის გზისა ამბავით და იგი  
გითხრობსო, მოქარავენი შინ წავიდნენ. გვეგზავნეთ შეირიე კენ-  
თა მეფის ასულის თანა, სეფე დაელემ შაოსან გზის ჩვე-  
ნება სთხოვა, შაოსანმა მოახსენა: ჯავრი ამომიყარე რაზიმან დევა-  
სა, რომელმაც შვილები დამიტყვევა. დევმა დიაცის უთხრა: როს-  
ებო! შემოუტია სეფე დავლს, რომელმაც დევი მოკლა. დიაცმა  
უთხრა: კენთა მეფისა ასული შთაკეტილია მაღალს კოშეში და  
კართა ზედან ხუთასი რჩეული არაბი უყენიაო. წავიდნენ; შევიდ-  
ნენ კენთა მეფის ქალაქში, რომლის შუაგულში კოშე იყო და მას-  
ში იჯდა მეფის ასული. მოიკვლიერ კიხეში შესასვლელი გზა. მე-  
ღვის ასულმა ზემორე ხსენებულ შიკრიეს პირით შემოუთვეოლა:  
ხვალ არაბთა მეფის შვილზედ მათხოვებენო. სეფე დაელემ აცნო-  
ბა: მზად იყვით და ამაღამევე გამოვიყვანთო. ლამე მიუხდა მეტოქე  
სასიძოს. შემუსრა მისი ლაშქარი. ქალი გამოიყვანა და წავიდნენ.  
კენთა მეფე გამოეკიდა მათ, იბრძოლეს მრავალი. კენთა მეფემ  
უთხრა როსაბს (როსაბ შეადარე რუსთველის როსაბს):  
თუმცა სეფე დაელს აჭობო, იგი პირმზე ასული ჩემი მოგცე ცო-  
ლად შენდაო. შეიბნენ. სეფე დაელემ მოკლა... სეფე დაელე წავი-  
და ცოლითა და მეგობრებით, და თუმცა მოკლე გზა ჰქონდათ, მაგ-  
რამ შორეული არჩიეს, რათა მაღლობა გადაეხადათ შაოსან დია-

ცისათვის. შეოსანი დიდის სიხარულით გამოევება, უძლენა მრავალი: მარგალიტი, გვირგვინი, ფარლული და სხვ. სეფე და ლუკა რვა ცედოფლად დასვა, დაჭერილი ქვეყანა მას და მის შეიღებაში მისცა<sup>105</sup>.

მ. ჯანაშვილი იქვე აღნიშნავდა: „ეინ იცის, „აქამდის ამბად ნათქვამი“, ან „დავჯე რუსთველმან, გავლექს“ იმას მოასწავებდეს, რომ მოსე ხონელის მიერ „ნასიტუყნი ამბავნი“ (პროზა) შეიქმნენ „აწ მარგალიტი წყობილი“ (პოემა).

ზაქარია ქიქინაძისა და მოსე ჯანაშვილის ამ ექსკურსებს მარტინ არავინ გამოხმაურებდა, მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ განიმეორა მათი მიხვედრა კ. კიკელიძემ<sup>106</sup> (ოლონდ არ გაუზიარებდა).

თუ ი. ჯავახიშვილი „ვეფხისტყაოსანში“ „ამირანდარეჯანიანის“ მხოლოდ ანარეკ ლს ხედავდა,<sup>107</sup> ფაქტიურად ამ ორი ძეგლის გენეტიური ურთიერთმიმართება აღიარა შ. ნუცუბიძემ. იგი წერს: „ამირანდარეჯანიანს იმდენად ემთხვევა „ვეფხისტყაოსანი, სიუკეტურად და ფორმალურ-პოეტურად, რომ შეიძლება არც საესებით გაუმართლებელი იყოს აზრის შესაძლებლობა: ხომ არა სწორედ ეს „ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები“, რომელიც აქამდე აღელევებს მეცნიერებას“<sup>108</sup>.

როგორც უკვე აღნიშნეთ, პ. ინგოროვა „ვეფხისტყაოსანის“ სიუკეტის ორიგინალობას იცავს. მევლევარი მსჯელობას ისე წარმართავს, თითქოს საერთოდ ფაბულის ცნება არც არსებობდეს. სამავიეროდ იგი უშვებს იმის შესაძლებლობას, რომ რუსთაველს გარეული ფოლკლორული წყაროებით უნდა ესარგებლა. მაგრამ პ. ინგოროვას აზრით, „ვეფხისტყაოსანის“ „ფოლკლორული წყაროები... უნდა ვეძიოთ არა ხალხურ „ვეფხისტყაოსანში“ (ეს უკანასკნელი, როგორც აღნიშნავთ, უკვეელია, შოთას პოემიდან მოგდინარეობს), არამედ სხვა თქმულებებში, და პირველ რიგში, ქარ-

<sup>105</sup> პ. ჯანაშვილი, გვ. 17.

<sup>106</sup> ქ. დეკადი, 11, გვ. 142.

<sup>107</sup> ი. გ. ჯავახიშვილი, ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის ძალითხები, თბ., 1956 წ., გვ. 48;

<sup>108</sup> პ. ნეიტბირი, ვეფხისტყაოსანის ლიტერატურული წყაროები, „ჩერთვის ქუმებული“, თბ., 1938, გვ. 164.

თელი ფოლკლორის ცეკველეს და უშესანიშნავეს ძეგლში — მის-  
ანის თქმულებაში. ისე, მაგალითისათვის აღვნიშნავთ, რომ შოთა  
პოემის გმირთა სამება, რომელიც ქავეთის ციხიდან გამოისხის  
ნესტან-დარეჯანს, ბეკრ ხაზებში გვაგონებს ამირანის თქმულების  
სამ გმირს, რომელებიც ზეციური კოშკიდან გამოიყვანენ მხეთა-  
ვის ქეთუ-კამარს.

გაინც შეეხელრა შოთას პოემისა ფოლკლორთან, და კერძოდ  
ამირანის თქმულებასთან, არ სცილდება — როგორც აღვნიშნეთ —  
სიუკეტის ცალკეულ ხაზებს. შოთას, როგორც ირკევე, უსარგებ-  
ლინია ქართული ფოლკლორული წყაროებით, ხალხური შემოქმედე-  
ბის მოტივებით, მაგრამ ისიც უდავოა, რომ პოემის სიუკეტი, მთლი-  
ანად ოლებული, არ მომდინარეობს ფოლკლორიდან<sup>109</sup>.

შ. ნუცუბიძის აზრით, რუსთაველს, ისე როგორც მრავალი სხვა  
ანალოგიური რომანის აეტორს, გამოყენებული იქნა გარკვეული  
ჩონჩხედი (OCTOB) ამბისა, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია მისთვის,  
უკეთენა ორიგინალური სიუკეტისა და იდეების მქონე თხზულება<sup>110</sup>.

ი. აბულაძისა და შ. ნუცუბიძის მიერ სახელდახელოდ გამოთ-  
ქმულ ამ მიხეედრას რუსთველოლოგიაში განვითარება არ ჰქონია.  
რუსთველის გენოსობის ერთ-ერთი საბუთი კი სწორედ ამ უშეა-  
ლო ჩონჩხედის მიგნება იქნებოდა, იმის გარკვევა იქნებოდა, თუ  
რა იყო ის „მტენარი ამბავი“ (იუსტინე აბულაძის გამოთქმა),  
რომელიც აიღო მან და გენიალურ ქმნილებად აცირია. ამ ფაბულის  
ძიება არ სწარმოებდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ ამ ფაბულამ თა-  
ვისთვიც წამოჰყო თავი რუსთველოლოგიაში. თუმცა იგი მაშინვე  
იქნა მითურებული. რა ფაბულა იყო ეს?

1938 წ. უზბექმა მეცნიერმა ა. შარაფუტლინოვმა გამოაქვეყნა  
უზბეკური ფოლკლორის ორი ნიმუში, როგორც „ვეფხისტყაოს-  
ნის“ ამბის გენეზისისთვის საინტერესო მასალა: „ბათირ-არსლანი“  
და „ვეფხისტყაოსნის“ იულდაშევისეული ვერსია (ვერსიები ქართუ-  
ლად თარგმნა და გამოაქვეყნა კ. ჭიჭინაძემ). რუსთველოლოგია  
ა. შარაფუტლინოვის ექსკურსის სათანადო ინტერესით არ შეხვდა.

<sup>109</sup> პ. ინგოროვა, თხზულებათა კრებული ტომი I, 1963 წ. თბ.,  
83, 222.

<sup>110</sup> Шалва Нуцубидзе, Творчество Руставели, გვ. 139.

პირველი ამბავი, „ბათიჩ-არსლანი”, არც იქნა სათვალავში მოქმედი, იულიაშევისეული კერძია კი, რომელიც აყინისავა თქმით. მას ახალგაზრდობაში გაეგონა და მეტე გაელექსა, დატალურად აქ-ნა გარჩეული და უარყოფილი. რადგან მას აშეარად ემჩნეოდა, რომ ეს-ესაა განეცადა „ვეფხისტყოსნის” გავლენა<sup>111</sup>.

ჩვენ აქ ვერაფერს ვიტყვით იულდაშევისეულ კერძიაშე, რადგან უკვე აღარ შეიძლება გარკვევა, რაა მასში ძევლი და რა — ახალი, მაგრამ გვინდა მიეუბრუნდეთ „ბათიჩ-არსლანს”. მოვიყვანთ მის მოყლე შინაარსს ჭიდვინაძისეული პუბლიკაციით:

„ეგვიპტეში ცხოვრობდა ერთი მეფე. იგი ფრიად მდიდარი იყო, თოხმოცდათი წელი ისე შეესრულდა, რომ შეიღები არა ჰყანდა, ამის გამო დიდი დოკლათი და ქონება შეფეს ნამდვილ ბედნიერებას ვერ ანიჭებდა. მას ჰყავდა ერთი ვეზირი, ბრძენი, როგორც პლატონი, მაგრამ ვეზირიც უშეილო იყო. ვარსკვლავთმრიცხველებმა ურჩიეს მეფის ფრანგების (ფრანგების) მეფის ასულის შერთვა, ხოლო ვეზირს — სომხეთის მეფის ასულისა. დაქორწინების შემდეგ მეფის შეეძინა ქალი, 30%ირს კი — ქალ-ვაჟი. მეფემ და ვეზირმა დანიშნეს თავიანთი ბავშვები: მეფემ აღუთვა ვეზირს, რომ თავის ქალს მის ვაჟს მიათხოვებდა, როდესაც ისინი სრულწლოვანი განდებოდნენ.

ბავშვები ერთ წრეში იზრდებიან. ისინი ყოველგვარ ნიჭია და სიკეთეს იჩინენ.

როდესაც ვეზირის ვაჟი ბახრამი<sup>112</sup> თექვესმეტი წლის შესრულდა, იგი უკვე სამხედრო ხელოვნებას კარგად იცნობდა. ასარებენ, გამოჩენილ მეომრებთან შეჯიბრების დროს, იგი ყოველთვის გამარჯვებული გამოდის და მალე სახელგანთქმული გმირი ხდება თავის მეფის კარზე.

ბახრამის მამა ადრე მოჟვდა. ის ვერ მოესწრო შეიღის დეაწლეოსილებასა და მის მიერ ცოლის შერთვას. მეფემ გასტეხა პირობა და გადაწყვიტა, თავისი ქალი აფრიკის მეფის ძახათვის მიე-

<sup>111</sup> ი. ლ. ბარაშიძე, ნარკვევები ქართლი ლიტერატურის ისტორიული, III, თბ., 1952, გვ. 107. შემდეგში: ი. ლ. ბარაშიძე, III.

<sup>112</sup> კ. ჭიჭიათიძის ტაქსტს უცალალ ემცენობრივ.

თხოვებინა. ამ განხრახვით ის იწვევს აფრიკის მეფის ვაჟს თავის კარზე.

გახრაში გაბრაზდა, შეუთანხმდა თავის დანიშნულს (მეფის სულს) და დას, შეიტოვთ თოხმოცდაათი ერთგული მეომარი, და ყველანი ერთად ეგვიპტიდან გაიქცნენ.

რამდენიმე დღეს შეუსცენებლივ იმგზავრეს, ბოლოს მიაღწენ ერთ უდაბნოს და იქ ლრმად დაიძინეს.

გაეცევის ამბავი მოხსენეს მეფეს, რომელიც გაატორდა და მოითხოვა გაეცეულთა აღმოჩენა. მაშინ ერთმა ჯალისანმა აღუთვა მეფეს, რომ იხმარს ყოველგვარ საშუალებას და აღმოჩენს ბახ-ამს. მის მეომრებს და მეფის ასულს.

ჯალისანმა მიაღწია უდაბნომდე, შევიდა მეფის ასულის კარავ-ში და აყნოსებინა მას ისეთი ჭიდავი, რომელმაც იგი ხანგრძლივ დააძინა. რის შემდეგაც ჯალისანმა მოხერხა მისი მიუვანა მეფის დარბაზში. მეცემ უბრძანა თავის ქალს, გამჟოლოდა ცოლად აფ-რიკელ მეფისწულს, მაგრამ ქალმა გადატრით იუარა.

მეფემ ვერ აიტანა თავისი ქალის ამგვარი ქცევა და უბრძანა მოხელეებს — ჩაეკეტათ იგი სკიდრში და მდინარეში ჩაუშვათ.

ამის შემდეგ გადაწყვეტის, აფრიკელ მეფისწულს ბახრამის და მიათხოვონ, მაგრამ ისიც უარს აცხადებს: მაშინ მას საპყრობილე-ში ათავსებენ.

გახრაში მხოლოდ მეორე დღეს შეიტყო მისი დანიშნულისა და დის გატაცება და მიხვდა, რომ ეს თავის მეფის მიერ მოწყო-ბილი საქმე იყო.

დისა და სატრფოს უკან დაბრუნების მიზნით იგი ვაიღაშვირებს თავის ოთხმოცდაათი მეომრითურთ ეგვიპტის მეფის წინააღმდეგ. ბრძოლის ეელზე ბახრამმა სასტიკად დამარცხა მეფის ჯარი. ბერი მათვანი გაწყვეტია. სრული გამარჯვება თოთქმის ბახრამის მხარეში იყო, მაგრამ ამ დროს აცნობეს, რომ მისი სატრფო სკიდრში მოა-თვეს და მდინარეში ჩაუშვესო. ამ საშინელი ამბის გამოვნე ბახ-რამმა მიანება ბრძოლას თავი და გაიცრა საუკარლის საძებნად.

ეძიეს თვეობით, წლობით, მოიმოქმედეს მრავალი გმირობა, ჩაგრამ დაკარგული მეფის ასული ვერსად აღმოაჩინეს. ბახრამს ბევრი მეომარი დაეღუპა მძიმე მოგზურობის დროს. დანარჩენები გაანთავისუფლა და მარტომ განაგრძო საუკარლის ძებნა.

დიდი ხნის შემდეგ, როდესაც გადალახა მან მოები, მდინარე  
ები და ველები, იგი ერთი ზღვის კიდეს მიაჰვა. არ ფორდა, თუ  
როგორ გადასულყო ზღვის მეორე მხარეს. მწარედ ჩაუიქმდა  
ამ დროს შემოეყარა ხავაჭრო სომალი ვაკრებითურთ. ბახრამი,  
არ აგრძნობინა ვაკრებს, თუ ის წარჩინებული პირია, ვაკრები არ.  
გორც მგზავრი და ვაემგზავრა მათთან ერთად. ხომალდზე ბახრამ  
დაწვრილებით ტყობილობს ვაკრების ნამშობიდან, თუ რა მოხდა:  
როგორ ჩასვეს მისი საყვარელი სკივრში და როგორ ჩაუშვეს მდი.  
ნარეში, როგორ სტანჯავენ სამყრობილები და აიძულებენ მის დას,  
გამყვეს ცოლად აფრიკელ მეფისწულს. ვაკრებმა დაუმატეს, რის  
გამო გადასახლდა სატრიუმ ხელში ჩაუვარდა საბერძნეთის მეფისწულს.  
მაგრამ დევებმა, რომლებიც კავკასიის მოებში ცხოვრობენ, მოპელე  
საბერძნეთის მეფისწული და გაიტაცეს მეფის ასული.

გზაზე ხომალდს უბედურება შეემოხვა: წინ შეეყარა ვეშაპი,  
რომელმაც კინალამ გადააბრუნა იგი. მაშინ ბახრამმა ვაეკაცურად  
გაუგმირა ვეშაპს თვალები ისრით და შემდეგ ხმლით აქვევთა. ვაკ-  
რები ეხვეწებიან ბახრამს, დარჩეს ბოლომდის ხომალდზე და იყო  
მათი მეობარი, მაგრამ ის უარს აცხადებს და ერთ ნავსადგურ-  
ში შორიდება მათ, რათა განავრდოს დაკარგულის საყვარელის ძებნა.

იგი დიღხხანს დაეძებს დევებს, მაგრამ ვერ უპოვნია. ებრძეს  
შეცებს, ურჩისულებს. გააძრო მან ტუავი ვეუხს და მოიხურა იგი. მა-  
შინ ხალხმა უწოდა მას ბატირ-არსლანი ("ველე-გმირი").

ბატირ-არსლანი ცხოვრობს მოებსა და გამოქვაბულებში. ზოგ-  
ჯერ ცხენზე მჯდარი ველებს მოივლის. მისი დანახვა აერთობს ხა-  
ვაკრო ქარავნებს. მაგრამ ბახრამს არავისთან არაფერი ესაქმება.

ლაშეპარი, რომელიც ხვარაზმიდან საფრანგეთს მიემგზავრება,  
გზაზე შეეყრება ვეფხის ტყავით შემოსილ გმირს. ხვარაზმა უ-  
ძრანებს თავის მეგობრებს, მისგვარონ მას გმირი ცოცხლად. მაგ-  
რამ ბატირ-არსლანი შეებრძოლება მეომრებს და თავს დააღწევს  
ხვარაზმელებს.

უშიშარი გმირის ამბავი უკელვან გაერცელდა. ეს ამბავი ში-  
აღწევს ირანის მეფისწულის უურამდე. ირანელი მეფისწულიც სა-  
ხელვანითქმული გმირია. იგი დაითანხმებს მამას, რათა მონახოს და  
ცოცხალი მიიყვანოს გმირი. ხანგრძლივი ძებნის შემდეგ ის წა-

აწყდება გმირის კვალს. კვალი გვიჩვენებს, რომ იგი ცხოვრობს მხეცების თავშესაფარ გამოქვაბულში. ირანულ მეტისწულს აუკავშირებს და მომართებს ურჩხული აჯარი. იგი შეებრძოლება და მოპელავს აჯარს.

ამ ბრძოლას შორიდან თვეალს აღვენებს ბატირ-არსლანი, მას ალტაცებაში მოიყვანს უცნობი გმირის ვაჟეაცობა და მოისურვებს მასთან დამეგობრებას, ისინი დამევობრდებიან.

ბატირ-არსლანი და ირანელი მეფისწული მოუთხრობენ ერთმანეთს თავიანთ ამბავს.

მეფისწული სხვოვს ბატირ-არსლანს წავიდეს მასთან ერთად ირანს, ბახრამი არ დათანხმდება. ზაშინ მეფისწული შეპირდება მეფის ასულისა და დევების სამყოფელის მონახვას და გამოეთხოვება.

ირანელი მეფისწული ბრუნდება თავის სამშობლოში და უაშბობს მამას თავის თავგადასავალს, თანაც ეუბნება, რომ საკიროა დაეხმაროს იგი მეგობარს დაკარგული დანიშნულის მოძებნაში. მეფე იწონებს და მხარს უკერს მეფისწულის ნათევაში.

მეფე ამ საქმეში დახმარების აღმოსაჩენად ახახელებს თავის დას დილგან-ნარს. მეფისწული გაემართება დილგან-ნართან. გზაზი იგი მოხვდება ქაჯების (ეშმაკების) წრეში. ქაჯებს უნდათ შერთონ მის ცოლად ძალლისთვისანი ეალწული და ამის შემდეგ თავიანთი ქვეყნის მეფედ გამოაცხადონ.

მეფისწული არწივის დახმარებით დაიძერებს თავს ქაჯების ხელიდან და გაეშერება დილგან-ნარისკენ. იგი უაშბობს დილგან-ნარს თავის მისვლის მიზეზს. დილგან-ნარი პეტავნის მონას იმის გასაგებად, თუ სად იმყოფებიან მეფის ასული და დევები. მონამიდის კავკასიის მთებში, პოულობს დევების ჩეინის ციხე-სიმაგრეს, ნახულობს იქ მეფის ასულს და უაშბობს მას თავის მისვლის მიზეზს.

ქალმა რომ შეიტყო, ბახრამი ცოცხალიაო, უგზავნის ბეჭედს და წერილს. მონა ამ ნივთებს დილგან-ნარს მიუტანს, დილგან-ნარი კი მეფისწულს გადასცემს, მოუთხრობს დაკარგული ქალის მდგომარეობას და მისცემს სულეიმან-სურმას. მეფისწული გაეშგზავრება ბახრამთან და აძლევს მას წერილს და ბეჭედს.

როდესაც ბახრამი შეიტყობს, რომ მისი საყვარელი ცოცხა  
ლია, გამხსნედება და ხაჩქაროდ გაემართება მის გამოხახხნელად  
მეფისწული სოხოვს მას ჯერ ირანს გამზიავრებას და იქიდან ჯა-  
რით დევების ციხეზე გალაშქრებას, მაგრამ იგი არ თანხმდება და  
ეტყვის:

„გმირის ლაშქარი მისი ძალაა. თვითონ კი სარდალია“.

ბახრამი და მეფისწული გაემგზავრებიან დევების ციხისაკენ,  
მაგრამ ეკრაფერს ხედავენ. მაშინ ისინი წაისმენ თვალებზე სულ-  
იმან-სურმას, რის შედეგადაც შეამჩნევენ დევთა ციხეს. ციხის  
კარს ათასი მეომარი იცავს.

გმირები თათბირობენ, შემდეგ ესვრიან ისრებს თვალებში დე-  
ვებს და ადეილდ დაამარცხებენ დაბრმავებულებს. შევლენ ჩეინის  
ციხეში. იქ ისინი ეომებიან დევების მეფეს და მის ძმას და და-  
ამარცხებენ მათ. ნახავენ მეფის ასულს და გაათავისუფლებენ.

გმირები წაიყვანენ ქალს. გზაში შეიტყობენ, რომ ეგვიპტე  
აფრიკელებს დაუპყრიათ, ეგვიპტის მეფე მოუკლავთ და აფრიკის  
მეფისწული გამეცებულა მის მავიერ. მთელი ეგვიპტე გაპარტახე-  
ბულია.

ბახრამი და ირანელი მეფისწული წაიყვანენ ლაშქარს ირანი-  
დან, მივლენ ეგვიპტეში და დაამარცხებენ აფრიკელებს. ბახრამის  
დას საპყრობილიდან გაათავისუფლებენ. ბახრამი დაიჭერს ეგვი-  
ტის ტახტს. მთელი ქვეყანა იხდის არაჩევულებრივ ქორწილს. ბახ-  
რამი თავის დას ირანელ მეფისწულს მიათხოვებს ცოლად და გა-  
ძლიუმრებს ირანს.

ბახრამი და მისი საყვარელი ცოლი მთელი ხალხის საკეთილ-  
დლეოდ მეფობენ და ბეღნიერად დაასრულებენ თავიანთ სიცო-  
ცხლეს (ხაზი ჩვენია. — მ. თ.)<sup>113</sup>.

განა შეიძლებოდა ასეთი შინაარსის მქონე თხზულების იჯნი-  
რირება „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის კვლევის დროს? აღ. ბარ-  
ბიძე აღნიშნავს: „ბატორ-არსლანის სიუკეტი საერთოდ დაშორე-  
ბულია ვეფხისტყაოსნიდან“<sup>114</sup>. სწორია, სიუკეტი და შორებუ-

<sup>113</sup> ვალენტინ ტებერის ტებერის ვარსები. „მნათობი“, 1938, № 10, გვ. 133.

<sup>114</sup> აღ. ბარბიძე, 111, გვ. 107.

ლია. მაგრამ ფაბულა? თე ორი ნაწარმოების ფაბულის მსგავსება-არმსგავსების სეიოთხი დგას, აյ ცველაფერი ნათელი უწინდები კი კულტურული ფაბულას არ შეიძლება ჰგავდეს ამავე დროს, არც იმაზე უნდა დავხუროთ თეალი, რომ გარდა ფა-ბულის მსგავსებისა აյ საქმე გვაქვს უფრო მეტ, კერძოდ, სიუკე-ტურ მსგავსებასთანაც.

როგორც აღნიშნეთ, „ბატირ-არსლანი“ „ვეფხისტყაოსნის“ ამბის სადაურობის კვლევისას რუსთველოლოგთა უურადლების ღირ-სად არ ექნა ჩათვლილი, როგორც „ვეფხისტყაოსნის“ ამბისგან „საერთოდ დაშორებული“. მისთვის აცილება სხვა მხრივ არ მი-უყით, ვთქვათ იმ მხრივ, იულდაშევისეული ვერსის მსგავსად ისიც ხომ არ შეიძლებოლა ყოფილიყო „ვეფხისტყაოსნის“ გაელე-ნით შეთხხული. როცა ამ დასთან სხვა ნაწარმოების ამბის სადაურობის კვლევის დროს გარკვეულ მნიშვნელობას ვანიჭებთ, მისი ე. წ. „შეურყვნელობის“ გარკვევა კი დიალაც აუცილებელი ხდება.

„ბატირ-არსლანში“ ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა, ჩადგან „ბატირ-არსლანის“ ამბავი გამოჩანს ქართულ „ბარამგულიჯანიან-ში“, რომელიც ონანა მდივანს ქ. ასტრახანში შეუთხზავს 1726 წ.

ამ მისი შინაარსი (ქ. კეკელიძის გადმოცემით):

„იყო ჩინეთს ხელმწიფე ჭონშერი, განდიდებული, უხვი, სიმ-დაბლით მაღალი, მდიდარი, თვითმოსამართლე წყალობით, ძაღვუ-ლიანი.

მეცნეს სხვა აე ასევა, გარდა ერთი ასულისა, რომელსაც სა-ხელად გულიჯანი ერქვა და თავისი მშეენერებით შეიძლსავე მნა-თობს აბნელებდა.

ჭონშერს შეილად აეყვანა და გაეზარდა ვინმე ბარაში, ჩინელ-თა მეცნის საგვარეულოს წევრი<sup>115</sup>, მოხდენილი ვაუკაცი და სწორ-უპოვარი გოლიათი. მას შემდეგ სახალარობა მისცა.

ზაფხულის დამდეგს მეცნის ოჯახი ქალაქიდან საზაფხულო ალ-გილს გადადიოდა, ბარაშიც მას მიქვეებოდა. უკბად ამოვარდა ქა-

<sup>115</sup> ავთანდილის აქვთ საფერარი სამეცნი, რომელიც სატახტო ქარაჭილან შეიძლის, სეულ შეტრე, ამი დღის სავალშე მდებარეობს (ავთანდილი ამ შემთხვეულ გავლას ხან იყო დღე და ლაშე უნდება, ხან — ათი).

რი და კუბოს, რომელშიცაც გულიჯანი იჭდა, თავსახურავი ანარა  
ასე, რომ ბარამთა და ქალმა ერთმანეთი დაინახეს და შეცვენები.  
ერთხელ, როდესაც მოწყენილი ბარამთა თავის საწოლში იყო, ზემო  
ვიდა გულიჯანის ქალი და მოაჩოვა ბარამს წერილი, რომელშიც  
ის მას სიყვარულს უცხადებდა. ბარამთაც ურძნობებით აღსავს სა-  
პასუხო წერილი მისწერა.

ბოლოს ისიც მოხერხდა, რომ ბარამი ჩუმად შევიდა ქალის  
საწოლ ოთახში, ხადაც გულიჯანმა და ზან ერთმანეთს შეპფიცე  
მუდმივი, განუურელი სიყვარული.

განშორებას ვეღარ იტანდა ბარამი, ის გაყვითლდა, ჩამოხს,  
და ლოგინად ჩაეტანა. მეცე-დედოფალი მეტად შეწუხებული იყ-  
ენ, მოიწვიეს მკურნალი, მაგრამ ვერა არვეს რა. ბოლოს გა-  
მოჩნდა ერთი მესტროლაბე, რომელიც მოხედა, რომ ბარამს სწვე-  
და გულიჯანის მიჯნურობის ცეცხლი. მან მეცეს გამოაცემინა ბრძ-  
ნება, რომ ბარამთან მივიდოდნენ ყველანი. ვინც კი არის სასა-  
ლეში. სხვებთან ერთად ის ინახულა გულიჯანმაც. მისი მოსკელი და  
ნახვა განმეურნებელ წამლად შეექმნა ბარამს. მაგრამ მესტროლა-  
ბემ შესახედავად მაინც დაალევინა მას რაღაც წამლი.

ბარამის განუურნების შემდეგ გახარებულმა ჯონშერმა დიდი  
აეგიმი მოაწყო, რომელზედაც ბარამი და გულიჯანი პირისპირ ის-  
ხდნენ და ერთმანეთის ცეკვით ტკბებოდნენ. მათი სიყვარული,  
სხვებთან ერთად, მეცემაც შენიშნა, ის მეტად შეწუხდა, არ უნდო-  
და, რომ შეიღიეროთ განჩრდილ ბარამს მისი ქალი ცოლად შეერთო.  
შეცემ მოიწვია ვეზირთა თათბირი. რომელზედაც გადაწყდა ბარ-  
ამის შეპყრობა. მეცემ საშინლად სცემა თავის ქალს და შეუდგა  
მზადებას ბარამის დასაჭერად.

ბარამმა რომ გაიგო ეს, დატოვა ჩინეთი და გაიქრა უდაბნოზ  
და ველად. მოელი წელიწადი დახეცტიალობს ის ადგილიდან აღვისტ.  
ტირის, მოთქვამს, საჩივრით მიმართავს ხოლმე შვიდ მნათობს, ბო-  
ლოს შედის ერთ მშვენიერ ბალში, ხადაც ის თვალს ვერ აშორებს  
მშვენიერ უვავილებს, განსაკუთრებით ვარდს, რომელიც მას სატ-  
რფოს, გულიჯანს, აგონებს. ის აქ ისმენს ვარდისა და ბულბულის  
სამიჯნურო საუბარს, გამოელაპარაკება ბულბულს, რომელიც მას  
ვარდისადმი ტრტობას დასწამებს და საყველურს ეუბნება, რაც

შეცილებრო. ბარამი ანუგეშებს მას, რომ უსაფუძვლოა მისი ეპვე-  
ბი, მას საკუთარი სატრატო ჰყავს, რომელიც განვებამ მომზრდა  
გას. როდესაც ყვავილები ღავენა, ბარამმა დატოვა წალკოტი და  
სხვა გზას გაუდგა. მივიდა ზღვის პირას, საჭაც მას შეხვდნენ შე-  
შინებული ვაკრები, რომელთაც არ იცოდნენ რა ექნათ, ვინაიდან  
ზღვაზე მეკობრები მგზავრებს ძარცვადნენ. ბარამი გაუძღვა მათ  
წინ და მეკობრები სულ ერთიანად ამოწყვიდა. ვაკართა შეთაუ-  
რი, სედრაქი, მას ქებას შეასხამს და საკურკლესაც აძლევს. მაგრამ  
გარამი არ აიღებს და მიღის თავის გზით.

ბალხეთის ქვეყანაში ის შეხვდა აქაური შეფის ნარიმანის სპა-  
სალარს მიღადა და უამბო მას თავისი თავგადახველი. მათ ერთმა-  
ნეთი მოეწონათ, დამეგობრდნენ, დაძმობილდნენ, და, ბოლოს, ნა-  
რიმანთანაც გამოცხადდნენ. ნარიმანმა ბარამის ვინაობა რომ გა-  
იყო, დიდი თანაგრძნობა გამოუტხადა და ბოლოს თავისი ჭარით  
მასთან ერთად ჩინეთისაკენ გაიღაშერა ბარამის საშველად.

გზაზე მათ შემოეგებათ ჭონშერის ვეზირი ბარზამი, რომლის-  
განაც გაიგეს, რომ ჭონშერი გარდაიცვალა და ტახტი უპატრონო-  
და, ვინაიდან გულიჯანი უარს მიბობს გამოებაზე, სანამ ბარამი  
მოძებნილი არ იქნება. მეც იმის, ბარამის, საძებრად ვარ წამოსუ-  
ლიო, — ათავებს ბარზამი თავის თხრობას. ბარამს კიდევაც ეწყი-  
ნა ეს ამბავი, კიდევაც გაუხარდა, ვინაიდან მას შესაძლებლობა  
ეძლეოდა სისხლის დაუღვრელად მიეღწია მიზნისათვის. ბარზამის  
საშუალებით ბარამმა შეატყობინა ჩინეთსა და გულიჯანს თავისი  
დაბრუნება, ჩინელები დიდი ამბოთ მიეგებნენ მას და ნარიმანს.  
ბარამმა შეირთო გულიჯანი და გახდა ჩინეთის მეფე, ბრძნეულად  
და ბედნიერად იმეფა 150 წელიწადი და მერე გარდაიცვალა” (ხაზი  
ჩვენია — მ. თ.).<sup>116</sup>

ქართველობოგიაში ამ საყითხშე გამოთქმული მეორე შეხე-  
დულება გამოკვეთილადაა დასკვნილი მ. გუგუშეილის მიერ: „ამ-  
რიგად, ჩეენ გამოვთქეამ მოსაზრებას, რომ „ბარამვულიჯანიანი“  
„ვეფხისტყაოსნის“ გავლენით შექმნილი ნაწარმოებია, მით უმე-

<sup>116</sup> კ. კიკელიძე, 11, გვ. 413.

ტეს, რომ მისი სპარსული დედნისა და პროზაული ვერსიის კადა  
არსად ჩანს"<sup>117</sup>.

რუსთველის გავლენა აქ აშეარა, მაგრამ ეს როდი ვაძლია.  
ცხავს მის აღმოსავლურ წარმომავლობას.

საყითხავია, თუ ონანამ „ევფებისტყაოსნის“ ამბის ხელმი  
დამუშავება გადაწყვიტა, როგორ მოხდა, რომ მისი პოეზია ასე და-  
ემსგავსა „ბათირ-არსლანს“? შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ -ე-  
ფხისტყაოსნის“ ამბავი გავიდა აღმოსავლეთის ქვეყნებში, მაგრა  
რატომ ჰგავს „ბათირ-არსლანი“ სპეციფიკური ნიშნებითაც კი „ბა-  
რამგულიჯანიანის“?

იმით, როთაც „ბარამგულიჯანიანი“ „ევფებისტყაოსნის“ ჰგავს,  
და იმითაც, როთაც არა ჰგავს, რაც გინდა ვარადოქსული იყოს ეს.  
სწორედ ის მტკიცდება, რომ ორივეს საერთო წყარო ასახულოებს  
რითაც ეს ორი ნაწარმოები ერთმანეთს ჰგავს, ეს სრულად არ  
მაგრამ დამაჯერებლად აქვს გადმოცემული ი. მეუნარების, სპეცი-  
ალისტთა მიერ რატომმაც უგვილებელყოფილ სტატიაში, რომელიც  
თავის დროზე „ივერიაში“ დაიბეჭდდა (1892, № 66). ი. მეუნარების  
ფიქრობდა: შეიძლება, ის სპარსული წყარო, რომელიც რუსთველ-  
ში გამოიყენა, სწორედ „ბარამგულიჯანიანი“ იყოსო. უფრო გვანს,  
როგორც ამას „ძველ საქართველოში“ (ტ. III, განკ. II, გვ. 45)  
ვრცელდილობთ, იუსტინე აბულაძეს წაცუთხავს მოხსენება. სადაც  
უურმე ის ამტკიცებლა, „ბარამგულიჯანიანის“ „ევფებისტყაოსნის“  
მოუხდენია გავლენაო. ისეთ მსგავსებაზე წერენ აგრეთვე კ. კიკ-  
ლიძე და მ. გუგუშვილი, მაგრამ მათ, წინააღმდეგ ი. მეუნარების  
და იუსტ. აბულაძისა, მიაჩნიათ, რომ „ბარამგულიჯანიანი“ შეიქმნა.  
„ევფებისტყაოსნის“ გავლენითა და მიბაძვით და არა პირიქით.

ის დეტალები, რითაც „ბარამგულიჯანიანი“ განსხვავდება „ევ-  
ფებისტყაოსნისგან“, ჩვენი აზრით, აღმოსავლური წარმოშობისა  
მეტად ნიშანდობლივია და ონანას მოკონილი არ ჩანს.

განვიხილოთ ეს, „ევფებისტყაოსნისგან“ განსხვავებული და აღ-  
მოსავლური დასთანებისათვის სპეციფიკური  
აღგილები „ბარამგულიჯანიანისა“:

<sup>117</sup> გ. გვ. 17 შვილი, პოლემიკა რუსთველის გარშემო, თბ., 1966, გვ.  
180.

1. ბარამით თითქოს ტარიელის მსგავსადაა ველად გაჭრილი. მაგრამ ეს მხოლოდ მოჩენებითი მსგავსებაა. როგორც შემჩენელია, და ჩვენც აღვნიშნეთ გაყვრით, ტარიელი ნესტანის საძებნელად გაიტა, ეს გამრა პრაქტიკული ღონისძიებაა ნესტანის მისაღწევად<sup>118</sup>. ასე შეეხება ბარამს, ის სატრფოს კი არ ეძებს (მან კარგად იცის, სადაცაა იგი), არამედ მისი სიყვარულით გამოწევეული საშმაგის სააპარატოდაა ველად გაჭრილი. ამით კი ბარამის სახე პირზონდად იმეორებს მაჯნუნის ტრის შეყვარებულებს, რომელთაც ჩვენ ასე ხშირად ვხვდებით აღმოსავლურ ლიტერატურაში და რომელზედაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

2. „ვეფხისტყაოსანი“ მთავრდება ტარიელ-ნესტანისა და აფთანდილ-თინათინის ქორწილით. აჩსებობს მისი გაგრძელება, სადაც პოემის გმირები ბერდებიან და ალესტრულებიან. „ბარამგულიგანიანი“ აქაც არ ჰგავს „ვეფხისტყაოსანს“. ბარამსა და გულიჯანს მიუცემათ შეიღები, რომელთა ზეობითაც ისინი ხარობენ.

3. ისე, როგორც აღმოსავლური რომანების გმირებს: აჯმანს, ხოსროეს, ბარამ-გურს, ესქანდერს (ალექსანდრეს) და მრავალ სხვათ, ბარამს მარტო ერთი სატრფო არა ჰყავს. იგი „დღე ხეთი მნათობებშივან განისვენებდა მშერითა“, „ნადიმი ვთქუა პირმოვარეთა, იგ უჭერეტდა ლამაზ პირებს“<sup>119</sup>.

4. „ბარამგულიგანიანიანი“ რომ „ვეფხისტყაოსანის“ ამბავია მოსხტობილი, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პოემის ამბავი ქართულია და, მაშესადამე, ამ მხრივაც ქართულ ტრადიციებს იგრძელებს. პირვეთ, თუ ასეთი ექსკურსის გენეზისის გასარკვევად გამოიყენება, მაშინ უცირკველესად ის უნდა ვიფიქროთ, რომ „ბარამგულიგანიანი“ სპარსულ ლიტერატურულ ტრადიციებს უკავშირდება, რადგან აქ, „ვეფხისტყაოსანის“ გარდა, მოთხოვნილია სპარსული რომანებიც. ჩვენი აზრით, აქ ონანა მღივანი იგრძელებს აღმოსავლური და დასავლური მწერლობის ტრადიციას. კონკრეტულად კი გვაგონებს თეომურას პირეელს, რომელიც სპარსულიდან გაღმოყეთებულ პოემაში „მიჯნურთ ამბავი თოსებისა და ზილახანისა“

<sup>118</sup> გ. გვ. გვ. შვილი, გვ. 158.

<sup>119</sup> თხ. ა. შლივანი, „ბარამგულიგანიანი“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ს — 1613, გვ. 93.

სხვა სპარსულ რომანების მოკლე შინაარსების გვერდით გადაწყვ.  
ვცემს „ვეფხისტყაოსნის“ ამბავსაც.

5. ონანა არსად არ შენიშვნავს: ამ პოემას „ვეფხისტყაოსნის“  
მიბაძვით ვწერო (აქ ლაპარაკი გვაქვს მიბაძვაზე). რაც ძირითადად  
შინაარსის განმეორებას გულისხმობს, და არა ველენაზე. რაც პო-  
ეტური ხელოვნების სფეროსაც ეხება. ონანა „ვეფხისტყაოსნის“  
დიდ გველენას განიცდის, მაგრამ, გველენა განუცდია მას „ვისრა-  
მიანსაც“ (10). სამაგიეროდ ის ასახელებს სპარსულ წყაროს, სა-  
იდანაც მან გაღმოილო ქართულად თავისი პოემა. თუ „ვეფხისტყა-  
ოსნის“ მიბაძვით შექმნა მან თავისი პოემა, რატომ არ განაცხად-  
ეს? ხოლო თუ ასეთი მოქმედება, ე. ი. სხვისი მიბაძვით თხზულ-  
ების წერა საერთოდ ეჩოთირებოდა მას, განა „ვეფხისტყაოსნის“  
გამოყენება უფრო საწოთირო იყო, ვიდრე სპარსული ამბისა? შე-  
ძლება ამ კითხვაზე დადგებითად გვიპასუხონ. მაგრამ მაშინ ას-  
ეუყოთ იმ ფაქტს, რომ ზოგ შესაძლის ადგილას ონანა თვითონ  
ახსენებს „ვეფხისტყაოსნის“, სადაც პოემა ძალიან უგავს მას! ასე,  
მაგალითად, როდესაც ჭონშერმა სცემა თავის ჭალიშეიღს, ონანა  
წაურთავს: „ვახსენოთ ნესტანდარეფან, ვითა მას უყო დავარ და“-თ  
(25).

6. ველად მოხეტიალე ბარამი წააწყდება ერთ წალკოტს, სადაც  
მიესიყვარულება ვარდს, რომელიც მას თავის სატრფოს აგონებს.  
ვარდის მიჯნური ბულბული ბარამშე ეპევიანობს, მაგრამ ეს უკანას-  
კელი მას დაამშვიდებს: ნუ გეშინია, მე სატრფო მყავს და მხო-  
ლოდ ის მიყვარსო. ეს ეპიზოდი, რომელსაც მეტად ერცელი ადგი-  
ლი უკავია პოემაში (130-მდე სტროფი), გვაგონებს „ვარდბულ-  
ბულიანს“, როგორც ეს კ. კეკელიძემ შენიშნა!<sup>120</sup> მ. გუგუშვილის  
აზრით, „ამ ეპიზოდს შინაარსობრივად ვეფხისტყაოსნათან არაუ-  
რი აქვს საერთო“<sup>121</sup>. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ თავისი წარმოშო-  
ბით „ვეფხისტყაოსნასა“ და „ბარამგულიჯანიანის“ ამ ეპიზოდს სა-  
ერთო წყარო უნდა ჰქონდეს. წვიკითხოთ რუსთველის სტროფ-  
ბი, სადაც მიჯნური ავთანდილი ახალ გაზაფხულზე ვარდნარს წა-  
აწყდება:

<sup>120</sup> ქ. კეკელიძე, II, გვ. 418.

<sup>121</sup> ქ. გუგუშვილი, გვ. 163.

„მოწირების იყო ზაფხული, შევყიდო ამისცელა მწევანისა;  
 ვართლის უტრებულობის მიმართ, ღრმ მათის პავრავისა,  
 ეტლის უფალება მზისაგან, შეფრთმა საჩატავისა,  
 და სულთნა, რა ნახა ჟავილი მან, ენახავან ხანისა.

„გრვენდა ცა და ლრებელი ცროდეს ბროლისა ცვარითა;  
 კარგისა აკაცა ბაგოთა, მითვე კარგისა დარითა,  
 ებრძონა გრევრეტ თვალითა, გელ-ტებილით შემხედვარითა,  
 ჯისაღ სახაცლოდ მოვალხენ თქვენთვის საუბარითა“ (1328-1329).

8. მილადი, ავთანდილისა და „ბათირ-არსლანის“ ეპოსის მრაველი უფლისწულის ორეული, ბარამის წაიყვანის თავის ქალაქში, სადაც ნარიმანი მეფობს. ამ ქალაქს ნატიმან-შაარი ეწოდება („შევლენ ნარიმან-შაარისა კურეთ არგარდახდომილნი“ 67). შაარი (სპ. შაჰრ — „ქალაქი“) ქართულში დამკვიდრებული სიტყვა არ ჩანს, ის სპარსულ ლიტერატურულ წყაროს უნდა გადმომყოლოდა ონანის პოემაში.

რა თქმა უნდა, ონანა ალბათ, ალმოსავლურ, კერძოდ, სპარსულ, ლიტერატურაში ჩახედული იყო და ცველაფერი ეს მას თვათონ შეეძლო სხევადასხვა წყაროებით შეედგინა. მაგრამ „ბათირგულიგანიანის“ „ბათირ-არსლანთან“ მსგავსება გამორიცხავს ამ კარაულს და გვაფიქრებინებს, რომ მისი ცნობა მართალია. — პოემის ქარგა, ფაბული, მას გარკვეული, რომელიდაც კონკრეტული ალმოსავლური ამბისგან უნდა აელო: ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ შესაძლებელია, ამ ამბავს „რამიანისთან“ მიეყავდეთ.

როგორც ვხედავთ, „ბათირ-არსლანის“ ამბავი ჰგავს არა მარტო „ვეფხისტყაოსნის“, არამედ „ბარამგულიგანიანის“ ფაბულასაც. ავთანდილის ორეულის სახე რაივეში ერთნაირია, — ბევრი მოქმედება. რაც „ვეფხისტყაოსანში“ ავთანდილსა აქვს მიწერილი, „ბარამგულიგანიანის“ და „ბათირ-არსლანში“ მას ტარიელის ორეული ჩადის. მაგრამ ეს მოვლენა ბუნებრივიცაა (მსჯელობს ჩა ამ-ბის ვარიანტზე, ვ. პროპი წერს: გმირს ხშირად დამხმარის ფრენქიცები და ატრიბუტები მიესაკუთრება და, პირიქით, ზოგჯერ დამხმარე ასრულებს გმირისთვის დამახასიათებელ ფუნქციებს). ტარიელის ორეულს ორივე პოემაში ბარამი ეწოდება. და აյ ჩვენ ვსიამო

კონფერენცია: რა რგოლა „პარამული ქანიანის“ ავტორს, გაემურთა ლეპან ა ავთანდილის სახე და როგორ მოხდა, რომ ამითაც, ჰეთანდოლის ზოგი მოქმედების ტარიელის ორეულისთვის მიყენებითაც, ეს ძეგლი ზუსტად დაგმოხვდა „პატირ-არსლანს“? ასევე, თუ ონანგა „ვეფხისტყაოსნის“ ხელახლა გალექსვა გადაწყვიტა, როგორ მოხდა, რომ მისი პოემის შინაარსი „ვეფხისტყაოსნისაგან“ განსხვავებული დეტალებითაც ასე დაგმოხვდა „პატირ-არსლანს“?

აქ არ შეიძლება, არ გაგვასხენდეს ნიზამის „ლეილი და მაჯნუნის“,

ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი იმაზე, რომ ამ პოემის შესავალი ერთადერთია (ყოველშემთხვევაში ჩვენთვის ცნობილ ეპიკი), რომელიც „ვეფხისტყაოსნის“ შესავალს ემთხვევა თემათ, მსგავსებით, ეს მოვლენა. შეიძლება, შემთხვევითი მით უფრო აიყოს, რომ თავად ეს პოემები შინაარსობრივიდაც ჰქვეანან ერთმანეთს. ჯერ კიდევ 1936 წ. კ. კეკელიძემ აღნიშნა მათი მსგავსებანი და მიუთითა სათანადო პარალელებზე: 1) ყაისის მამა და როსტევანი უშეილონი იყვნენ და შვილს (ძეს) ნატრობდნენ, 2) ლელისა და მაჯნუნის, ასევე ტარიელ-ნესტანისა და ავთანდილ-თინათინის მშეენებანი ერთნაირი წამლებითაც<sup>\*)</sup> დაბარული, 3) ამ გმრანებს ერთად ყოფნის დროს, სიყრმეშივე შეუყვარდებათ ერთმანეთი, 4) ლეილისაც და ნესტანდარეგანსაც მოაფარდა გულში ისავენ მათი მშობლები, 5) მაჯნუნი და ტარიელი სიყვარულისგან ჰყარგავენ „ადამიანის სახესა და გონებას“, სიყვარული მათვეს ტანხეა, რომელიც ცრემლის ღვრას იწვევს, სატრეფოსთან შეერთებას ისინი იმ ქვეყნად იმედოვნებენ, 6) მაჯნუნი და ტარიელი, ველად გატრილი, მხეცებთან მეგობრობენ, 7) უდაბნოში მაჯნუნის შინ მოსაბრუნებლად მიღის მისი მამა, ისე როგორც ამ მიზნით ტარიელს მოევლინება ავთანდილი, 8) მაჯნუნის და ტარიელს უდაბნოს ცხოველი ავონებთ თავიანთ სატრეფოთ, 9) ნესტანიც და ლეილიც ტყვეობაში იმყოფებიან (პირველი — ქაჯეთის ციხეში, მეორე — ქმრის სახლში) და იქიდან სწერენ წერილს შეუყვარებულებს. მიჯნურები წერილებზე ერთნაირ რეაქციას აძლევენ, 10) ორივე

<sup>\*)</sup> აქ შეწერა „სალებავებით“. პატონმა ავარიმ ასე გამისწორა, რა მოქალაქე იყო!

უკეტი ერთნაირ დახსაითებას აძლევს ქალს საერთოდ. 11) მაგ  
ნუნსა და ტარიელს ერთნაირი დამხმარენი გამოუჩინდებათ კავშირი  
თანდილი და ნუფალი.

კ. კეკელიძეს არც ის ავიწყდება, რომ „ვეფხისტყაოსანში“  
თვითონ „ლეილმაჭნუნიანის“ მთავარი გმირი ყაისი (მაჭნუნი) ისსე-  
ნიება, მას ეს მოვლენა არ მიაჩნია უცმთხვევით ფაქტად, თვლის.  
რომ რუსთველი იუნობს თავისი უფროსი თანამედროვის ნიზამის ამ  
პოემას და განიცდის მის გავლენას<sup>122</sup>. ჩენ, რა თქმა უნდა, რო-  
გორც თავში აღვნიშნეთ, შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ასეთი  
სახის პარალელები ამ პოემათა უშუალო ურთიერთმიმირთე-  
ბის დამადასტურებლად იქნას მიჩნეული, მავრამ ერთად აღებული  
ისინი რომ საამისოდ ერთგვარ შთაბეჭდილების ახდენენ, ამის უარ-  
ყოფაც გაუმართლებელი იქნებოდა. მთავარი და ნიშანდობლივი  
კი აქ ის არის, რომ ამ ორი პოემის ფაბულა პეგავს ერთმა-  
ნეთს.

ნიზამის „ლეილმაჭნუნიანის“ ფუნქციები ასეთია:

- I ფუნქცია: ლეილისა და მაჭნუნის ერთმანეთი უყვართ.
- II ფუნქცია: ლეილის მშობლები მაჭნუნის ქალს არ ატანენ.
- III ფუნქცია: ლეილისა და მაჭნუნის ერთმანეთის ჩამოაშორე-  
ბენ.
- IV ფუნქცია: მაჭნუნი „იძიებს“ თავის სატრფოს.
- V ფუნქცია: მაჭნუნი გაიცნობს კაცს (ნაუფალს), რომელსაც  
მისი დახმარება შეუძლია.
- VI ფუნქცია: დამხმარე მიაგნებს ქალისა და ვაჟის შეერთების  
საშუალებას.
- VII ფუნქცია: მაჭნუნი გაურბის ლეილისთან ხორციელ კავ-  
შის.
- VIII ფუნქცია: შეყვარებულები შერთდებიან იმით, რომ ამ-  
ძველიურ არსებობას შესწყვეტინ (აეტორის მისტიკური კონცეპ-  
ციით სიყვარულის პოთონზე სწორედ ეს არის).
- მიერედავად ძირითადი ფუნქციების მსგავსებისა, აქ უკრა-  
ლებას იქცევს პრინციპულად მნიშვნელოვანი VII ფუნქცია, რაც

<sup>122</sup> კ. კეკელიძე, ეტილი მეცნიერების კართული ლიტერატურის ისტო-  
რიიდან, VIII, თბ., 1962 წ. გვ. 143-162.

„კეცხისტყაოსანში“ არ გვხვდება. სწორედ ამის გამო, რუსთაველის ფაბრიკას უშუალო კავშირი ჰქონდეს, ლევალის და მაჭნუნის ამბობ მისტიკურ ვარიანტთან.

„ლეილმაგნუნიანის“ ფაბრიკა მსგავსია „კეცხისტყაოსანის“ ფაბრიკას, მსგავსია, მაგრამ მისი იდენტური არ არის.

ამ ბოლო ღრის რუსთაველისა და ნიზამის შემოქმედებაში ერთი საერთო მოვლენის შესახებ მეტად საინტერესო მოსახლე პა გამოიყვა გურამ ასათიანმა, შევლევრის ყურადღება მიიქცა: ნიზამის „ესქანდრ-ნამეს“ ერთმა ეპიზოდმა:

ჩინეთში ლაშერობის ღრის ალექსანდრე მაკედონელს იმ ქვეყნის ხელმწიფემ აჩუქა მსეთუნახავი ქალი, სახელად ნესტანდარქანი („ნესთ ანდარ ჯაჭან“). ალექსანდრეს ქალი არ მოეწონა, მაგრამ საჩუქარი მიიღო და თავის პარემში გაგზავნა. ამასობაში მოლაშერე მეფეს შეატყობინეს: ბარდას რუსები დაისხენენ თავს (ამ ამბეჭდის ისტორიული ფაქტი უძვეს საფუძვლად, 1030 წ. რუსებმა მართლაც დაიპყრეს და ივერპყვეს ქალაქი ბარდა), ალექსანდრე მიღის ჩუსებთან საომრად, რუსებს ბრძოლაში გამოჰყავთ დევ-გმირი, რომელიც საუკეთესო ვეფეაცებს უხოცავს ბერძნებს. ბოლოს ალექსანდრე ქამანდით შეიძყრობს მას, მაგრამ შურს არ იძიებს, პირიქით, კარგად შოექცევა. ალექსანდრეს დიდბუნოვნებით აღტაცებული დევ-კაცი სადღაც გარბის. ალექსანდრეს ახლობლები ამ საქციელს მას უმაღლურობაში ჩამოართმევენ, მაგრამ დევი მალე მობრუნდება და ალექსანდრესთან მოჰყავს მსეთუნახავი, როგორც სამაგიერო საჩუქარი, ეს ქალი სწორედ ის ნესტანდარქანი აღმოჩნდება. რომელიც ბერძნების მეფეს ჩინეთის ხაყანმა აჩუქა. მეომარი ქალი პარემიდან გაძებელყოთ და რუსებს ებრძოდა, ამ უკანასკნელთ კი იგი ტყვეოდ ეგდოთ. მაღლიერმა დევ-კაცმა იცოდა მისი ადგილსამყოფელი, წაერდა, გამოიყვანა იყი ციხიდან და ალექსანდრეს მოჰყავარი. ალექსანდრეს შეუყვარდა ნესტანდარქანი და იყი ცოლად შეიძროთ<sup>123</sup>.

სპეციალისტების მიერ წარმოებული დაკვირვება ნიზამის პოემაზე ნესტანდარქანის სახელის ფიქსირების არ გასცილებია. გ. ასა-

<sup>123</sup> ნიზამი განკავი, შარიფ-ნიშანი, ‘თარითობ დაპარტე-აკ მალი-ე’ ელჩი 30 თაღურუ-ალ-ზელე, ბე თასჩი-ე ე. ი. ბერძელს. ბაქე, 1947, გვ. 381.

თიანება პირველმა მიაქცია უურადლება ამ ორი პოემის ურთიერთობას მსგავსების უფრო ხელშესახებ დეტალს. აღიარებს რა რუსოველის ძირიობას აღმოსავლური პოეზიის ტრადიციებთან, მკვლევარი, კერძოდ, წერს: „დაახლოებით ასეთივე მდგომარეობაშია პოემის სუერტური აღნავობა აღმოსავლური მითოლოგიის იმ ტრანსფორმირებულ ნამსხვერევებთან, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთი მოტივის პირველად საფუძველს უნდა წარმოადგენდეს... როგორც ცნობილია, ნისტან დარჯიხისანი სპარსულ ენაზე ქვეყნად ულამაზესს ნიშნავს, ეს სახელი უცნობი არ არის აღმოსავლური მწერლობისათვის. ნიშამის პოემაში მისი თავგადასავალის დაკავშირება აღამიანის მსგავს ურჩხულთა სამყაროსთან და მოტაცების და ტყვეობის მოტივთან აშკარად მიგვანიშნებს საერთო მითოლოგიურ პირველ წყაროზე, რომლის შორეული ექვ შემონახული იქნა XII საუკუნის ორ პოეტურ ძეგლში”<sup>124</sup>.

გ. ასათიანის ეს მოსახრება ნესტანდარეჯანის, როგორც მითოები სახის, უესტავლის საქმეში პირველ, ფუნდამეტურ ეტაპს ქმნის. ნესტანი, როგორც საკუთარი სახელი, ნიშამის პოემაში ჩვენ დიდი ხანი გვეგულებოდა. 6. მარის წყალობით მისი ეტიმოლოგიაც ცნობილი იყო<sup>125</sup>. ჩვენ ისიც ვიყოდით, რომ ეს სახელი უკედება შეაძინის არაბულ ფოლკლორში, რომ თანამედროვე ტაგიური ლატერატურაში, ისე როგორც საერთოდ შეა აზიის ხალხებში იყო იხმარება მზეთუნახავის სინონიმად. მაგრამ ეს იყო და ეს. გ. ასათიანის დაკვირვების შემდეგ კი სტიმული გვეძლევა, სხვა თვალითაც შევხედოთ ამ სახელის მატარებელ პერსონაჟს. მართლაც და 1936 წელს ბუხარის სახანებში გ. წერეთლის მიერ ჩაწერილი არაბული ზღაპრის მიხედვით ნესტანდარეჯანი არამიწიერი ლამაზი არსებაა<sup>126</sup>, ფერიაა. ამავე რეგიონში ფიქსირებული მეორე ზღაპრითაც ამ პერსონაჟს მიწერილი აქვს ჯადოქრული თვისება ერთი არსების მეო-

<sup>124</sup> გურია ასათიანი, სასავებები, თბ., 1982 წ. გვ. 101.

<sup>125</sup> Н. Я. Марр, Грузинская поэма «Витязь в бархатной шкуре». Шоты из Рустави и новая культурно-историческая проблема. «Известия Академии Наук», 1917, № 8, გვ. 429.

<sup>126</sup> გ. წერეთლი, „ნესტანდარეჯანი“ შეა აზიის არაბულ ფოლკლორში, „ენობრის მთაბე“, III, 1938 წ., გვ. 12.

негде გადაქცევისა. ასეთივე ეს სახე სადრედინ აინისთვისაც<sup>127</sup>. კ. მაგალითები დღახაც რომ დამატიქრებელია, გავიხსენოთ „ვეფხშის რყაოსნის“ ნესტანდარეჭანი გაზრდილია დავარის მიერ. ხოლო დავარი ქაჯი იყო („მან უამბო დავარ ქაჯისა ენ გრძნებითა ცაცა იცის“). იქნება „ნესტანდარეჭანი“ ნიშნავდეს არა იმას, რომ მსგავსი მისი ქვეყნად არაა. არამედ იმას, რომ იგი ამ ქვეყანაზე მოვლენილი არამიწიფრო, ცოტრი არსებაა, ფერია (აღმოსავლეთში სამყარო დაყოფილი პქანდათ ორ ნაწილად: ეს ქვეყანა, რომელიც კაცთა სამკვიდროა, და არახორციელთა, ფერითა, სამკვიდროდ).

ამდენად, უკეთ ნათელი უნდა იყოს რომ, „ბათირ-არსლანის ფაბულის ვეფხისტყაოსნისებური ელემენტები ამ უკანასკნელის გავლენის (უკეთ საბორი ხანიში, როცა რუსთველის პოემას მისი ერთიანის შემდეგ გაეცნო შუა აზია) შედეგი კი არ არის, არამედ იგი თავიდან გააჩინდა მას. „ბათირ-არსლანის“ ფაბულა „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის ადექვატია.

„ამირანდარეჭანიანში“ ყველა ეს ფუნქცია და ელემენტი ერთ გმირს არ უკავშირდება, ხოლო ბათირ-არსლანისა“ და „ბარმეც-ლიგანიანის“ ამბავში ავთანდილის ორეულის სახე მეტალია (მისი ზოგი ფუნქცია), როგორც აღვნიშნეთ, ტარიელის ორეულისაა მიკუთვნებული).

აღმოსავლერ ლიტერატურაში არსებობს სხვა ფაბულაც, რომლის ფუნქციები მთლიანად ემთხვევა „ვეფხისტყაოსნის“ ფუნქციებს და პერსონაჟებშედაც ასევე განაწილებულია. კიდევ მეტაც: რესორეულის პოემას მასთან ანათესავებს მრავალი სიუკატური დეტა-

<sup>127</sup> Н. В. Винников. Язык и фольклор бухарских арабов. М., 1969, гл. 102; С. Айни, Елдопіхъ, Кысми III. Сталинобод, 1950, гл. 178.

<sup>128</sup> სამშერლეში შემონახულ წარწერაში იხსენიება საკ. სახელი „დარეკანი“. წარწერას XII საუკრისად მიიჩნევენ და ამით ასკრინ, ეს სახელი „ვეფხისტყაოსნის“ დაწერამდეც კოფილა საქართველოში ცნობილია. ამდენად, უფრო მისამართ დაუკავშირდებოს, სახელებს რუსთველი პოელობრა, თევზი გვერდიერი ქვეპრის სინამდევლეში, ქართულ ინომისტყარები, ამ მხრივაც ერთობლივ ნიადაგი უნდა ყოფილიყო მისი შემოქმედების წყაროს (ა. ბათაშვილის სამშერლოს წარწერის დარეკანი). კიდევ „მრავალთავი“ X, 1983 წ., გვ. 25) ლიხაც რომ გოქნელიდათ საქართველოში (აქ მრავალნელი არაუკრია „მალინელ საგოგმაზები“ ამბის პერსონაჟის სახელი.

ლიც, მხედველობაში გვაქვს ცნობილი სპარსულენოვანი ინტორუ  
მწერლის, ამირ-ხოსროვ დეპლევის (გ. 1324 წ.) მიერ ჩაწერილი  
ამბავი, რომელიც მის „ჩიქარ დარვაშში“ („თხი დეკრიში“)  
იყოთხება. მას სათაური არა აქვს და ჩვენ პირობით „შოთან გმირს“  
დავარჩმევთ. რადგან ეს ამბავი „ვეფხისტყაოსნის“ კელევის სფე-  
როში პირველად შემოგვაქვს, მოკლედ მარც მოეიყვანთ მის ში-  
ნაშის:

1. ერთ ახალგაზრდა მეფეს შეუყვარდა არაბი მეფის ასული  
გას შემდეგ. „რაც მისი გულუხვობა უქს. მასთან წასულა გადა-  
წყვიტა. ვეზირმა ჯერ დაუშალა, მაგრამ რომ ვერაფერს გახდა, ურ-  
ჩია, ვინმე მიინც იახლეო! მეფემ არ ქნა. გადატყული წავალ მარ-  
ტო, შენ ჩემს ნაცვლად გტოვებ და ხალხს მომიარე: მე თუ მოვ-  
კვდე, რაც მძღოლია, შენი იყოსო. შემდეგ განზრახ ხმა დაყარია, სა-  
ხალიროდ მივდივარო და გზას გაუდგა. როგორც იყო, მიატანა ბას-  
რის მეფის სასახლეს... ქალს ხელი სთხოვა, — მე სხვა სათხოვარი  
არაფერი მაქვს. ჩემს ქვეყანაში თავად ნებიერი მბრძანებელი ვარო.

2. ქალი დათანხმდა, ოლონდ ასეთი პირობა დაუდო:

3. თურქე მის ხალხს ნიმრუზის ქვეყანაში წყლის პირას (შამ-  
ბნარში, ერთი შაოსანი მხედარი ენახა, „ლაგამ-აბჯარსა და უნა-  
გირს ხშირად ესხა მარგალიტი“. იჯდა და გმინავდა. ერთი მსახური  
ბრჭი ახლდა, ის მოკლა. მერე კი ამხედრდა და მიიმალა.

თუ გინდა ცოლად გამოგყვე, ჯერ მისი ვინაობა გამიგეო, და-  
ვალა ქალმა.

4. უფლისწული წევიდა იმ უცნაურო კაცის მოსახებნაც. მთე-  
ლი ერთი წელიწადი ეხეტა. ის უცხო მხედარი თვეში ერთხელ გა-  
მოდიოდა თურქე იმ აღვილას და ერთხელ კიდევაც შეესწრო.

5. როგორც კი ამხედრდა უცნობი, უფლისწულიც ვაეკიდა. არ ეპუებოდა, ან მოკლავს. ანდა მის ამბავს გაეიგებო. ერთხანს  
ასე სდია. ბოლოს მალალი კედლით შემორტყმული ბალი გამოჩნდა.  
ის უცნობი მხედარი კარებს მიადგა და იღრიალა.

6. კარები გაუდეს და შიგ შევიდა.

როგორც იქნა, უფლისწული და ის უცხო ერთმანეთს შე-  
ვდნენ.

7. რა გრძლა შენ, რისთვის გამომკიდებისარ, თავი ხომ არ გვებებისაო? — პეითხა შაოსანმა. უფლისწულმა თავისი ამბავი უფლის ბო:

8. შენ ჩემი შეყვარებულის მსახურებს უნახისარ, ჩემს სატრატოს შენი ამბავის გაგება უნდა და ამ მიზნით გამომგზავნაო. — ამაზე შაოსანს გული ამოუჯდა:

9. შენც ჩემსავით შეყვარებული ყოფილხარ და ამიტომ მეცნდებიო. კარგი, ჩემს ამბავს გეტყვიო და

10. დაწვრილებით უამბო თავისი თავგადასავალი, რომელიც მოკლედ ასეთია:

11. იგი მეფის შვილი ყოფილა. ბაეშვე ცუდი ბედი უწინასწარმეტყველეს და ის რომ აეცდინათ, მიწის ქვეშ გადამალეს.

12. ერთხელ ტახტზე დამჭდარი ფერითა მეფის ასული დანახა და შეუყვარდა, კინალამ გრძნობა დაპყარვა. სიყვარულისგან ვაერ ავად შეიქმნა. დიდი ამბების შემდეგ კი

13. ქალის მამასთან მიეიდა და მისი ხელი სთხოვა.

14. მამა უარზე იყო. ვაემა ფერიების ენა იცოდა და

15. მისი სატრატოს მოსატაცებლებდ მოსული ერთი ქაჯი ხარის ქცია (ამ ხარზე იყო მერე ამხელრებული).

16. მაგრამ ამასობაში ქალი ქაჯებმა მოხიბლეს და უგონოდ ქციოდა. მას აქეთ იგი ქაჯთა ჯადოთი იყო შეკრული და

17. ვაეიც ამის გამო გოდებდა.

ეს ამბავი რომ დაამთავრა, უცხო რაინდმა ისევ დაიწყო მოთქმა. მერე წამოვარდა და ველად გაიჭრა.

18. უფლისწულმა თავისი შეყვარებული დროებით დაივიწყო და პირობა დადო, სანამ ამ კაცის თავის სატრატოს არ დავაბრუნებინებდ, მე ჩემს დანიშნულს არ დაეუბრუნდებიო.

19. ადგა და დაიწყო ხეტიალი მეგობრის საშეელად...

20. ბოლოს ყველაფერი კარგად თავდება, მიჯნურები თავიანთ სატრატოებს ირთავენ და ბეღნიერად მეფობენ<sup>128</sup>.

<sup>128</sup> Чор Дарвеш, Сталинобод, 1961, გვ. 137.

ამ ორ ამბავს „ეკუთხისტყოსანსა“ და „შაოსან გმირსა“, იდენტური ფაბულები გააჩნია. აი ის ფუნქციები, რომლებიც თრივე ამბის ფაბულას ქმნიან (მოგვაძეს მათი შემაღვეველი ილემინტიბათურთ):

V- ୭୮୬୫୩୦୯

ვეულ გაიცნობს კაცს, რომელსაც დახმარება შეუძლია

1. ანს უნდა ცოლად შეირთოს მეფის ასული ბანი.
  2. ბანი ცოლობაზე თანახმაა, ოღონდ ანს პირობას ჩამოარ-ომევს:
    3. თურქე მის ხალხს წყლის პირას ჩამომჯდარი უცნობი მხე-დარი უნახავს. მან თურქე ჭერ იტირა, მერე მონები (მონა) მოკ-ლა და წავიდა.
    4. ბანი პირობას უდებს ანს: გამიგე იმ უცნობის, განის, ე-ნაობა და შემდეგ ცოლად გამოგცევებით.
    5. ანი მიღის განის მოსაძებნად.
    6. დიღხანს ეძებს, ბოლოს მიაგნებს განის ცხელ კვალს და უკან გაჰყვება.
    7. განი თავის განმარტებულ საღვომში შედის.
    8. ანი და განი აქ, განის საღვომში, გაიცნობენ ერთმანეთს.
    9. ანი განს თავისი სიყვარულის ამბავს უამბობს და ბანის მიერ-შასთან დადებულ პირობას გაცნობს.
    10. განს შეებრალება ანი, კარგი, რაღვანიც შენც ჩემსავთ ზეჯნერი ყოფილხარ, ჩემს ამბავს გიტყვიო.
    11. განი ას უცვება ასეის თავგადასხვალს, რომელიც ასეთია:

<sup>129</sup> Мир Амман, Сад и песня, Перевод Г. А. Зографа. М., 1962, 81.

<sup>139</sup> Х и р о м и лл. Чор дарвеш. Ташкент, 1960, 83-240.

<sup>132</sup> දෙපර්වත්තා සංඛ්‍යා, තම., 1878 (සාම්පූහුරුලං මිගෝන්ගුරුදාප 1890 අ.).

## I ფრნქცია



ქალსა და ვაჟს ერთმანეთი უყვართ

12. ის, განი, მეფის შვილი ყოფილა.
13. ერთხელ მას ტახტზე დამჯდარი მშვენიერი მეფის სულ-დონი დაუნახავს და იქვე შეკუვარებია.
14. სიუვარულისგან განი ავად შექმნილა.

## II ფრნქცია

მშობლები ვაჟს ქალს არ ატანენ

15. ქალის მშობლების გამოისობით განისა და ღონის შეულ-დებას ხელი შემლია.

## III ფრნქცია

ქალსა და ვაჟს ერთმანეთს ჩამოაშორებენ

16. ღონი ტყვედ ჩაუგდიათ (ან მოუხიბლავთ) ქაჭებს.

## IV ფრნქცია

ვაჟი დაეძებს თავის სატრფოს

17. დაძრწის ახლა განი და ღონის სიუვარულზე უშრეოდ გო-დებს.

## V ფრნქცია

დამსმარე მიაგნებს ვაჟისა და ქალის შეერთების საშუალებას

18. ანი განის მიბავს რომ გაიგებს, გადაწყვეტს, სანამ გან-სატრფოს არ დაუბრუნდება, მე ჩემსის არ შევიტავო.
19. ანი იწყებს ხეტიალს ჭანის საშეელად.

## შეყვარებულები შეერთდებიან.

20. ანის მეტადინეობით უკელაფერი კარგიდ მთავრდება, ანი ირთავს ბანს, განი — დონს.

„კეფხისტყაოსანი“ ერთი შემოქმედის მიერ ჩაშოსხმული ძეგლია, რომლის ამბავი, ბუნებრივია, XII საუკუნეში უკვე გაქვადა, ხოლო „შაოსანი გმირი“ ფოლკლორული თხზულებაა, რომელსაც მიმატებია სხვა, მისი ძირითადი ამბისთვის არცოთ საჭირო და იუკილებელი, კომპონენტები. ასეთი მიტმასნილი კომპონენტია თანათინის ორეულის ვრცელი თავეგადასავალი, რომელიც სრულადაც არაა აუცილებელი ამ ამბის განვითარებისათვის და რომელიც არაერთ სხვა აღმოსავლურ ზღაპარში გეხვდება. ასევე მოტმასნილია ამ ამბავთან ტარიელის ორეულის გურლმულში აღზრდის ეპიზოდი, რაც ასევე მრავალ აღმოსავლურ დასთანს დაუცავს (შდრ. „რესულანიანში“ ყაისის თუ ყაისარის ამბავი)<sup>133</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, ფაბულა არა მარტო შეიძენს ახალ ფუნქციებს, არამედ ჰერაკლეს კიდევაც მთ. ეს პროცესი, განსაკუთრებით ფუნქციის ამოვარდნა, ხშირად უმტკიცნეულოდ არ ჩაივლის. არაიშვიათად ასეთი ოპერაციის შედეგად ამბავს შერჩება ხოლმე იმ დაქარგული (ამოვარდნილი თუ მოწყვეტილი) ამბის რუდიმენტები. „შაოსან გმირი“ თავისი პირვანდელი სახით რომ არ მოულწევდა და 1325 წლისთვის, როცა ამირ ხოსროე გარდაიცვალა, ის რომ უკვე დიდი ხნისაა, იმდენის, რომ მისი შინაარსობრივი რუდიმენტები დღეს აუხსნელიყაა, ამას ასეთი მაგალითიც ადასტურებს: რატომ კლავს ტარიელის ორეული თავის მონას. რა დაუშვა ან ამბავში რისთვისაა ეს საჭირო? ჩანს, ადრე იყო ამ ამბის არქეტიპი, საღაც ამ დეტალს თავისი დანიშნულება ჰქონდა, დღეს კი იგი იმ აწ დაქარგული არქეტიპის ეპიზოდის მხოლოდ ნაკვალევდა. როდესაც ნაწარმოების გადაცემება ხდება, ყოველთვის როდი აგონდებათ უკელა სათანადო დეტალის გადამუშავება. აღ-

<sup>133</sup> ჩ. ს ე ფ ა ნ ი ა ნ ი, ილია აბელაძის და ივანე გიგინეიშვილის რეაქციით. თბ., 1957, გვ. 325.

მოსაცელურ ეპიკაში, კერძოდ სპარსულში, ასეთი შეუსაბამოებელი ცოტა როდია (ამაზე ქვემოთ).

„შაოსანი გმირი“ არა მარტო ფუნქციებისა და შესაბამოებელი ცების თანხეელრით ემსგავსება ჩვენი პოემის ფაზულის, არამედ ყურადღებას იქცევს მათი დალაგების თვალსაჩინოსთვის. მშავე ქრონოლოგიურად ტარიელის ეპიზოდით უნდა დაწყებულყო, მაგრამ, როგორც ვნახეთ, მეტი ლინამიურობისთვის (უცნობი პირი, უცოკნია, მისი ჩართვა მშავები, მისი ვინაობის გარევევის უცლებლობა) თხრობა მესუთე ფუნქციით, ავთანდილის ეპიზოდის მოყოლით იწყება. ორსავე მშავე თხრობის ერთნაირი, თავისებური და არაორინარული, ხერხია გამოყენებული.

თუ საერთოდ როგორ არ უნდა მოველოდეთ ერთი ფაზული სხვადასხვა სიუკეტის ფუნქციათა ზუსტ დამთხვევას, ამის მაგალითი გაეისხენებთ ჩვენთვის კარგად ცნობილი მითოსის „აბესალომ და ეთერის“ ვარიანტებს:

## I. ძირითადი ვარიანტი

A) ქალიშვილს ჰყავს ავი დედინაცვალი. B) დედინაცვალი მაერ დასაქმებულ ქალიშვილს უფლისწული გაეცნობა და უკადაგობას მას. C) ვეზირს შეუყვარდება ეს ქალი, ქმარს გადაილებს და თავად ირთავს მას. D) უფლისწული დარღისგან კვდება. E) ქალი თავს უკავავს.

## II ვარიანტი

ზემოთ ჩამოთვლილ ფუნქციებს თავში დამატებული აქვს შემდეგი ფუნქციები: A) ქალიშვილს ჰყავს ავი დედინაცვალი. A<sup>1</sup>) ქალიშვილი მშეკრისავს გრძნეულ ძროხას და მეგობრობს მისთვის. A<sup>2</sup>) გრძნეული დედაბერი ქალიშვილს, ამ უკანასკნელის კეთილ გულის გამო, ოქროსთმიანს ხდის. A<sup>3</sup>) იგვევ დედაბერი ქალიშვილის მიბაძვით სამწყემსურმა წასულ დედინაცვალის ქალიშვილს დაამახინჯებს, A<sup>4</sup>) ქალიშვილის ქოშს უფლისწულს მიუტანენ. ას უკანასკნელს შეუყვარდება ქოშის პატრონი და ირთავს მას.

შემდეგ, როგორც პირველ ვარიანტშია.

### III ვარიანტი



პირველი ვარიანტის ფუნქციებს თავში დამატებული აქვთ შემდეგი დევი ვარიანტები: \*A) უშეილო კას ქალიშვილი კანკეში ჩაესახება. \*\*A) გადაგდებული კანკეიდან დაბატებულ ქალიშვილს თანხი უჩდის ხეზე. \*\*\*A) უფლისწული დაინახავს მას და ცოლად ირთავს.

შემდეგ, როგორც პირველ ვარიანტშია.

განსხვავება ამ ვარიანტებს შორის ისეთია, რომ ჩვენ მათი იდენტურობა თავიღანევე რომ არ ვიცოდეთ. შეიძლებოდა გვეფიქრა, სხვადასხვა ამბავთან გვაქვს საჭმეო.

1967 წ. ჩვენ ორჯერ გვქონდა შესაძლებლობა, დაგვეხვდეთ წინასწარი მოსაზრება „ჩარდავრიშიანის“ ამ დასთანის თაობაზე. ორსავე სტატიაში, ვუდარებდით რა „ჩარდავრიშიანის“ ამ დასთანის „ვეფხისტყაოსნის“ ამბავს, საუბარი გვქონდა მხოლოდ ფაზულ აზ და არა სიუციტზე. ეს ორი ცნება ერთმანეთისაგან განსხვავებული გვქონდა და, აქედან გამომდინარე, მიეცუთოთებდით. რომ „ჩარდავრიშიანის“ მეოთხე დასთანის „ამბის დერიტაურულ ენათესავება უკვდავი ქართული პოემის ფაზულას“<sup>134</sup>, რომ იგი „ეთერულ ჰეროს „ვეფხისტყაოსნის“ ფაზულას“<sup>135</sup>. ამ დასთანის რესთველის პოემის წყაროდ ჩვენ არ ვთელიდით (და არც ახლა ეთელით), ჩვენ მხოლოდ ფაზულათა მსგავსებას აღვნიუნავდრო და ეფიქრობდით, რომ უნდა აჩსებელიყო რაღაც „მესამე“ ფაზულა, რომელიც „ჩარდავრიშიანის“ დასთანია და „ვეფხისტყაოსნის“ ფაზულებს აერთიანებდა. ვწერდით: „ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისაგან, რომ ვამტკიცოთ, რესთველს ზუსტად ეს სიუციტი გამოყენებინოს“<sup>136</sup>.

ჩვენს ამ მოსაზრებას სპეციალური სტატია მიუძღვნეს ა. ბარამიძემ და დ. კობიძე<sup>137</sup>. სტატიის ავტორებს სათაურად კი უწე-

<sup>134</sup> ბალტადელი თვალთმაქტი, გვ. 6.

<sup>135</sup> მ. თოლია, „ქილომეტრის და დამარცხს“ სამასულო ვერსია, თბ., 1967, გვ. 26.

<sup>136</sup> იქვე.

<sup>137</sup> ა. ბარამიძე, დ. კობიძე, ვეფხისტყაოსნის ფაზულის თაობაზე, „მაცნე“ (ქრისტიან ლარ. სერია), 1971, № 2, გვ. 157.

რათ „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის თაობაზე“ (ხაზი ჩანა, — მ. თ.). მაგრამ აღნიშნავენ: „ამ გხობას ჩვენს ყურადღება იქირობს... მ. თოდუას ცოტა არ იყოს მოულოდნელი მოსაზრება, ნა „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულისა თუ სიუჟეტის თაობაზე“ (ხაზი ჩვენია, — მ. თ.)<sup>138</sup>.

ერთმანეთისგან არ განარჩევენ რა „ფაბულას“ და „სიუჟეტს“<sup>139</sup>, რეცენზენტები გამოკვეთილად აღნიშნავენ. რომ ფაქტების გადმოცემის დროს ჩვენ თვითნებურება და მიერძოება გამოვიჩინეთ. „ყველაფერი ეს მოგონილია იმისათვის, რომ შეიქმნას „ვეფხისტყაოსნათან“ ხელოვნური მსგავსების და თარება“<sup>140</sup>. მაგალითობრივად თვითონ თხზავს, ხოლო ზოგ რამეს ისე აღავიბს“ და ა. შ.<sup>141</sup> (ხაზი ჩვენია, — მ. თ.).

შევეცდებით, პასუხი გავცეთ ჩვენს რეცენზენტებს.

როგორც სასკოლო სახელმძღვანელოებიდანაც ცნობილია, შექსპირის პამლეტის, ამ რენესანსული გმირის, პროტოტიპი არის შეკაუეუნების საგების „მეცარი და დაუნდობელი“ ამლეტი. საგები ამლეტი ასეთ ტიპიდ არა ავტორისეული რემარკებით, არამედ თვითონ პერსონაჟის საქმით და სიტყვითა დახატული. შექსპირის და საგების „პამლეტს“ საერთო ფაბულა გააჩნიათ, მაგრამ მასზე დაყრდნობილი სიუჟეტები აქვთ ერთმანეთისგან განსხვავებული სწორედ ეს სიუჟეტებია, რომ ხატავენ ერთსა და იმავე პერსონაჟის ასე დიამეტრული განსხვავებულ გმირებიდ. მაგრამ ჩვენმოკამათეებს, ა. ბარამიძეს და დ. კობიძეს, არ განარჩევენ რა ერთმანეთისგან ერთი და იმავე ამბის ფაბულასა და სიუჟეტს, ზონებრივია, საკითხი ასე არ უდგათ. რაკი „ვეფხისტყაოსნის“ ყველა დეტალს. პერსონაჟთა ხსინითებს და ნაწარმოების სულს. „ჩარტარიშანზი“ ვერ პოულობენ, ვერც კი წარმოულგვენიათ ამ ორი ნაწარმოების ერთმანეთთან მსგავსება. ისინი წერენ: „რა შეიძლება:

<sup>138</sup> იქვე.

<sup>139</sup> როგორც ვეთითებდით, ფაბულის სინონიმად სიუჟეტი ა. ბარამიძეს შემდეგ მიაჩინდა (იხ. მისი: შოთა რესოველი და მისი ვალისტყაოსნი, თ. 1966, გვ. 65), და ფლეხაც მიაჩინა (იხ. მისი: შოთა რესოველი, გვ. 64).

<sup>140</sup> ა. ბარამიძე, დ. კობიძე, გვ. 164.

<sup>141</sup> იქვე.

საერთო ჰქონდეს ტარიელთან დამთხვეულ შაოსან ახალგაზრდობის აღმელიც ჩარად ქცეულ ბოროტ სულზე მთხელრებულა, მთვარის მოქცევაზე მოჩვენებას ავით გაიკლებს სახოგადოების წინაშე, გადამორთ შეძნელილ თავის ფერია-სატრაფოს დასტიჩის და მისი სულორის დემონსტრაციით თავს აცოდებს მნაველს?

რა შეიძლება საერთო ჰქონდეს ფერიათა მეფის უნიათ ასულს წესრანდარეჯანის მაღალ ემიციურსა და მაღალ ინტელექტუალურ საკაცობრივ უკვდავ სახესთან?

რა ანათესავებს უბადლო რაინდ ავთანდილს დევრიშად განტალებულ ფარსის ხელშიიფესთან? (გვ. 163).<sup>1</sup>

ჩვენდათავად ჩვენც გვიჩდა, ალ. ბარამიძეს და დ. კობიძეს ართო კითხვა დაეუსვათ:

რა აქვს საერთო შუასაუკუნეების ევროპული ქალაქების მოედნებშე სახელდახელო წარმოდგენებში გამოყვანილ, გამვლელ-გამომვლელთა გასართობად გათამაშებულ ტრიინა-ფაუსტს ისეთი მაღალი; რთული და დრამატული ინტელექტის მქონე გმირის ფილოსოფიურად განშოგადებულ სახესთან, როგორიც გოეთეს ფაუსტია? და როდესაც ეს ფაქტი (გოეთეს ფაუსტის იმ თოჯინისგან წარმომავლობა) არ აკვირებს არავის (და სპეციალისტებისგანაც ასეთ აღიარებული), როგორ ფიქრობენ ა. ბარამიძე და დ. კობიძე, რატომ არ აღმოჩინდა ევროპულ ლიტერატურათმცოდნებაში ვინმე, რომელიც შენიშვნავდა: რატომ ინებეთ და აღიარეთ ამ ფაბულათა იდენტურობა, რა აქვს საერთო გოეთეს ასე ამილებულ ფაუსტს მოედნებში გათამაშებულ ტრიინებთან? ორში ერთია: ინ გერმანული, (რაღა გერმანული, საერთოდ მსოფლიო) ლიტერატურათმცოდნება ვერ დგას სათანადო დონეზე და ამიტომ ვერ ხვდება; რომ აქ ვანგაშის ატეხვაა საჭირო, ანდა აქ საგანგაშო არაფერია.

საგანგაშოდ აქ მათ არაფერი მიაჩინათ (და სამართლიანადაც) რმიტომ, რომ იციან: ფაბული სხვად, სიუკეტი — სხვა და რომ ერთ ფაბულაზე სხვადასხვა, ერთიმეორის საწინააღმდეგო იდეის, სხვადასხვა ხასიათის მქონე ნაწარმოების შეიძლება დაიწეროს, ამიტომ შევნიშნავდით ჩვენ ჯერ კიდევ „ბალდადელი თვალთმაქციის“ წინასიტყვაობაში, როდესაც პირველად მიეუთითეთ „ჩარდავრიშიანის“

მეოთხე დასთანისა და „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულათა მსგავსებაზე, სას კუსკამდით რა, რომ სიუკეტის არმსგაესება იქ უშესებული ფაბულის იდენტურობას: „მსგავსება აშეარაა, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაცაა. ამბავი სხვანაორად იწყება, ვრთარდება და მთავრდება, ვიდრე „ვეფხისტყაოსნის“. სხვაა გმირების მათი ხასიათი, თვით დასახელებული პერსონაჲ გაეციც არაფრით ჰგვანან „ვეფხისტყაოსნის“ გმირების. ამბავი ზღაპრულია, თხრობა ცედებულული და სხვ. მარტო ის ჩად ლირს, როგორც მოჯადოებული ავი სულია და ა. შ. ასე რომ ამ ორ თხზულებას შორის განსხვავება უფრო მეტია და თვალში საცემი, ვიდრე მსგავსება მაგრამ აქ სწორედ ეს მსგავსება გვაინტერესებს. სერთო ნიშნები, ზინაარსობრივი დეტალი თუ ეპიზოდი ბევრ, ერთმანეთთან რომ სერთო არაფერი არა აქვთ, ისეთ ამბავი შეიძლება პქანდეს, მაგრამ ზემოთ მოხმობილი ქარგა და აგრის დარიტა უთუოდ ენათესავება უკვდავი ქართული პოემის ფაბულას“<sup>142</sup>.

ამ განსხვავებას ჩვენ ჩვენს რეცენზენტებზე ნაკლებად როდი უხედავთ, პირიქით, პირველმა დაეინახეთ ეს განსხვავება, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ჩვენთვის. დაგვეკვა მათი ფაბულის იდენტურობის საკითხი. ფერითა მეტი კული რომ უნიათია, ხოლო ნესტანდარეფანი — მაღალემოცურა და მაღალინტელექტუალური, ტარიელი რომ ტანქზე ზის, ხოლო ის დამთხვეული შოთანი ხალვასრდა — ხარიდ ქცეულ ბორიტ სულზე და ა. შ., ეს ყველაფერი ამ ორი ნაწარმოების სიუკეტთა განსხვავებაზე მიუთითებს და არა ფაბულათა სხვადასხვაობაზე.

რეცენზენტების აზრით, ჩვენ თითქოს ტენდენციურად ვალგებთ და ტენდენციურადვე გადმოვცემთ „ჩარდავრიშიანის“ შინაარსს<sup>143</sup>. ამიტომ ისინი, პსერტ რა, დაუპირისპირონ თითქოს ჩვენს

<sup>142</sup> ბალდადელი თვალთმაქტი, გვ. 6. „ლერიტა“ და „ქარგა“ და სხვაგანაც მოტანილი გვაქვს ფაბულის მიზნელობით, მაგრამ ეხმარის მათ ტაეტოლოგის ასილების მიზნით.

<sup>143</sup> ა. ბათამიძე, დ. კობიძე, გვ. 163.

მიერ ტენდენციურად მონაუოლს ობიექტური მოთხოვბა, თვითონ გაღმოგვცემის მს. გაღმოცემით კი გაღმოგვცემენ, მაგრამ ვერ ამონია წევენ. რომ ჩვენთვის საინტერესო ფაბულის შემკვრილი ყველა და მათი ყველა იღებენტი მიერ გაღმოცემულ შინაარს შეიცავთ იყოთხება. იძულებული ვართ, იქ მოვიტანოთ ა. ბარამიძის და ლ. კობიძის მიერ მოთხოვბილი ამბავი მოთვე სიტყვებით<sup>144</sup>:

1. „დერვიში წერილი დაწერა და მეფის ასულს გულგზავნა, ცოლობა სთხოვა, ქალმა არ მუკადრისა, მოხუცი ძიძა გამოუგზავნა და შემოუთვალა:

2. თუ პირობას სრულყოფ, ცოლობაზე თანახვა ვარო.

პირობა ასეთი იყო: დერვიში უნდა წასულიყო ნიმუშზეის ქვეყანაში და იქაური ამბის სისლუმლოება გამოეცნო, — ბასრელი მეფის ასულისათვის ამბავი მიეტანთ, ნიმუშზეი ქვეყანაში ყველა შევით არის შემოსილი, მთვარის მოქცევისას ქალაქის მოსახლეობა მინდვრად გადის უცნაური სანახაობის საჭერეტად.

3. თერმე შამბნარი შეიტხევა და გამოჩედება ყვითელ ხარზე ამხედრებული ახოლგაზრდა კაცი. თმა წელამდე უცემს, ერთ ხელში ხმალი უჭირავს, მეორე ში კი — ლამაზი ქალის სურათი. გვერდით ახლავს ბიჭი (ყული). ჩამოხტება ხარიდან, ჩამოუვლის იქ მყოფთ და სურათს აჩვენებს, მერმე მიწაზე დაახლის და დახვეს, ბიჭის

<sup>144</sup> ნემერაუი ჩეენია. შლრ. ეს კომპონენტები ზემოთ მოტანილ „ცენტრული კომპონენტებს“.

არ მოგრძელოს მის მნილოდ სამ კვიშობის: 1) ექსპოზიციას, 2) ნიმუშების უფლისტერის აღსრულის ამბავს და 3) მისი განკურნების ისტორიას, რადგან: ა) ეს კვიშობი ხოვათა, გვხვდება უმრავ სხვა დასთანხში, ბ) ამ ამბის ორგანიზაციის ამ შეადგენს, მასი ამონუბოთ ამ მისივე შეგვის სხვა, თერმე შეტერ რაოდენობით, კვიშობის ჩართვით ფაბულა არ იყელება. გ) ისინი ისე არათერავისულად არიან მიტანილი ამ დასთანს, რომ ერთი ასეთი კვიშობის „ბასრის შეფის ქალიშვილის თავებისავალი“ მოტანა, ეტყობა, თეოთო ა. ბარამიძეს და დ. კობიძესაც კი ქორონისათვის, ისე „უზრით მოტანეულია“ იგი გადასთანხში, მას მნილოდ ერთი წინადაღებით გადმისუმშენ: „დეკრიში გამოიწარს ბასრელი მეფის ასულის თავებისავალი“.

ხმალს შემოჰკრავს და თავს წიაკლის, და გრძელ ბა, დაიწყებს ცხარე ცარებლებით ტირილს შემდეგ წავა და ჩინმალება.

4. ბასრელ ასულს სურს. რომ წახვიდე და იგ შაოსანი მხედრის ამბავი გაიგოო. „თუ ამას გაიგებ, სურვილს ეწევი, თუ არა და, შენ გზაზე წადიო“, — ეუბნება დერვიშს ძძა. დერვიშმა გამოიყოთ, ბასრელი მეფის ასულის თავგადასაყვალო.

5. გაეშურა შაოსანის ამბის გასაგებილ.

6. ერთი წლის ხეტიალის შემდეგ მივიდა ჩიმრუზის ქვეყანაში. სამჯერ იხილა ის სცენა, რომელიც ზემოთ არის აღწერილი. ერთი და იგვევე სურათი რომ მესამეჯერ განმეორდა, დერვიში დაედევნა შაოსანს. „რომ დამინახა, ალრიალდა, გაშმავდა და სულ დორბლი პყარა“. რომ შენობნა, მდევნელი დერვიშია, რა აენო რა, უკან გაბრუნება მოსთხოვა დერვიში არ მოეშვა. სდია.

7. ერთი ბალი გამოჩნდა, გალავნით შემონალული. შაოსანმა ღრიალით უეკენა ხარი იმ ბალში. დერვიშიც შეუშვეას. ლამით დერვიშმა დაინახა, რომ შაოსან კიხით „ურტყამს და ურტყამს იმ ხარს. საწყალო ხარი ბლავის და ბლავის“. შემდეგ ჩაინდმა საწყალობელი ზლუქუნი მორთო, ხართან მივიდა, მიუალერსა, თვალები დაუკიცნა, ბალახი დაუყარა, გატიება სთხოვა. ბოლოს შეშინებული

8. დერვიში იხმო. რას დამდევ კუდშიო ჰკითხა.

9. დერვიში თავის თავგადასავალს მოუყვა.

10. „შეუვარებულის უბედურებას შეუვარებული თუ გაიგებსო“, უთხრა შაოსანმა.

11. და თავისი ამბავიც უამბო.

12. იგი ყოფილა ნიმრუზის მეფის ერთადერთი შვილი. რომ დაბადებულა, ვარსკვლავთმრიცხველებს უჟვამთ...

13. ახედა, ხედავს, რომ ჭუპრუტანიდან ტახტი ჩამოუშვეა, ზედ ტურფა გოგონა იჭდა და ილიმებოდა.

გოგონამ ლეინო დალია და ვაჟს თასი მიაწოდა. „აფხაზი, რომ ადა  
გიანები გაუტანლები ხართ, თორებ შენ შევიყვარებდოთ“. ვაჟი გვაკეთება  
ოკებული შეპტრებდა ქალს. „მე ფერიების მეტის ასული უარონ“,  
თქვა მან და იმ წამსვე ტახტი პარაზი აფრინდა.

14. ვაჟს გული შეულონდა და ენა დაება:  
ჯინის (ავი სულის) შეურია დასწამეს ვერც ერთმა მკურ-  
ნალმა ვერ ეშვილა...

15. შენ რომ ქალს ეძებ, იგი ომანის ხელმწიფის  
ასულია, უთხრეს. ვაჟი შეუდგა ომანის ჭინების დასამორ-  
ჩილებელი წიგნების კითხვას. მალე ჩამოფრინდა მშეთუ-  
ნახავის მამა, ომანის ხელმწიფე. „ჩვენ ჭინები  
ვართ, შენ კი ადამიანი და შენი დამოუკარება  
როგორ იქნებაო“, უთხრა მან უფლისწულს. უფლისწულმა  
თავისი არ დაიშალა. მალე ის მშვენიერი ასულიც გამოჩნდა. ვაჟ-  
მა გვიხარა. ქალმა გააფრთხილა, რომ სამეურნალო ჯაღისნურ  
წიგნს არ შელეოდა. ერთხელ მთერალს. მაინც დასტუურს ის წიგ-  
ნი. „რა პქენი, შე ულმერთო! ჩემი დარიგება დაგავიწყდაო?“ ეს  
თქვა ქალმა და უგონოდ დაეცა მიწაზე. ვაჟი გამოუდგა წიგნის  
გიმტაცებელს, იგი კი შეიძყრო, მაგრამ წიგნი სხეს ეგდო ხელთ  
და გაქცეულიყო, შეცყრობილი პირი უფლისწულმა ლოცვების სა-  
შუალებით ხარად აქცია (ამ ხარზე ამხედრებული დაჭირითობდა  
შემოეც). ჯაღისნური წიგნი დაიკარგა.

16. ფერიათა მეფის ასულს აღარ ა ეშვილა  
რა. იგი დაბნელილი დარჩია.

17. იმ ამიტომაა უფლისწული შეპტორებუ-  
ლი, სცემს ხარს. ტირის და მოთქვამს. „აქნებ ვინ-  
დე გამოჩნდეს, დაეხმაროს და იმ ჩემს საწა-  
დელს მაწიოსოთ“, დაამთავრა მან თავისი თავ-  
გადასაცლის თხრობა.

(ქ ჩეენ ალვალგენთ კიდევ ერთ, მე-18 ელემენტს. რომელიც  
„ჩარდარებშიანის“ დასთანში არის, მაგრამ ჩეენს ოპონენტებს რა-  
ტომლაც ყურადლების გარეშე დაუტოვებით. — მ. თ.):

[18. მისმა ამბავმა ფარსის ხელმწიფე ისე  
დაიღონა, რომ საკუთარი თავი დაავიწყდა.

დაიფიცა, სანამლის მას საწადელს არ ვსწოდა  
მანამდის ჩემს მიზნებზე ხელს ავიღებოდა.

19. გადერვიშებულ ფარსის მეფის ხუთი წული  
ლიწადი უხეტიალნია ნიმრუზელი უფლისწუ-  
ლის საშველი წამლის საძებნელია. ბოლოს კონ-  
სტანტინებოლში მოხედრილია და სხვა დერვიშებს შეპყრია. ას-  
აღბათმა რომ დერვიშების ამბავი მოისმინა, ყველას აღმოუჩენა,  
დახმარება და თავიანთ საწადელს მიაღწევინა. —

20. ნიმრუზელ უფლისწულს შერთო ომანის  
ჟეფის ასული, ხოლო ფარსის ხელმწიფეს (დერ-  
ვიშს) ერვო ბასრის დედოფლის<sup>145</sup>.

როვორც ვხედავთ, ჩვენს მიერ მოთხოვნილი ამბავი და რე-  
ცენტენტების მიერ გადმოცემული ეს შინაარსი იდენტურია და  
თქმა იმისა, თითქოს ჩვენ ტენდენციურად დაგველაგვებინოს და  
ტენდენციურად გადმოგვეცეს „შაოსანი გმირის“ შინაარსი, მეტი  
რომ არა ვთქვათ, საფუძველს მოკლებულია.

სტატიის ავტორები მკითხველს იმოწმებენ იმაში, რომ „ზოგ  
ამეს და, რაც მთავარია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანს, მაგალი-  
თოდუა თეოთონ თხზავს“<sup>146</sup>. ამის საილუსტრაციოდ მათ მოაქვთ  
ექვსი მაგალითი. განვიხილოთ ექვსივე ცალ-ცალკე.

1. ბასრის მეფის ქალიშვილზე გამიჯნურებული ფარსის ხელ-  
წყაფის უსახებ (ი. განგებ გამოეწყო დერვიშივთ, ან მიცნონ, რომ  
ძეფე ვარო) ნაცვლად იმისა, რომ გვეთქვა: „ერთმა უფლისწულმა  
ბასრის მეფის ასულთან წასვლა გადაწყვიტა. ვეზირს მოეთათბირა  
და წავიდა. რომ მივიდა, შეუყვარდა“ — გვიწერია; „ერთ უფლის-  
წულს შეუყვარდა ბასრის მეფის ასული. მისკენ წასვლა გადაწყვე-  
ტა და ვეზირს მოეთათბირა“. ე. ი. ჩვენი გადმოცემით გამოდის;  
რომ ვეჯს ქალი მანამდე შეუყვარდა, სანამ მას ნახავდა. დამთანის  
მიხედვით კი თითქოს პირიქითაა. ჩავიხედოთ ტექსტში მოთხოვ-  
ნით, ვეჯს ქალის გულუხვეობა უქეს. უთხრეს: „თუ ვინდა, რომ  
შენი სახელი დიდბუნებოვან ადამიანებთან ერთად ახსენონ, ბა-  
რაში წადი და ბარმაქიანთა გვარის ერთ-ერთი ქალიშვილისგან ის-

<sup>145</sup> ა. ბარაშიძე, დ. კობიძე, გვ. 161-162.

<sup>146</sup> იქვე, გვ. 164.

წავლე ეს საქმეო<sup>147</sup>. პის შემდეგ ვეტმა მოსვენება დაკარგა. „დღე ვერ ისვენებდა და ლამე არ იძინა. სულ ამ საფიქრალში უკანაფლული, მეტის მოთმენა არ შეეძლო, გადაწყვეტა, ბასრაში წასულიყო და ენახა ის ქალიშეილი, ყალანდაომა რომ უთხრა“<sup>148</sup>.

რეცენზენტები, რომლებიც ჩვენ სპარსულად წაყითხული ამგას მოყლედ მოყოლას არ გვანდობენ და ობიექტურობის დაცვის მიზნით იმავე ამბავს თავად გაღმოსცემენ. აյ სპარსულ დედანს კი არ ეყრდნობიან, არამედ... ჩვენსავე თარგმანს. მათ თვითონ უნდა ჩიხებედათ დედანში. რომლისა ჩვენ მხოლოდ ერთი ერტს ია ვთარგმნეთ. მეორე ვერსიაში, რამეს ვთხოვთ, კი არ წერია, არამედ ნათქვამია: მე სიყვრული მინდა, სხვა ყველაფერი მაქვს და თუ არ თანამიგრძნობ. „ჩემს სიცოცხლეს შენს სიყვარულს შევწირავ და სადმე ვალშე მაგრა ნივით ან ფართიდივით დავლევ სულსო“<sup>149</sup>.

მაგრამ, ასეც რომ არ იყოს, რას უცვლის ფაბულას ეს სოუეტური ნიუანსი, მაშინ როდესაც იქვე ირკვევა, რომ ფარსის ხელმწიფეს უყვარს ბასრის მეფის ასული და მისი ცოლი უერთვა უნდა!?

2. მაგრამ სტატიის აეტორების მიერ წამოყენებული მეორე ბრალდება ჩვენს მიმართ სწორედ ის არის, რომ ფარსის ხელმწიფე საერთოდაც მიზნურად ჩვენ გამოვიყვანეთ. მათი ასრულ, „ფარსის ხელმწიფე ბასრელი მეფის ასულის მიზნური არ უიყილა, არც იცნობდა მას“<sup>150</sup>.

სტატიის აეტორების მტკიცება, წინააღმდეგ ჩვენი გადმოცემისა, ფარსის ხელმწიფე ბასრის მეფის ასულს არც იცნობდათ, სწორი არ არის, ისინი ერთმანეთს ორჯერ შეხვდნენ (ოლონდ, მუსულმანთა წესისამებრ, ქალს ვაჟისთვის სახე არ უჩვენებია), კარგახანს ისაუბრეს კიდევაც. ვაეს მეფის ასულმა თავისი ვრცელი თვავგადასავალიც კი უამბო (ეს თავგადასავალია სწორედ ერთერთი ის მიტმასნილი „მოხეტიალე“ ამბავი, რომელშედაც წემოთ ესაუბ-

<sup>147</sup> ბალაბალი თვალთმაჭვით, გვ. 563.

<sup>148</sup> იქვე, გვ. 564.

<sup>149</sup> Мир Амман, История четырех дервишней. Перевод с урду Г. А. Зографа. М., 1962, გვ. 95.

<sup>150</sup> ა. ბარამბექ, დ. კობაძე, გვ. 163.

რობდით). და მერე უთხრა: ახლა კი ჩემი დავალების შესახულებლად წადიო! მაგრამ დავუბრუნდეთ ძირითად ბრალდებას; ფარსის ხელმწიფე ბასრის მეფის ასულის მიზნერი რომ არ ყოფილ და თურმე ეს ჩეენ რომ მოგვიყონია.

რადგანაც რეცენზიერები ჩეენ მიერ მოყოლილ შინაარსს ა ენდობიან, ერთი წუთით არც ჩეენ დავენდოთ მას და თვითონ მით მიერ მოთხრობილ ამბავში ჩავიხედოთ. როგორც ზემოთ ეჩი იხელ უკვე დავინახეთ, ა. რა უწერიათ თვითონ რეცენზიერებს: „პოლოს შეშინებული დერვაში იხმო (ნიმუშის მეფის ვაჟმა. — მ. თ.). რას დამდევ კედში, კითხა. დერვაში თავის თავგადასაკვალს მოუყვა. „შეუკვარებულის უბედურებას შეუკვარებული თუ გაიგებსონ“, უთხრა შაომანმა და თავისი ამბავის უამბო“ (ხაზი ჩეენია. — მ. თ.)<sup>151</sup>. ერთი შეუკარებული თავად ამბის შთხრობელია, ნიმუშის მეფის შეილია (და ამაზე არავინ დაობს), მაგრამ ეინაა ის მეორე შეუკვარებული. რომელიც სწორედ იმიტომ, რომ მისთვის ეს გრძნობა ნაცნობია, მის სასურალულო ამბავს უკეთ გაიგებს? პასუხი: — ფარსის ხელმწიფე!

როგორც ვხედავთ, ფარსის ხელმწიფე შეუკარებული ყოფილ და ამდენად, ჩეენ აქ არაფერი არ მოგვიყონია.

3. რეცენზიერების აზრით, მ. თოდუას მიერ არის მოგონილი, თითქოს ბასრელი მეფის ასულს თავისი მიზნერი და ებარებიანს. „ქალს ვავი არ დაუბარებია დავალების მისაცემადო“<sup>152</sup>.

ამ დაბარებას რეცენზიერები პრინციპულ დეტალად მიიჩნევენ. მას მეორეჯერაც გაუსვამენ ხაზს: „სადა აქ... დაბარება და სხვა“<sup>153</sup>!

დერვენიად გადაცმულმა ფარსის ხელმწიფემ ბასრის მეფის ასულთან თვითონ ითხოვა აუდიენცია. ქალს ვავი არ დაუბარებას ასეთ გადმოცემას უთუოდ შესწორება უნდოდა. მაგრამ ა. ბარამიძე და დ. კობიძე თავიანთ მკითხველებს არაფერს ეუბნებიან იმის დესახებ, რომ ეს შესწორება მთელი ოთხი წლით აღრე, სანამ მა-

<sup>151</sup> ა. ბარამიძე, დ. კობიძე, გვ. 161.

<sup>152</sup> იქვე, გვ. 163.

<sup>153</sup> იქვე, გვ. 164.

თ. სტატია დაიწერებოდა, უკვე გაყითებული იყო და რომ მს შესწორების აღტორი თავიდ ისინი, ჩვენი რეცენზინტები კი არ არიან არამედ... ჩვენ ვართ. ვაკის დაბარებაზე ჩვენ „ბალდაფელი თვალით მაქტის“ წინასიტყვაობაში ვწერდით როცა ამის თაობაზე სახელ-დახელო ცნობას ვიძლეოდით, მაგრამ უფრო გვიან გამოცემის შეცნიერულ ნარკვევში („ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსია, თბილისი, 1967 წ. გვ. 24) ჩვენ თვითონ, სხვათა შენიშვნების გათბილისი, 1967 წ. გვ. 24) ჩვენ თვითონ, სხვათა შენიშვნების გარეშე, გვასწორეთ ეს უწუსტობა. რა მიზნით უმალავენ ამ ფაქტს ჩვენი რეცენზინტები თავით მეტხველებს?

მაგრამ, რაც მთავარია, ასეც რომ იყოს. რა მნიშვნელობა აქვს ფაბულისათვის იმას: ვაჟმა ითხოვა აუდიონია თუ ქალმა დაიბარა იგი, როცა მთავარი ისაა, რომ ისინი ერთმანეთს შეხვდნენ და რომ საერთოდ ქალმა ვაჟს დავალება მისცა: წალი, იმ შაოსანი გმირის ვინაობა გამიგე და მერე გამოგყვები ცოლა-დო!

4. „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულისათვის ასევე არავითა-არ გემშენელობა არა აქვს იმას, როსტევანი და ავათადილი ტარო-ელს რომ დაინახვენ, ეს უკანასკნელი სად ზის: წყლის პირს თე ხრისტ. მინდორში. ამის გამო, მოუთოთებდით რა თავიდანაც, ფა-ნტულის (და არა სიუკეტის) იდენტურობაზე, არაფერო ვვრჩიდა, შენაარსობრივ დეტალებზე გაგვემახვილებინა ყურადღება. შაოსან გმირზე ჩვენ გვიწერია: წყლის პირს იჯდაო.

სიტყვა წყალი დასთანში მართლაც არაა ნახსენები და ამ მიზეზით აღმფოთებული რეცენზინტებიც წერენ: „სად არის აქ საერთოდ ნახსენები წყალი?“<sup>154</sup> მაგრამ რა უცყოთ იმას რომ დასთანში ნათქვამია: შაოსანი ლერწმიანში იჯდაო<sup>155</sup>, ხოლო ლერწმია (ორიგინალში: „ნამ“ მხოლოდდამხოლოდ, გამონაედისის გარეშე, წყალში ან წყლის პირს ხარობს („Камыш всегда растет в воде или непосредственно у берегов“. БСЭ, XIX, გვ. 560)?

5. რეცენზინტები წერენ: „ასევე ხელოვნურად ამსგავსებს მკვლევარი ვეფხისტყაოსნია და ჩარდარეიშიანს, როდესაც ნიმ-

<sup>154</sup> ა. ბარათიძე, დ. კობიძე, გვ. 164.

<sup>155</sup> ბალდადელი თვალთმაქცი, გვ. 569.

რეზელი რაინდის „ბედაურზე“ მძღობს: „ლაგამ-აბჯარსა და უნა  
გრის ხშირად ესხა მარგალიტიო“<sup>156</sup>.

ტექსტში ვყოთხულობთ: „ყვითელ ხარზე ოქროს-უნა  
გირი დაფა და ზედ მხედრუებულიყო. თვალ-მარგალი  
ტით დამძიმებული ლაგამი ქერნდა ხერისხთვის მო-  
დებული. თავად შევი ხითანი ეცვა, დვირფასი თვლებით  
მოკვიდილი ხმილი ეკიდა“<sup>157</sup>. ეს ადგილი „ვეფხისტყაოს-  
ნის“ ცნობილი ადგილის სეთი პარაფრაზით გადმოვეცით: „ლა-  
გამ-აბჯარსა და უნაგირს ხშირად ესხა მარგალიტი“? რა დავშე-  
ვეთ მით? ხომაა აქ ნახსენები ლაგამი, აბჯარი (ხმილი აბჯრის ნა-  
წილია!) და უნაგირი? ხომ არის ნათქვამი ისიც, რომ ლაგამი თველ-  
მარგალიტთაა გაწყობილი, ხოლო ხმილი — ძვირფასი თვლე-  
ბით მოკვევილი? ამ დეტალისთვისაც არავითარი მნიშვნელობა აქ  
მოვიდა, ივი სხვათაშორის აღენიშვერ (რადგანც, კიდევ ვიმეო-  
რებთ, ჩვენ ფაბულის იდენტურობას ვამტკიცებთ და არა ხე-  
რატისა, ამისათვის კი სეთი დეტალები არ გვჭირდებოდა) და  
რა არგუმენტით უნდა ჩამოგვართვან ეს ისე. თითქოს უველაფერი  
ეს მოვონილია იმისათვის, რომ შეიქმნას „ვეფხისტყაოსანთან“ ხე-  
ლოვნური მსგავსების ვითარება“<sup>158</sup>. სად გვაქვს აქ ხელოვნური  
მსგავსება? ლაგამი ლაგამი რომ არის და მარგალიტი — მარგა-  
ლიტი? ამაზე „ბუნებრივი“ მსგავსება რაღა უნდა იყოს? რას  
ეთნიკურ აქ ჩვენ და რას ვიგონებთ?

6. დასთანის მიხედვით, ნიმრავშის მეფის სატრფო, რომელიც  
ფერის მეფეთა ასული იყო (აღმოსავლეურ ზღაპართან კვაქეს საქ-  
მე) ასესულებმა ანუ ქაფებმა უგონოდ აქციეს, ამის თაობაზე „ბალ-  
დალელი თვალომაქეების“ წინასიტყვაობაში ასე ვწერდით: „მისი  
სატრფო ქაფებს ჰყოლიათ და ახლა, თურმე, ამაზე  
ვოდებს“<sup>159</sup>. მაგრამ იმის შიშით, რომ აქ ეინმეს ქალის მოტა-  
ცება არ ამოკეოთხა, ხსნებულ გამოკვლევაში ჩვენვე ასე შევ-  
ცვალეთ: „მაგრამ ამისობაზი მისი სატრფო ქაფებმა მოხიბლეს

156 ა. ბარამიძე, ღ. კობიძე, გვ. 164.

157 ბარამიძე თვალ-თმაქეც, გვ. 569.

158 ა. ბარამიძე, ღ. კობიძე, გვ. 164.

159 ბარამიძე თვალ-თმაქეც, გვ. 5.

და უგონოდ აქციეს. ამას აქეთ იგი ქაჯთა ჭალოთი იყო შეკრული და ვაშიც ამის გამო გოდებდა<sup>160</sup>. ა. ბარაშიძე და ტაკონბაშვილები გვიდავებიან: შოთაწმის სატრუო „არავის გაუტაცნია და არავის დაუტყველია“<sup>161</sup>. მართალი არიან. მაგრამ რა შეაში კართ ჩვენ? როგორც ვნახეთ, ჩვენ არსად გვიწერია, გაიტაცეს. ვიმეორებთ, ვწერთ, რომ ვავის სატრუო ქაჯებმა მოხიბლეს და უგონოდ აქციეს. ნიშანდობრივად კი აქ ის მიერჩინეთ, რომ ასეა თუ ისე, ქალი ქაჯების ტყვეობაშია და იგი მიჯნურს მათგან ვერ დაუხსნია, ამაზე გოდებს და დაეხეტება ველ-მინდვრად.

ვფიქრობთ, დაბაისელი მეოთხეული უკვე დარწმუნდა იმაში, რომ „შოთაწმი გმირის“ ამბის გაღმოცემის დროს ჩვენ არაური შეგვითხვავს, არც „ზოგი რამე“ და არც „განსაკუთრებით მნიშვნელოვანი“.

ერთდროული გაზეთის „შოთაობის“ 1983 წ. მეორეობეტე ნოტერში ავარი შანიძემ გამოაქვეყნა სტატია „ესე ამბავი სპარსული“, საღაც ძირითადად გაიმეორა მის მიერ უნივერსიტეტში, ერთ-ერთ სხდომაზე საჯაროდ ვაკეთებული განცხადება, დიდი მკვლევარი და სატრიოტი სხვათა შორის წერს: „მე იმ აზრისა ვიყავი და ვარ ახლაც, რომ შ. რუსთველი მართალს ამბობს, როცა გულახლილად ვაუბნება, რომ მან თავის ნაშრომს სპარსული ამბავი დაუდო საფუძვლად. ამასთანავე იგი იმასაც ამბობს, რომ ეს სპარსული ამბავი მან წყობილ მრგვალიტად გადააქცია:

აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი.

იმ სიტყვებით შ. რუსთველი თავის დიდ დამსახურებასაც აღნიშნავს: აქამდე უბრალო ამბავი იყო, ახლა კი წყობილი მარგალიტია. არ შეიძლება, არ დავვთანხმოთ მას მისი ქმნილების ასეთ მაღალ შეფასებაში. მეოთხეულმა უნდა იცოდეს, რომ მსოფლიო ლიტერატურაში მრავალი შემთხვევაა, რომ ამა თუ იმ მწერალს თავისი ქმნილების სიუკეტი სხვისგან ესესხოს. მაგრამ ეს არავითრი გასაკიცხი ან სასაკუთრო საქციელი არ არის. მთავარია არა ის,

<sup>160</sup> შ. თორდევი, „ტრილა და ლამანას“ საბასეული ვერსია, გვ. 25.

<sup>161</sup> ა. ბარაშიძე, დ. კობიძე, გვ. 164.

თუ საიდან მოლის სიუკეტი, არამედ ის, თუ რა საბოლოო სახ  
მიღლო მან შეერლის ხელში, როგორ შეასრულა მან თავისი მიზან,  
რომი, როგორ ფორმებში ჩამოასხა მან სხევისგან იღებული სიე-  
რები და რა ღირებულების მქონეა მისგან შექმნილი ახალი ნაწარ,  
მოება. ამ მხრივ თუ განვიხილავთ ვეტენისტუაოსანს, ადვილად დაუ-  
რწმუნდებით, რომ ივი უაღრესად მაღალ დონეზე შესრულებული  
მხატვრული ნაწარმოებია, რომელსაც მსოფლიო ლიტერატურის  
საგანძუროში ერთი უპირველესი ადგილთაგანი უკავია. ამიტომ შეგ-  
ნებულ ქართველს კი არ უნდა ეწყიონს, არამედ დიდი კმაყოფი-  
ლებით უნდა შეხედეს ჩეენი უდიდესი პოეტის განცხადებას, რომ  
მან საარსული ამბავი გამოიყენა თავისი შედევრის შესაქმნელად”.

## II

პოემის პროლოგში ნათლად და ხაზგასმითა თქმული:

„ეს ამბავი საარსული ქართული ნათარჯმანები,  
ვით მარგალიტი ობოლი ნელის ნელი გმირები ვა და დაქმენები” (9.1-3).

აქ ნათქვამია, არც მეტი, არც ნაკლები, შემდეგი: საპარსული-  
დან ქართულ პროზად თარგმნილი ეს ამბავი, რომელიც ხელიზან  
ხელში სავოგმანებ იბოლ მარგალიტს ჰგავს, მე ლექსად გარდავთქვა  
და ამით საჭომანები საქმე ვქენიო.

მაგრამ აზრის სინათლისათვის საჭიროა, გაირკვეს, თუ რა  
ნიშნავს საჭირო მანები.

6. მარის აზრით, „კოჭმანი“ არის „блестание, сверкание,  
мычание, колебание“<sup>162</sup>. აქედან გამოჰყავს მას ამ სიტყვის ღლე-  
ვანდელი მნიშვნელობა: კოჭმანობს, მერყეობს, ეჭვი ეპარება, ქარ-  
თულის შესატყვისად თვლის ის სომხურ tot-ს, რაც ასეთივე  
მნიშვნელობით ესმის. 6. მარის განმარტებიდან გამომდინარე, შე-  
ძლება ვითაქროთ ისიც, რომ რესთველს თვეისი საქმიანობა სა-  
მიუოდ მიაჩნია და ისიც, რომ პოეტი ხეყოფანი საქმეს ჩადის.

<sup>162</sup> TR, XII, გვ. 19, შენ. B; გვ. 34.

მეცნიერი პირველ განმარტებას რჩეობს<sup>163</sup>. საექვოს მნიშვნელობაზე ესმის ეს სიტყვა ს. კეთიძეს<sup>164</sup>, ვ. ბერძის აზრით ყრდაქორედ გაღია აწყვეტი საქმე იგულისხმება<sup>165</sup>.

ჩანს, ქართულში ეს სიტყვა ყოველთვის დღევანდელი მნიშვნელობით იხმარებოდა. (თ. ბაგრატიონისაც ის ესმის როგორც „საურებელი რამ, ძნელი ანუ გასაძნელებელი რამ საქმე, ბევრს წართქმასა და უკუთქმაში რომ იყოს და ურვიდეს კაცი“<sup>166</sup>).

საინტერესოდ წაიკითხა ეს ადგილი ნოდარ დუმბაძემ: „30-ფხისტყაოსნამდე“ ჩვენ პოემა არ გვქონია, რესთველი ახალ ეანრს ქმნის და ამის გამოა, რომ თავის საქმეს საჭომანოდ მიიჩნევსომ<sup>167</sup>.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ საკონკრეტო საქმე და რუსთველი მიიჩნევს განმაურებულ ნაწარმოებას: მე რომ გავლექს, ის პროზაული ნაწარმოები საყოველთაოდაა საქართველოში ცნობილი, ახლა კი მოვდივარ მე, რუსთველი, და ვიძლევი ჩემს ახალ ვერსიას. და რადგანაც ეს ქართული პროზაული ამბავი ასე კარგია, ხოლო მისი ხელახალი გადამუშავება, ჩემი პოემა, ჯერ პრობირებული არაა და კაცმა არ იყის, როგორ მიიღებენ მას, ამის გამო ამ ალირებული და საყვარელი პროზაული ძეგლის გადამუშავება სათავილო, საჭომანებ საქმედ მიმაჩნია, — ვაი თუ ისეთი ლირისეული ძეგლი, როგორიც ეს ქმნილებაა, შესაფერისად ვერ გარდავთქვაო!

163 „ეს სპარსული ამბავი, თარგმნილი ქართულ ენაშე რომელიც ხაშს ხელიდან ხელში [ფრთხილად] აღორო, მე ვპოვ, გავლექს და ამით ჩემიდან დიდი საქმე“.

სხვაგან ნ მარი ასკენიდა: „მოულედ, XII ს. არსებობდა პროზაული ამბავი ტარგმანისა და ნესტანდარქანის შესახებ, თარგმნილი სპარსული ქნიური, რომელმაც, ბუნებრივია, იწყო გაქრობა, რესთველის ქმნილების გამოჩენის შემცვევა, რაღაც იყო ამ რომანტიკულ შინაარსს უფრო მომხიბლავი ფორმით გადაწისცემა“.

„ხელისხელსაგოგმანები“ თხზულების განსაზღვრება კი არ არის, არამედ — შარგალიტისა, თხზულება შედარებელია ისეთ მარგალიტს, რომელიც ხელის ბეჭისე გორგობს (მსხვილ მარგალიტს). მაგრამ შედარებაში მარგალიტის ძეგარებით გორგობლება ნიშანდობლივი და არა მისი ხელისხელ გორება, — თხზულებას ხელის გრძელ კერძო კავკავრება.

164 ვ. ფ. ა. ი. სტუკათვის, თბ., 1927, გვ. XCVII.

165 ვ. ბერძის კერძო რეკრიუმი, რესთველი მოღვაწები, კრებელი შეაღვინა. მეტელიძემ, თბ., 1961, გვ. 280.

166 თ. ბერძის კრიონი, გვ. 8.

167 ნ. დ უ მშავე, ჩემი ევფისტყაოსაზე. „ცისქარი“ 1976, № 7, გვ. 96.

ასეთი საქმიანობა ლიტერატურაში უპრეცენდენტო არ ყოფილია. მაგალითად, სპარსულ ლიტერატურაში ფალაურიდან მართვა სპარსულზე პროზით თარგმნილი „ვას“-ო რამინი“ ლექსიდან გადასცემის დაითქვა. ასევე, ობაბულიდან სპარსულ ენაშე პროზით გადამოწული „ქილილა და დამიანა“ გალექსია რუდაქიშ, ხოლო სწორები რუსთველის ხანაში მისი მრავალი ლექსითი ეკრისა შეიქმნა არა ბულ და სპარსულ ენაზე. პროზაული ძეგლები ედო სათუმჯელად „შაპ-ნამეს“, ნიშამის ხუთ პოემის და არა ერთ სხვა სპარსულ თხზულებას.

ქართული პოეზიის იმ სეებუდნიერ ეამს აქეთ, როცა პოემა „ვეფხისტყაოსანი“ დაიწერა, უკეთ ძნელია, წარმოვიდგინოთ მასების შემცველი სხვა მიღალმხატვრული ნაწარმოების საღლაც გვილის სილრმეში ჩეენ აპრიორულად უნდობლობას ვუცხადებთ მას. ეს გრძნობა გახსაგებია. მაგრამ განა ეს გვაძლევს უფლებას სპარსული ამბის ქართული პროზაული „თარგმანის“ არსებობა არ დაუშვებთ და, კიდევ მეტა, რაც გინდ მოკრძალებული იყოს მისი განცხადება, არ დაუშვეროთ პოემის ავტორს და არ გაღიაროთ, რომ აღმოსავლური ამბის ის პროზაული ქართული ხორცესში მაღალმხატვრული იქნებოდა! მაშინ ხომ ჩეენ დაუშვებენანგებოდა იმ ფანატიკოს მუსულმან პილიგრიმებს, რომლებიც მაღანაში მუკამედის საფლავს რომ მოილოცავენ, გვარვარებული ვეურის იშრეტენ თვალებს, — თვალი, რომელმაც ყველაზე წმინდა დაჭალი ნახა, სხვა ნივთთა და საგანთა შეხედვით არ წაგვებილწისი! არაა დაუშვებელი, რომ XI-XII საუკუნეებში ჩეენ, ქართველებს მართლაც გვქონდა პოპულარული პროზაული ქმნილება. როდა განუენებულად ვიმსჯელოთ: სწორედ ასეთი ხსიათის ერთი სხვა ძეგლი ჩეენ უკვე გვეკრიდა სწორედ იმ ხანაში. მხედველობაში გვიქანდა „ვისრამიანი“, ასევე სპარსულიდან პროზით თარგმნილი ქართული წიგნი, რომელიც ასე პოპულარულია XII საუკუნიდან მოყოლებული დღემდე (ქართველად მისი 21 ხელნაწერი და ხუთი გამოცემა არსებობს). და თ, ეტუთა, ასეთი ხსიათის და წარმომავლობის, სპარსულიდან ქართულად პროზით თარგმნილი თუ გაღმოყენებული, საყოველთოდ პოპულარული, ძეგლის გალექსის მომჟიდა ხელი პოემის ავტორმა.

ჩვენ ზემოთ უკვე მიღეთითეთ ანალოგიურ შემთხვევებზე სპარსულ ლიტერატურაში. მსგავსი მაგალითები ქართულშიც გვაქვს თუ სპარსული „ცის-ო რამინის“ ქართული პროზაული თარგმანი, ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის შედევრი „ეისრამიანი“, ლექსიად გარდათქვა პოეტმა არჩილმა (1647-1713).

თავის ღრიაზე იუსტინე აბულაძე უფრო მეცნიერული ალლორი, ვიდრე პოემის საფუძვლიანი ანალიზის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პოეტის არაერთგზისი განცხადება პირდაპირი გნიშვნელობით უნდა გაეიგოთ, — რუსთველმა აიღო სპარსულიდან ქართულად თარგმნილი, საქმაოდ მტკნარი ამბის შემცველი თხშულება და თავისი გენით იგი მსოფლიო ლიტერატურის შედევრად აქცია<sup>168</sup>. იუსტინე აბულაძეს თავისი დებულების დასამტკიცებლად რაიმე ფაბულები არ მოუძებნია, მაგრამ ამით მის დასკვნებს დამაჯერებლობა არ ეყარგება.

პოეტმა რომ მანამდე უკვე ცნობილი პროზაული ძეგლი გაღეჭსა, ეს სხვა საბუთებითაც დასტურდება. შესავალში რესოველი გვაწყებს:

„მიბრძანეს მათაც საქებრად თქმა ლექსებისა ტუბილისა, ქება წარმოადა და წამწამთა, თმთა და ბაგდ-ებილისა, ბროლ-ბალაშისა თლილისა, მით მიწოდით მიწყობილისა, გასტესს ქვასაცა მაგარსა გრძელები ტყევისა ლბილისა.“

ამ სტროფზე მოელი ლიტერატურა შეიქმნა. იმთ, რომელთაც აქ ბრძანების მიმცემად თამარი მიაჩნიათ, ეჩოთირებათ, — როგორ მოხდა, რომ თამარმა პოეტს უპრძანა: ჩემი ლოყები და კბილები მოქეო<sup>169</sup>. იყო ცდა, შეერბილებინათ ეს ბრძანება: „მიბრძანეს“ ეგებ აქ წინადაღების მიცემას ნიშნავდესო<sup>170</sup>. ზოგი ამასაც ფიქრობდა, აქ მარტო თამარის ქება კი არ ებრძანა რესოველს, არამედ

<sup>168</sup> იუსტინე აბულაძე, რესოველილიგიტი ნოტიომები, გვ. 176.

<sup>169</sup> ი. სარავაშვილი, ვარსისტუატის ყალბი აღვიდები, „შოამე“, 1895, XI, 83, 9-12.

<sup>170</sup> მ. ქანაშვილი, „ივერია“, 1899, 4 მარტი.

სხვისიც (რაღვან „მათად“ იქოთხება), ეს სხვა კი დავით სოსლაშვილის უნდა იყოსოს<sup>171</sup>.

6. მარი ასე თარგმნიდა ამ სტროფს: „დავწერე მე ის ბრძანები, შოთ თეთოთნ მეფისა, რომელმაც მიბრძანა შემექო მისი წარბი, წამწამი, თმა და მიჯრით მიწყობილი ბროლის კბილები“<sup>172</sup>.

მისი აზრით, აქ „ვეფხისტყაოსნი“ კი არ იგულისხმებოდა, არამედ რუსთველის სხვა ნაწერები, შემთხული თამარის საქებად<sup>173</sup>. მაგრამ, თუ ასეა, გამოდის, რომ თამარი თავისი საქები ლექსების წერას თვალ უკვეთავდა პოეტს. ხოლო ეს უკანასკნელი არც მალედა ამას, პირიქით, საგანგებოდ აღნიშნავდა.

ჩვენ ეჭვი გეპარება: ამ სტროფში თამარის ქებაზე არის ელაპარაკი? რა თქმა უნდა, აქ თამარის ქება არაფრით არაა საწილი თირო, თუ დავუშვებთ, რომ პოეტს არა თამარმა, არამედ სხვებმა უბრძანეს ეთქვა ეს ქება. უხერხულობის ის კი არ ქმნის, რომ თამარმა უბრძანა პოეტს, შემაქო, არამედ ის, რომ პოეტი აცხადებს ამას; თამარმა თავისი სილამაზის ქება დამიკვეთათ. ხომ შეიძლებოდა, რომელიმე ჯგუფს ან პირს მიეცა რუსთველისათვის ასეთი დავალება. მაგრამ ასეთ გამოსავალს არ უშევებენ, რაღვან ასეთ შემთხვევაში რუსთველის გენიალური მეტაფორა, — ალმასს ტყვიას გრძელი გასტეხსო, — შეუფერებელი გამოდის (ტყვიას თამარი უნდა იყოს შედარებული და არა მისი მამაკაცი დოდებულები, — თამარი ქალია და ტყვიასაა, რუსთველი, — მამაკაცი და ალმასია, მაგრამ ტყვიას აქვს თვისება — სძლიოს ალმასს).

მსგავსად იმდროინდელი სპარსული ეპიკისა (ხოლო, როგორც თავში უკვე ალვნიშნეთ, „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის თემათა მსგავსება სპარსულ პოემებთან ქადია), პოემის შესხვალში უსაფრთხოდ ნაქები უნდა იყოს პოეტის პატრიონი, აქ — თამარი. ეს ქება შესხვალში მართლაც იქოთხება:

171 ს. ქვარიანი. შოთა რუსთველი და მისი პოემი, თბ., 1914, გვ. 20; ქ. ეკვილიძე, („რომელი არაბუნებოდით, გომის გერიანებინა პოეტისათვის, მისი რძეების, თვით ასამარის, მას მისი, თამარის, წარბი, წამწამი, თმა მაკებელი“), 11, თბ., 1958, გვ. 109.

172 Н. Я. Марр, Об истории, гл. 71.

173 იქვე.

„ეს პშევრის, — ლომისა, — ხმარებს, შეგძისა, ფარ-შიმშეტისა,  
— შეფისა, მხის თამარისა, ლავაზალუანშ, თმა-გაშერისა, — ეროვნული  
და არა ვაცი შეექალტო შესხმა ხლაბისა, შე, რისა, ეროვნული  
მისია მცველეობით ყანდისა შირთმა ხაშს მართ, მი, — შეკრძილებითაც  
და

თამარს ვაკებდეთ შეუსა სისტემა ტრემლ-დათხელი,  
ვომეტი ქებაზ ვისი მე არ ავად გამოიჩინებული,  
შეუად იმიმართ გრძის ტბა და ფალად მე ჯა ჩხერილი,  
და ვიწყა ისძინოს, დაცვის ლამართ გრძა ხერია”.

თამარის ქება აქ თავდება და იწყება პოემის შესაცლისთვის  
ასევე აუცილებელი სხვა კომპონენტი. წიგნის დაწერის მიზეზი:  
„მიბრძანეს მათად საქებრად თქმა ლექსებისა” და ა. შ.

ვინ არის:

- 1) ის, ვინც ბრძანება გასცა და
- 2) ის, ვინც უნდა შეაქონ?

რაღვან ამ ნაწილში წიგნის დაწერის მიზეზზე ლაპარაკი,  
გუნდბრივია, ვიციქროთ, რომ ბრძანების გამცემი პოეტის პატრო-  
ნია. ე. ი. თამარია, ხოლო ის, ვინც უნდა შეაქონ. შეკვეთილი ამ-  
ბის პერსონაჟი (თუ პერსონაჟები) უნდა იყვნენ. ჩვენს ყურადღე-  
ბას იქცევს ამის თაობაზე თეომურაზ პირველის ერთი ცნობა, რო-  
მელსაც დღემდე საამისოდ ყურადღება არ შექცევია.

თავის პოემში „მიგნურთ აშავე ისცებისა და ზილინანისა”,  
სადაც პოეტი მოკლედ გადმოვცემს „ეფთხისტყაოსნის” შინაარ-  
სია და მისი დაწერის მიზეზს, თეომურაზ პირველი გვაუწყებს:

„მეფეს ენება სპარსული თქმათ ქართულისა ენითა,

„მეფეს და თქმა მეფისოთ”, უბრძანნა ლამშნ ბრძნად  
შექმა უენითა,

ნიჭი ლიტევა უზიმო, მოაგდ ვარ მოქმედითა,  
მიწნერი მიწნერთ საქებრალ დაწლა, გლახ,  
ტრემლთ დენითა”<sup>174</sup>.

174 თეომურაზ პირველი, თხზულებათა სრული კტებული, ი. შა-  
რაშიძისა და გ. ჯავახის რედაქციით. თბ., 1934, გვ. 62.

ჩვენს ყურადღებას იქცევს თეომურაზის მოსახრება არჩილის „გამასაცემის”  
მიხედვით:

როგორც ეხედავთ, თეიმურაშ პირელის განვიარტებითაც, თუ მართ რუსთველს ავალებს, შეაქოს, მიჯნურები: ტარიელ-ნიკარუნა და ავთანდილი-თინათინი, ე. ი. თამარს, რომელსაც სხვაგან სუკებს პოემის ავტორი, პოეტისათვის უბრძანებია შეექო სილაში არა მისი, თამარისა, არამედ „ვეფულისტყაოსნის“ გმირებისა.

მაგრამ თუ ეს ასეა, ცხადი ხდება, რომ „ვეფულისტყაოსნის“ ამბავი მანამდეც არსებულა. მართლაც და, ნაწარმოებში, რომელიც თავისი მმრდანებლის დავალებით დაწერა და მასვე უნდა მართმეოდა, ავტორს როგორ შეეძლო, პოემის შეკვეთისა და დაწერის მსტორია ისე არ გადმოეცა. როგორც ეს სინამდევლეზე იყო: როგორ შეეძლო, არარსებული ამბის ვითომ არსებობა მოეგონებინა და მასზე ეთქვა: ხელი-ხელ საგოგმანებ მარგალიტს ჰვაკი, ისე კარგია! მით უშერეს, რომ, ვიმეორებთ, პოეტის ცნობილნ გარკვევით ჩანს: მას თამარმა ზოგადად კი არ მისუა დავალება, კინე შეკვარებულის ამბავი გალექსეო, არამედ კონკრეტული პარების („მათაც საქებრად“), მისთვის, თამარისთვის, რუსთველის გარეშეც არსებული და ცნობილი (ეტყობა, საყვარელი)

---

„ჩახრებაზეც უწინ არ თქვაზ რაც იპარავ პირელ თქმასა?

რას მიერი მას რიტოოსა, არ ანებებ მისსა მასა—?

ფიქრობენ, თოქოს აქ უნდა იგულისხმებოდეს თევესმეტმარტყელიანი ლექსი, შვილი, რომელიც „ვეფულისტყაოსნებზე“ აღრიც „თამარიანის“ გვხვდება (კ. კე-კ ე ლ ი ძ კ, II, გვ. 146). შეიძლება ეს ასეც იყოს, მაგრამ არაფრინ არ არის გამორიცხული, არჩილის მიერ აქ ის იყოს მინიშნებული, რომ ამ პოემის ამბევი ჩაუთველზე აღრე ჩახრებაზემ თქვა.

თეიმურაშ პირელის მიერ გამოთვემული მოსაზრების (რუსთველმა ან სხვისი, კერძოდ, თამარ შეფის დაყვეთოთ გალევსა ტარიელისა და ნესტონის მა-ბავი) ჩატონალურობა, ბენებრივია, არჩილს მხედველობიან არ გამორჩეოს, თავის „გაბასებაში“ იგი თეომურაშ პირელს ათებევინებს:

„ნემონაზ შეკ კინ ჩაგადებს, რაცა სოჭვი, — იძულებითა,

თამარ მეფებან გიბრიძანა, დაცი იყო თუ ნებითა“

არჩილის სხვა ცნობას, რომელსაც ის თეომურაშ პირელის პირით გმოთ-შეამს („ერთი ამბავი არწყე, ბოლოც სხვათ შევითავესა“), კ. კე-ლიძე ასეთ იძულერპრეტაციას აღლებს: „აქერ კიდევ XVII საუკენეში, არჩილ შეფის ჩრის, საზოგადოებას შეეგნებული აქონია, რომ კულალერი ის, რასაც იმდროინდელ ხელნაწერები შეიტყვდეს, რუსთაველს არ კურთვნის“ (კ. კე-კ ე ლ ი ძ კ, II, გვ. 100). მაგრამ აქ ხომ შეტია თემული კერძოდ, აქედან ეგვეგბოთ, რომ: 1. ჩრის თეველის პოემა და მისი გაერმელება, თეიმურაზის აზრით თე არა, არჩილის აზრით მათცა, „ერთი ამბავია“. 2. რუსთაველს მისი მხლობლი დასაწყისი პერიოდი დამტკვებული. ამბავი კი ამით არ დაგრება და გრძელი, დანარჩენი ნი-წილი არ დაუმოგრებელი ამბისა სხვებს დაუმთავრებელი.

უერსონაუების დასტუა უბრძანა. გაეცხვენოთ ნიშანი: როგორც  
კოეტი თავად ვადგმოსცემს პროლოგში, შარვანშა ზოგადად ციფრული  
უთვლის პოეტს, რამე პოემა დაწერე ჩემს სახელზეო, არაშედ  
ავალებს (თუ თხოვს): ლეილის და მაგნურის ამბავი რომ არის  
აյე ცნობილი, ისე გალაქტეო! აქ კი კადევ ერთი საბუთოთ დას-  
ტურდება, რომ:

1) რუსთველის დროისთვის ქართულად „ვეფხისტყაოსნის“ ფა-  
ზულის მსვანეო, პროზაული სიუჟეტით ხორციელისმელი ფაბულა  
ასებულა. რუსთველის იგი გამოუყენება და თავისი გენით და-  
უჩრდილავს. რაღაც „რა ბრწყინვალე მზე ამოვა, ვარსკელაუები  
დაბნელდების“<sup>175</sup>.

2) „ვეფხისტყაოსნი“ მეფის დაკვეთით ყოფილა დაწერილი  
ასე, როგორც მრავალი ძეგლი მსოფლიო ლიტერატურაში.

3) პოემის წერა რუსთველს თამარის სიცოცხლეში დაუწყის<sup>176</sup>.

### III

პოემის ასეთი წარმომავლობის გათვალისწინებით შეიძლება  
სხვა საერთხებიც წამოივრას. დავაკვირდეთ ცნობილ სტროფს:

„მირან დარკვინის ძე მისეს უქია ხომელსა,  
აბდუშელი — შევთელსა, ლევის ძის ვერს რომელსა,  
ლილარგათ — სარგის თმოგველსა, მის ენა დაუშრომელსა,  
ტარიელ — მისა რუსთველსა, მისოვის ცრემ-შეერშემელსა.“

რატომ მაინცდამინც ეს ოთხი ნაწარმოებია ჩამოთვლილი ამ  
სტროფში? ნეთუ შეასაცეულების ქართულ ლიტერატურაში ამ ოთხ  
ძეგლზე მეტი შეაღევრი არ შექმნილა? ვთქვათ და მართლაც ასეა,  
რა მოსაზრებით ჩამოთვალა მისმა აეტორმა ეს ოთხი ნაწარმოები:  
ლიტერატურა მიმოიხილა? მაგრამ რა მისნით? პოემის თვეში ან

175 „შავნაზე“, II, გვ. 191.

176 ირანელი შეცნობები „ვეფხისტყაოსნის“ იცნობენ (ზოვი — სპარსული  
თარგმანებით, ნაწყვეტებით, ზოგი ინგლისურით), მაგრამ ფაბულის მგავსე-  
ბაზე არაუგრძნის წერენ (იხ.: ვამსაქ ზარმეტუბ, დასონი-ე უალანგენე ფურშ. მაგა-  
ლენი დანერქაუ-ე აღამიშათ ვა ლაუშ-ე ერსონ, მაშაქ, საჭ-ე შაშობ, № 4, გვ. 721).

ბოლოში საერთოდ ლიტერატურის მიმოხილვის რა აზრი ყნ.  
და პქმნოდა. და არცა გვაქვს ასეთი მაგალითები. ასეც რომ იყო,  
წევნ ხომ ვიციოთ, რომ ამ დროისათვის ქართულად არსებოდა  
საკა ძეგლებიც, მაგალითად, „ვისჩამიანი“, შეიძლება, „თამარინი“.  
რატომ მათ არ ასახელებს ამ სტროფის ავტორი?

საქმეს ოოლად არც იმით მოევლება, თუ დაეცემებით, რომ ეს  
სტროფი სხვის მიერაა ჩამატებული. — ძეგლი დროის მწიგნობაში  
ა, ნებისმიერი, მისგან თვეალსაჩინო ქმნილებად მიჩნეული თიხი  
აჩხულება ყოველგვარი პრინციპის გარეშე ჩამოთვალა?

დავაკვირდეთ აქ ჩამოთვლილ ძეგლებს, იქნება ისინი პაიპა-  
რად არ არიან აქ დასახელებული, იქნება აქვთ მათ ერთმანეთთან  
რამე საერთო?

სანაც ამას გავარჩევდეთ, გაეიყითხოთ, იყო თუ არა ტრადიცია  
პოემის თავში ან ბოლოში რამე ნაწარმოებების ჩამოთვლისა და  
თუ იყო, რა შემთხვევაში და რა მიზნით?

ასეთი ტრადიცია იყო. მაგალითად, სპარსულ პოემათა აეტო-  
რები ასახელებენ ძეგლებს. რომლებიც ამ პოემის თემებ-  
ზე იყო დაწერილი. ხან დეტალურად გადმოგვცემენ ამ ფაბულის  
სტორიას, ხან გავვრით იხსენიებენ ასეთ ნაწარმოებებს და მათ  
აეტორებს. ასე მოუთითებს „ვას-ო რამინის“ ჩეენთვის ცნობილ  
სპარსული ვერსიის აეტორი ფახრ აღ-ღინ გორგანი ექვს მის წი-  
ნამორბედზე<sup>177</sup>, ასე შეგვასხენებს ფირდოსის თავის წინამორბე-  
დებს, ცნობილ პოეტ დაყრის და განსაკუთრებით ხშირად ვიზე  
დეპყანს (მიწათმოქმედი? ფეოდალი?), რომლისგანაც მის მოაქვს  
ესა თუ ის ეპიზოდი თავის ეპოპეიისა<sup>178</sup>. „ქილილა და დამანას“  
სპარსულ ვერსიას, როგორც ეს მის ქართულ თარგმანიდანაც  
ჩანს<sup>179</sup>, ამავეს შესავალი, საღაც დაწვრილებით არის გადმოცე-  
მელი ამ კრებულის შექმნის ისტორია და დასახელებულია მის  
პირველი აეტორები.


როგორც ერთხელ უკეთ აღვნიშნეთ, „ხოსროე-ო შირინში-  
ნიხამი საგანგებოდ ჩერდება პოემის ამბის წარმომავლობაზე და  
ასახელებს თავის წყაროებსა თუ წინამორბედებს:

<sup>177</sup> ვას-ო რამინ, გვ. 26.

<sup>178</sup> შირინ ვაკე, ჩილ-ე ავვალ, გვ. 7.

<sup>179</sup> ქილილა და დამანა, გვ. 190.

„ხოსროვისა და შირიმის“ ამბავი უცნობი (დაფუძული) არ არის,  
გამარტინ უკეთესი დასთანი მართლაც რომ არ არსებობს.



\*\*\*

იმ მხარის ძეველი ისტორიიდან ჩე ამ განა-წიგნი გავეცნი.

\*\*\*

გრძელია, რომელმაც ამ ამბავს ხორცი შეასხა (გალექს),  
მათი სასიცვარელი ამბავი [პოემიდან] ამთავრობდა<sup>180</sup>.

ნიზამის მეოთხველმა იცის, რომ პოეტი აქ ფირდოსის „შეპ-  
ცემეს“ ერთ-ერთ წიგნს (ხოსროვ ფარვიზის შესახებ პოემას) გუ-  
ლისხმობს.

სპარსული ლიტერატურის ეს ტრადიცია ქართულშიც გად-  
მოჰყეა სპარსულიდან გადმოკეთებულ თუ თარგმნილ ძეგლებს.  
ასე, მაგალითად, თეიმურაზ I, გავვაცნობს რა სპარსელ ავტორებს,  
რომელთაც იგი ეგიბრება ამა თუ იმ თემის დამუშავების დროს,  
„ლეილმაჯნუნიანის“ შესავალში წერს: „ლეილმაჯნუნის ამბავსა  
შინ სადის დაეცეცილებინ“<sup>181</sup>, ხოლო „ვარდბულბულიანის“  
თემის დამუშავების გამო გვაუწყებს:

„გაებნა ერთმანეთსა მოლა აჯამ ბრძენთა ბრძენშან  
ბრძენბრძა — ვათლი, ვარსა — ბრძენბრძა სიტყვა ტემილი ენა გრძელშან.  
შეერწო ძალი ლვთისა, მე დაეიწყო თარგმანება“<sup>182</sup>.

ასევე, ნოღარ ციციშვილი თავის „შეიდ მთიებში“ გადმოგ-  
ვცემს ამ ამბის დამუშავების ისტორიას:

„... ამბავი სპარსელების გონებამიუშველოშელი,  
ნიზამის უთქვაში განკულა აა, ბრძენთა ბრძენშია რომელი;  
მას ებაძავს ხოსრო დაქალავი, მუნ ენალაუშროშელი,  
მას წოსრო სკობს თუ ნიჩამი, ვართ შისი მიუხვდომელი.

<sup>180</sup> ქართველი ხოსროვი შერჩნევა პაქტები ნიზამი კომი

შავი ბე განგივი, ოქტომბე, 1333, გვ. 32.

<sup>181</sup> ანდონ საუნგი, IV, გვ. 25.

<sup>182</sup> იქვე, გვ. 48.

ნავის ეს ამბობდა ჩალათურისა და ცნოთ  
ერთვამს და მისებრ მელქეს სხვა კინმცია უაშტენითი  
კადა კამის ტრავამს სპარსულად მეტა ჰყულობის გადაწყვეტილ  
იღებს ყოველი მეოთხეული მათ თოთთა ლექსთა სერიით.

ეს გავაგო მიეხვდარმან მათ თოთთავე ლექსთა ქედზე  
მათთა ლექსთა მიასწავებს მათი სიბრძონო ასავსებს;  
მცირს ქართველებრ მათთა ლექსთა გამოთარებით, გალექსიდა,  
უკითხო გავტოდ საქმე ძნელი, თუმცა ჩემგან ვით ვაგძა<sup>183</sup>.

ახლა კი პირველსაც სიტყვას მოვიდეთ. ვნახოთ, რითა უკ-  
ფხისტყაოსანში „დასახელებული თოთი ძეგლი ნიმუშდობლივი და  
ქვეთ თუ არა მათ ერთმანეთთან რამ საერთო.

როგორც ზემოთ მ. ჯანაშვილის ექსკურსიდან დაერწმუნდით,  
რომ ძეგლთაგან ორის, „ამირანდარეჯანიანის“ და „უეფხის-  
ტყაოსნის“ ეჭიშოდებს ბევრი რამ ქვეთ საერთო. თავად „ამირან-  
დარეჯანიანშე“ მსჯელობის დროს ისიც უნდა მივიღოთ მხედველო-  
ბაში. რომ მისი სიუკეტი შეიცელებოდა სხვადასხვა დროს, სხვა-  
დასხვა გადამშევებლის ხელში. და ეს თავად ამბავთა დალაგე-  
ბესც ეტყობა, — იგი რომ ვზადაგზა შეცუცვლიათ და გადაუკეთე-  
ბიათ, ეს აშეარაა. ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა ყურადღე-  
ბას ექცევს თვით საკუთარი სახელი ამირანდარეჯანისძე. ჩვენს ხელთ არსებულ პროზაულ ტექსტში იშვიათად, მაგრამ მა-  
ინც ეს პერსონაჟი უკვე ისხენიება ხან როგორც ამირანი,  
ხან როგორც დარეჯანისძე (ლ. ათანელიშვილის მიერ საუკეთესოდ  
გამოცემულ ტექსტში ე. ი. ამ დროის (თუ წრის) მკითხველი-  
სათვის ამირ ანდარ ჯაჭან („ქვეყნის ამირა“, „ერთადერ-  
თო ამირა ამ ქვეყნისძე“) უკვე გამცვირვალე და გახაგები იღი  
არის, ტრადიცია მისი წაეითხვისა და აღქმისა უკვე დასუსტებუ-  
ლია. ზემდეგ ხანებში სწორედ ამირან ფრამით გავრცელდა  
ეს სახელი, მაგრამ ეს მისი საფუძვლის მექანიკური ტრანსფორმა-  
ციის შედეგი და ისე კი არ უნდა ქნეს გაგებული, თოთქოს ეს  
გირი სახელად ამირანია, და იგი დარეჯანის შეილია, როგორც ეს

<sup>183</sup> ნორარ ციციშვილი, შეიდო მოიგბი, პროფ. პ. კაპელიძის რე-  
აქციით, წამოკლევით და ლექსიერით. 1930, გვ. 2.

7. ნუცუბიძეს პვონია<sup>184</sup>. სხვათა შორის, ასევე შექმნილი ნუცუბიძე არ ჯავან საკუთარი სახელის წყვითხევის ტრადიცია აღმოჩენილია ფხასტუასანში<sup>185</sup> მთლიანადაა შენახული, ეს პერსონაჟი ან ნესტანგანობით (დღეს ცნობილი საკუთარი სახელი ნესტანი „ვეფხისტუასნის“ ხელნაწერებში არ გვხვდება, ეს ფორმა ორგერ იყოთხება გამოცემითა სათაურებში, ფორმაც და ეს სათაურებიც გამომცემლების მიერია და არა ხელნაწერთამიერი). ეს მთა უფრო მოულოდნელია, რომ „ვეფხისტუასანში“ აღმოსავლეური წარმოშობის საკუთარ სახელების უმეტესობა მეტისმეტად არის სახეცვლილი). აქ კვლასზე ნიშანდობლივი მაინც ისაა, რომ თხზულების პერსონაჟი სავარსამიძე მეფე აბესალომს უკვება ამირანის ამბავს, როგორც უკვე წიგნიდ დაწერილს: „ათორმეტონი კარნი არიან პატრონისა ჩემისანიონა<sup>186</sup>. შემდგომშიაც ის არაც წიგნის მიხედვით აცნობს მეფეს ფალავანთა მმების: აქ ამის კარი იწყება, აქ თავდებათ. რა კარებზეა ლაპარავი? ვთიქრობთ, აქ ისეთი სურათია, როგორც „ქილილა და დამანაში“, საღაც ბარზე, წიგნის იეტორი, შემდგომ ვერსიებში ფაქტიურად თხზულების გმირად არის გამოყვანილი. ეტყობა, „ამირანდარეგანიანის“ ჩენენოვის ცნობილ ვერსიის წინ უძლოდა სხვა ვერსია<sup>187</sup> და ამ ტექსტის იეტორიც, ვფიქრობთ, სავარსამიძის სიტყვებით სწორედ იმ ვერსიას გულისხმობს. შეძლე-

<sup>184</sup> «...Восневал героя Амирана — сына Дареджани». III, Нуциуბидзе, Руставели и восточный ренессанс Тб., 1947, № 149 с. № 3.

<sup>185</sup> მთხვე ხოცული, ამირან-დარეგანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოცემა და ლუქსური დატერთ ლ. ათანელიშვილმა, თბ., 1967, გვ. 29, ჩვენი აზრით, ეს შეძლევეთ არ უნდა გავითვალიეროთ ისეთ ლიტერატურულ ხერხებთან, როგორც გვაქვს არაერთ თხზულებაში მაგ: „რამათაში“ (მეტრული ვალმიერი ამავე სახელწოდების ერსიაში) თვითონ იეტორი გამოიდას თავისივე თხზულების პერსონაჟების იგი აღმართებულია რამას შეიღებისა); „მოვარის მოტაცებაში“ (რამანის პერსონაჟები თხზულების იეტორთან ერთად მეზავრობდნ) ანდა „ლონ-კოხტებში“ (ლონ-კოხტი, პერსონაჟი, წიგნის II ტომში უკვე იცნობს მასზე დაწერილ თხზულებას).

<sup>186</sup> მ. ნუცუბიძის აზოთ, უნდა ასებულიყო X საუკუნის პოემა ამირანის შესახებ, მის ხონელი სწორები მისი იეტორი, ხოლო ღლემფე შემოჩენილი პიონიერი ვარსა პოემის გადმოუწევდა (იხ.: III, Нуциуბидзе, Руставели и восточный ренессанс, გვ. 148).

მოსკ ხონელის პოემაზე ი. მეცნიერის აზრით, ამირანშე ასებული ცალკეული ტემებიდანი (იქ 30, გვ. 163).

ბოლა, იგი უფრო პევანგმოდა „ვეფხისტყაოსნის“ ამბავს და თევისი ხასიათით უკვე საგმირო-რომანტიკული ყოფილიყო და ამ საუთალევნო. შემორჩენილი „ამირანდარეჭიანიანის“ საექვო შედგინობა, სტილი და ლექსიკა შეიძლება იმაზე უთითებდეს, რომ იგი იმ ძევლი, XI-XII საუკუნეებში უკვე არსებული (შეიძლება ლექსითი) ერთსის გადმოკეთება. მას ბევრი აღმოსავლური და თანი, მათ შორის „ყესა-აე ჰამზას“ ამბებიც გარევა.

ამგვარად, „ვეფხისტყაოსნის“ და „ამირანდარეჭანიანის“ შენაარსობლივიც და სხვა ხასიათის მსგავსებანი, ჩვენი აზრით, იმაზე კი არ უნდა უთითებდეს, რომ პირველმა განიცადა მეორის გავლენა, როგორც ამას იღნიშნავთ (ხ. ვიკინაძე, შ. ნუცუბიძე, გ. ჯანშვილი), არამედ იმაზე, რომ ორსავე პოემას ერთი ფაბულა უძევს საფუძვლად<sup>187</sup>.

მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ ის ორი დანარჩენი თხზულებაც ასეთსავე ფაბულაზე აგებული უნდა იყოს. განვითალოთ ისინიც.

როცელ სურათს ქმნის ამ სტროფში მოხსენიებული დალარგეთი. აქ რომ მხატვერულად ასახული რაღაც ამბავი იგულისხმება, ეს მეცნიერებაში არც ეჭის იწვევს და არც დავას. რუსთელოლოვნები წევულებრივ აქ გულისხმობენ წევნამდე ირმოლწერ თხზულებას, რომელსაც პირობით „დილარგეთიანის“ სახელით ნათლავენ ან „დილარიანის“ უწოდებენ. თითქოს საქმეს უფრო ართედებს ე. წ. „ხევარიშმელთა ამბის“ („ვეფხისტყაოსნის“ უსუსური უგრძელების) შესავალსა და ბოლოსიტყვაობაში დაცული ასეთი ცნობა:

დიახ, ცვრანია, რომ თავიდან სწორედ ამირან დარეგანზე (ამირან ანგარ გამწნე) უოფილიყო ამბავი ანც, უკეთ რომ ვიქეათ, ამბის პერსონაჟი ამირანდარეჭანიანი უფილიყო.

რაც შეკენება ამირან დარეგანის ძეს, იგი მხოლოდ ამირ ანგარეგანზე შექლებ განჩნდებოდა, ის თხზულება, რომელიც შემოგვრჩა, სხვა ჩანს. ამ თეატრაზე ამირ ამდარ გამანის შესახებ დაწერილი თხზულების პერსონაჟთა შეილებზე დაწერილი ანალი თხზულების შთაბეჭილებას სტოკებს.

<sup>187</sup> ულებდა რა პარადელებს „ამირანდარეჭანიანის“ და „ვეფხისტყაოსნის“ შორის, კ. ლონგერა წერდა, „ამირანდარეჭანიანის“ და რუსთელელის რომანტიკული პოემის არა მარტო ცალკეული მოწიედების, არამედ შთელი ჩივი ციინოდების ერთიანობა უსათუდო ლამარაუბოს საერთო ლიტერატურული ფონზე სასარგებლოთ, მშივნობრელისა თუ ზეპირისა, რომლისავინ ლებელობდა თავინთ სახელით მოივ ეს ძეგლი“. (II. დოიდა, გვ. 93, ხაზ ჩვენია — მ. თ.)



„კვირი ნარჩობნი ამბავნი ღვერდის და ვოქტის, გარჩეული მიზანის და დაურჩი უთქმილ, მას ეს დავაბარენი თუ დამარცხებული უნდა იყოს“ დაურჩი უთქმილ, მას ეს დავაბარენი თუ დამარცხებული უნდა იყოს“.

### ბოლოსიტყვაობაში:

„ეს ამბავი დარჩობოდა სარგის ლექსითა შეცდუბლად.“

3. ინგოროვას ანრით, სარგის თმოველს გაულექსავს ინდონეტა ამბავი (მას ეკუთვნის დღემდე შემორჩენილი ტექსტი), ხოლო მისი გაგრძელების, „ხეარაზმელთა ამბის“, გალექსვა ვერ გოუსწრია და პროზაული ჩანაწერის სახით პერნია შესრულებული<sup>188</sup>. ძნელია იმის გაგება, თუ პროზაული ჩანაწერით ას გულისხმობს მკვლევარი. სარგის თმოველი ამ ჩანაწერის ფრთხია თუ ჩამწერი. მაგრამ ჩვენთვის ამჯერად ამას მნიშვნელობა არა აქვს. მთავარი ის არის, რომ სარგის თმოველის მიერ ლექსით შესრულებული ამბის გარდა კიდევ ყოფილი შემორჩენილი პროზა შექმნილი ერთი ამბავი - „ვიზნისტყაოსნის“ ციკლისა და ეს ამბავი გაულექსავს „ხეარაზმელთა ამბის“ გამლექსავს<sup>189</sup>.

სარგის თმოველის „დილარგეთიანის“ „ვეფხისტყაოსანთან“ კავშირის შესახებ დილამი ლიტერატურა შექმნილი. დაობენ სხვა და სხვა საკითხები, კერძოდ, როგორც აღვნიშნეთ, იმაზე, თუ რა ნაწილი ეკუთვნის სარგისს, ორივე, ინდოხატებულთა და ხეარაზმელთა ამბები თუ მხოლოდ უკანასკნელი.

ვფიქრობთ, აქაც ერთი ძეგლის ორი სხვადასხვა ერსოის ერთმანეთში აღრევასთან გვაქვს საქმე. როგორც ჩანს, არსებობდა პროზაული თხსულება, რომელიც შემდეგ სარგის თმოველს გაულექსავს. ეს ფაქტი აღრე ცნობილი ყოფილი, კერძოდ, ის სცოდნია როგორც სტრიფის: „ამირან დარეგანის ძე მოსეს უქია...“ ვეტორს, ასევე — ხეარაზმელთა ამბის გამლექსავს. ამ უკანასკნელს განუწრახავს პროზაული ვერსიიდან სარგის თმოველის მიერ ლექ-

<sup>188</sup> პ. ინგოროვა, თხსულებათა კრებული, ტ. I, თბ., 1963 წ. გვ. 36.

<sup>189</sup> სხვა მოსაზრებას გამოიყენება კ. ჭიჭინაშვილის „ვიზნისტყაოსნის“ გამოცემის მატორის თვალსაზრისით ერთ-ერთ ჟურნალში საინტერესო და იმ დროისთვის საზომის თვალის გამოცემაში, რომა მტკიცებს ინდოხატებულთა ამბის რესოცეციურობას (გვ. IX და შემდეგ).

სად გადათქმული თხზულების გაგრძელება. სარკისის ვერსია ხვა  
რაზმელთა ამბავს არ შეიციდა და ამიტომაც ლინიშნავს სუარებას,  
მელთა ამბის გამლექსავი: გაცლექსავი დარჩომოდა.

მაგრამ აქ დაისმის კოსტეა: რატომ წერენ, დარჩომოდამ? ჩინს,  
ამ სტროფის ავტორი (ხვარაზმელთა ამბის გამლექსავი) იცნობს  
სარგის თმოველის ლექსითი ვერსიის პროზაულ წყაროს, რომელ  
შეაც ხვარაზმელთა ამბავიც იყითხებოდა. და ლექსავს მას.

ამრიგად, სარგის თმოველი რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“  
გამგრძელებლად კი არ გამოიყურება, არამედ მის პარალელურად  
აჩსებული და ამავე ფაბულაზე აგებული სხვა, დამოუ-  
კიდებელი, პოემის ავტორად. ამ პოემის იცნობს ავტორი სტრო-  
ფისა: „ამირან დარეგანის ძე მოსეს უქია...“, მან იცის მისი კა-  
ნიშანი (რომ იგი რუსთველის პოემისეული ფაბულის დამოუკიდე-  
ბელი დამუშავებაა) და ამიტომაც იხსენიებს მას „ამირანდარეგა-  
ნის“, „ვეფხისტყაოსნის“ და „აბდულმესიანის“ გვერდით.

მაგრამ ეს უკანასკნელი, „აბდულმესიანი“, არის კი საამისო  
კავშირში „ვეფხისტყაოსანთან“? განვიხილოთ ეს თხზულებაც.

„აბდულმესიანი“ დაკარგულად ითვლებოდა და დღეს ჩვენთვის  
ცნობილი თხზულება მხოლოდ 1902 წ. მიიჩნია ნ. მარმა „თამარისა  
და დავით სოსლანის შესხმად“<sup>190</sup>. მაშინ ნ. მარის მოსაზრება თით-  
ქმის ყველამ გაიზიარა. მაგრამ ცაკი წერეთელმა წარმოადგინა  
ერთი მეტად მნიშვნელოვანი ცნობა: „განსკენებული ნიკოლოზ ტა-  
რიელის ძე დადიანი, ძეველი მწერლობის დიდი მოტრფიალე, ხში-  
რად ამბობდა ხოლმე აბდულმესიანი შევთელისა ჩვენ საგარეულ  
წიგნსაცავში იყო, ჩემამდე მოაწიდა და როდესაც ნაქალაქეში სა-  
ლი გადამეწეა, სხვა წიგნებთან ერთად ის ეგზემპლარიც დაიღუ-  
პიო<sup>191</sup>. მთლად თავიდან ბოლომდის აღარ ახსოედა ის თხზულება,  
მაგრამ ზოგ-ზოგი ადგილები კი მოჰყავდა ხოლმე ზეპირად. რამ-  
დენიმე ტაები მეც მაგონდება, მაგალითად. ერთი ნაწყვეტი:

<sup>190</sup> ТР. IV, 1902, გვ. 8, 19.

<sup>191</sup> თ. ბაგრატიონის ცნობით, აბდულმესიანი საგანგებოდ იძებნის თემა  
ერეკლე მეორემ. ის.: გ. შარაძე, თეოტერაზ ბაგრატიონი, II, თბ., 1974,  
გვ. 76.

აბლულმეცია,  
მტერთა მესია,  
სარეინოში მეპურა  
ხელთა მესია.



## ნეორე კიდევ:

მტერთა მელავაძეს  
მსრით მძღვავასა  
თვით ჟურნალის მეზარევთ  
ხარჯთა მძღვავასა<sup>192</sup>.

ადვილი შესაძლებელია, შევთელს „თამარისა და დავით სოს-ლანის შესხმაც“ ეკუთვნოდეს, თავისი სტილით ეს ორი ნაშრომი ერთმანეთს მგვანებოდა და ამიტომაც აღრეოდეთ ისინი ერთმანეთ-ში. კ. კეკელიძეს, რომელმაც სათანადო საბუთები წარმოადგინა 6. მარის შეხედულების საწინააღმდევოდ, არ ავიწყდება ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც, „რომ ფსევდორუსთველურ სტროფში ოთხ, იქ დასახელებულ, თხზულებიდან სამი თხრობითი, ეპიკური ეპიკისა — „ამირანდარეგანიანი“, „დილარიანი“, „ვეფხისტყოსანი“, იგულისხმება. მეოთხეც („აბდულმესიაც“) ასეთიც და არა ლირიკული ყანრისა იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, რადა ეს ხოტ-ბა დაასახელა ამ სტროფის ავტორმა, რა დააშავა „თამარიანმაო“<sup>193</sup>. კ. კეკელიძეს აქ „დილარგეთიც“ (რომელსაც იგი „დილარიანს“ უწოდებს) ეპიკურ თხზულებად მიაჩნია, ალბათ იქიდან გამომდინარე, რომ საკუთარი სახელი დილარი სიუკეტს, ამბავს გულის-ხმობს.

თხივე აქ დასახელებული თხზულება საგმირო-რომანტიკული ჩანს. ამდენად, ჩვენ გამოვთქვემთ ფრთხილ ვარაუდს: ამ სტროფის ცერორია რუსთველი, იგი ტრალიცის მისღებს და თავისი პოემის ფაბულის მანამდე არსებულ დამუშავებებს ჩამოვალობის, გვაცნობებს, რომ „ამირანდარეგანიანი“, „აბდულმესიანი“, „დილარგეთიანი“ და ვეფხისტყაოსანი“ ერთ ფაბულაზე აგებული, მაგრამ სხვადასხვა ავტორთა მიერ დამუშავებული თხზულებებია.

<sup>192</sup> ა. კ. კ. მ. მტერთა პროფესორ მარის უკანასკნელის თხზულების გა-  
მო: „ეგვიპტი“, 1902, № 154.

<sup>193</sup> კ. კ. კ. მ. მტერთა, II, გვ. 234.

1. კ. ჭიჭინაძის მახვილ თვალს არ გამოშეაჩერა პოემის დეტალები, საღაც გაეკრით და სხვათაშორის არის მინიშნებული ინდიკატორი დატრიალებული ჩბელურება ნესტანდარეფანისა და ტაროელის იქადან გადაყარგვის შემდეგ. ნესტანდარეფანი ქახეთის ციხიდან ტაროელს წერს:

ଫୁଲର, ନିରମାତ୍ରକ ମିଳିବାରୁ, ଏହାର କା କୀମିତା ପାଇବାରୁ,  
ବିଶ୍ଵାସିତାରେ ଶୈଖିରୁଥିବାରୁ, କାହାରେଲାଗନ୍ତିର କ୍ଷେତ୍ରବ୍ୟକ୍ତିମେହିଦାର!

